

619 /  
1956/2

# დროშა



საქართველოს  
შრომითი

№ 10 ოქტომბერი 1956

საქართველოს  
შრომითი

საქართველოს  
შრომითი







ეროვნული  
ბიბლიოთეკა



## თვითმფრინავი „გუ-104“ თბილისში

ქალაქ თბილისის მოსახლეობა  
ათვადიერებს თვითმფრინავს.

თვითმფრინავის ეკიპაჟი, რომელ-  
მაც ჩაატარა პირველი რეისი თბილის-  
ში (მარცხნიდან მარჯვნივ): ა. ფელ-  
როვი, ვ. ციგანკოვი, ვ. საპედკინი,  
ვ. ფილნოვი, პ. მოსკალიოვი, ს. ღუ-  
კაშინი.

ფოტო ვლ. გინეზუჩკინა.





## სერგო ორჯონიკიძის დაბადების 70 წლისთავის ბავშვთა



ფოტოზე: სოფელი ღორეშა. სერგო ორჯონიკიძის მასწავლებელი ბესარიონ ხარიტონის ძე ციციშვილი უამბობს სოფლის პიონერებს სერგოს ბავშვობის შესახებ.

სერგო ორჯონიკიძის მონუმენტი სოფ. ღორეშის სახლ-მუზეუმის ეზოში.



სერგო ორჯონიკიძე

სახლი, რომელშიც დაიბადა სერგო ორჯონიკიძე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა



ბარკისის საბ. საქ. საბუნძ.  
საქართველო  
ბიბლიოთეკა



# კომუნისტური გეგმის შედეგად

## ბ. მახუარიძე

1956 წელი. მდინარე ანგარა. ხალხით დატვირთული გემის — „ფრიდრიხ ენგელსის“ ბაქანზე გამაღებთ ცეკვავს მზით დამწვარი, თეთრმაისურიანი ქაბუკი. წრედ შეკრული ქალიშვილები და ბიჭები ტაშისცემით ათამამებენ მოცეკვავეს, ისიც თანდათან უჩქარებს ფეხების ბაკუნს, ხელისგულებს იცემს მუხლებზე და გარმონის დამკვრელს უყვირის:

— ალიოშა, გაახურე, გაახურე!  
ვიღაც მაყურებელთაგანი აფრთხილებს მოცეკვავეს:

— ბიჭო, ფეღია, ბრატსკამდე ტერფები არ შეგჩრება!

— შერე ალარც მივიღებენ ტრასაზე!  
— არხინად ბრძანდებოდეთ! — უბასუხებს ფეღია და ცდილობს შეუმჩნევლად ჩამოიწმინდოს შუბლზე დაცვარული ოფლი.

ცხელა, ცხელა ისე, როგორც თბილისში იცის ზაფხულობით.

ცივი ანგარის ორივე ნაპირზე კი დაბურული ტყე მოსდევს გემს; ხან თეთრი, თითქოს ცარციით დახატული არყის ხეები, ხან შერეული — ფოთლოვანი და წიწვნარი. ირგვლივ კი დაუსრულებელი, უსაზღვრო სივრცეა, დარწმუნებული თავის უძლეველობაში.

ეს ციმბირია!

ჩვენს შესახვედრად მოცურავენ ზღაპრული სილამაზის კუნძულები, შორს კი მთები მოჩანს, ისეთივე — როგორც საქართველოში. ეს ტაიგაა — თავისებური, გაუვალა, საუკუნეობრივი ფიქრით მოცული.

უკვე მეორე დღე იწურება, რაც ბრატსკისკენ მივცურავთ. ახალგაზრდა, მომავალი მშენებლები ირვიან ბაქანზე. ისმის გამოუცდელთა მოუთმენელი შეკითხვები და „ძველების“ მშვიდი პასუხი:

— კიდევ დიდხანს ვიმოგზაურებთ?  
— ოცი წუთიც და ბრატსკში ვიქნებით.

10.000 კმ. გამოვიარე თბილისიდან, რომ მენახა თანამედროვე სამამულო ენერგეტიკის საკვირველება — ბრატსკის ჰესის მშენებლობა.

აღვლევებული დავდივარ ბაქანზე. დელავს ჩემი ამხანაგიც, ახალგაზრდა რუსი პროზაიკოსი მარინა გელვი. მას კაიუტაში დავიწყნია თავისი ჩემოდანი, მაგრამ ორივე ხელით მაგრად უჭირავს წიგნების შეკვრა. ეს სხვადასხვა ცნობარები, მოგზაურთა ჩანაწერები და გამოკვლევები ციმბირის შესახებ.

კაიუტების მორიგეს ჩემოდანი ამოაქვს და მარინასკენ მიდის:

— აი!  
— ბრატსკი? აბა, სად? — მარინა დაძაბულად იცქირება შორს.

— არა, ჩემოდანზე გეუბნებით.

გემმა გვერდი აუარა დიდ, მწვანე კუნძულს. საყვირის სამი ხანგრძლივი გუგუნის და, ჩვენ ბრატსკის მიწაზე დავბიჯებთ. მარშრუტი დიდი ხნის დადგენილი გვაქვს, ახლავ უნდა გავიმგზავროთ პადუნისკენ, ამ უზარმაზარ კლდის მასივისკენ, სადაც აშენდება ბრატსკის ჰესი.

მთის ფერდობს მივყვებით. მთაზე სასტუმრო ჩამოსულთათვის. ახალგაყვანილ შარავზე მექანიზმებით დატვირთული სუთტონიანი ავტომანქანები დაჰქრიან „პობედების“ „მოსკვიჩებისა“ და

ქალაქის ავტობუსების გვერდით: გზად გვხვდებიან თავით ფეხამდე „შეიარაღებული“ გეოლოგები და გეოდეზები. ცაზე თვითმფრინავმა გადიქროლა.

— ქინქლის მსაობია! — თქვა წითურმა ბიჭუნამ, რომელმაც ჩვენი მეგზურობა იკისრა.

პირველად ვერ მივხვდი, თუ რას ნიშნავს „თვითმფრინავი — ქინქლის მსაობია“, მაგრამ ჩვენი გამოცდილი ახსნა-განმარტების შემდეგ, სიხარულმა მოგვიცვა: ალარც ქაფურის ზეთის წასმა დაგვიპირდება სახეზე, ალარც ბადის ჩამოფარება. უბედურებაა ქინქლი, ჩაიძვრება ყურებში, ცხვირში, პირში, თვალღებშიც კი, ერთი სიტყვით, გააწამებს ადამიანს. თვითმფრინავი ჰაერიდან ასხურებს სვეციანურ ხსნარს და ანადგურებს ტაიგის ამ უძველეს მწერს.

ძველი ქალაქის დასათვალიერებლად გავშურეთ. ყველგან ხის ტროტუარებია, ძველი და ახალი ხის სახლები, კოტეჯები. რატომ აგურისა და ქვისას არ აშენებენ? რატომ ჰგავს ყველაფერი დროებით აშენებულს? აქ ხომ უდიდესი მშენებლობაა გაჩაღებული! რაშია საქმე?

ამ კითხვას გვიან გავციტ პასუხი. ამასობაში კი მივუახლოვდით ორ უძველეს სადარაჯო კოშკს, რომლებიც ხის მორებისგანაა აშენებული 1631 წელს.

1656 წელს აქ დამწყვედული იყო გადასახლებაში მყოფი რასკოლნიკი პროტოპოპი ავაკუმი. აი, რას ამბობს იგი ბრატსკის შესახებ: „მომიყვანეს ბრატსკი და საკანში ჩამაგდეს, თვია მომცეს. და ვიჯექ ფილიპეს მარხვამდე გაყინულ კოშკში“...

ძველი ამბავია.

ვინ იცის, რამდენ პოლიტკატორდელს, რევოლუციის რამდენ უცნობ ჯარისკაცს გაუვლია ამ მიწაზე, ისინი ხომ ამ ნათელი დღისათვის იბრძოდნენ!

იქნებ ნეტორ კლანდარიშვილიც იყო აქ, ციმბირის ინტერნაციონალური პარტიზანული რაზმების ლეგენდარული მეთაური, რომელიც შიშის ზარს ჰგვრიდა კოლჩაკოვლებს და ინტერვენტებს.

უკვე საღამოს ცხრის-ნახევარია, მაგრამ არ ბნელა, ცხელა კიდევაც გვწუხრია. ქაც ახლოსაა, ვიღაც ქალი ეწევა წყლით სავსე ვედროს.

— გამარჯობა, დედი!  
— გაგიმარჯოს, შვილო!

— შეიძლება დავლიოთ?

— რატომაც არა.

ვედროს დავეწაფე. მოვსვი და თითქოს ფოლადის ჯოხები დამიწკარუნეს კბილებზეო, საშინელი ტკივილი ვიგრძენი, თავი ავწიე და მომღიმარე ქალს შევხედე.

— რაო, ცივია? — მკითხა მან.

მე თავი დავუქნიე.

— აბა, ჭაში ჩაიხედე!

ჩავიხედე: ოთხი მეტრის სიღრმეზე ჭის კედლებს მიკრული ყინულის საყელო დავინახე. შუაში ნახვრეტი ჰქონდა ვედროს ჩასაშვებად. მხოლოდ მაშინ გამახსენდა, რომ ჩვენ მულმივი გამყინვარების საზღვართან ვიმყოფებოდით.

— საით მიდიხარ, შვილო, ტყავში? — მკითხა ქალმა.

— აი, იქ, — ვუპასუხე და თითქმის სიწყინებულად შეირე, — სასტუმროში.

— აა, ფსკერზე...  
— რომელ ფსკერზე? მთაზე, დედი...

— აქ ყველგან ფსკერია. როცა მთაზე ახვალ, აზომე თავს ზევით ორმოცი მეტრი, აი, სწორედ იქ იქნება ზღვის ზედაპირი.

მე ვიცოდი, რომ უნდა შექმნილიყო ბრატსკის წყალსაცავი, ისიც ვიცოდი, რომ კუბიბიშევის ზღვა ყველაზე დიდ ხელოვნურ წყალსაცავს წარმოადგენდა მსოფლიოში. მაგრამ ძალზე გამიკვირდა, როცა გავიგე, რომ მთელი იმ ხნის განმავლობაში მომავალ ზღვის ფსკერზე ვიმყოფებოდით, რომლის მოცულობა 180 მლრ. კუბურ მეტრს მიაღწევს!

ე. ი. რამდენჯერმე მეტი იქნება კუბიბიშევის ზღვაზე. ანგარაზე ჩვენი მეგზავრობის უკანასკნელი 30 საათის სავალი უსლოლა-სიბირსკიდან ბრატსკამდე, — წყლით დაიფარება, ეს მთა, რომელზეც სასტუმროა წამოჭიმული, ეს მაღალი, გაუვალე ტაიგით დაბურდული ბორცვები, კუნძულები, სოფლები, ტყეები — ზღვის ფსკერად გადაიქცევა!

აი, რატომ არ აშენებენ აქ აგურისა და ქვის სახლებს, რატომაა ყველა შენობა დროებითი ტიპისა, და მე თვალნათლივ წარმომიდგა არყოფილი, მართლაც ზღაპრული სიღრმე მშრომელი საბჭოთა ადამიანის შემოქმედებითი აზრისა.

მომავალი ბრატსკის ზღვა დაიქრის 5,2 ათას კვადრატულ კმ. ფართობს, ეს ზონა მოიცავს 11 რაიონის ტერიტორიას, სადაც გაბნეულია რამდენიმე ათასი საკომუნერო ობიექტი, რამდენიმე ათეული მტს-ი, სამრეწველო საწარმო, რამდენიმე რაიონული ცენტრი.

გაპროექტრანსის პროექტით დაძირვის რაიონში და მის საზღვრებს იქით უნდა გაშენდეს 1.000 კმ-დე გზა, ასი მუშათა უბანი და ა. შ.

დიდი სამუშაოებია ჩასატარებელი დაძირვის რაიონიდან ტყის გაჩეხვისა და გადაზღვისათვის: 40 მლნ. კუბური მეტრი შუშა უნდა მოიქრას და გაიწილოს 5-7 წლის განმავლობაში!

ამ მოწინა იქმნება ცხრა ახალი სატყეო სამრეწველო მეურნეობა, რომლებიც უკვე არსებულ მეურნეობებთან ერთად ჩაატარებენ მომავალი ზღვის ფსკერის გაწმენდის სამუშაოებს. თუ რამდენად გიგანტურია ამ სამუშაოთა მასშტაბი, შეიძლება ვიმსჯელოთ იმის მიხედვით, რომ მხოლოდ წყალსაცავის ფსკერის გაწმენდაზე 50.000 კაცი იმუშავენ. მათთვის კი საჭიროა საცხოვრებელი სახლები, სასადილოები, მაღაზიები, ყოველგვარი პირობების შექმნა ნაყოფიერი მუშაობისათვის.

ახლა აქ უკვე გაიშალა კარგები, უკვე დაიწყეს ასაწყობ სახლთა დადგმა. მარტო წელს 70 ათასი კვ.მ. საცხოვრებელი ფართობი უნდა გაშენდეს.

ბრატსკის ზღვის ავსებას ორი წელიწადი მოუწევს, ამ ხნის განმავლობაში წყალი 100 მეტრით აიწევს. ეს ძირფესვიანად გამოცვლის მდინარე ანგარისა და მისი შენაკადების რეჟიმს, გადააქცევს მათ სანაოსნო მდინარეებად. ანგარაზე ნაოსნობა საზღვაო მასშტაბს მიუახლოვდება.

დიან, რაღაც ორი-სამი წლის შემდეგ ლამაზი ანგარა ბრატსკის ზღვის ტალღებში გაუჩინარდება და მხოლოდ ამბავად თუ გეტყვიან, რას წარმოადგენდა იგი.

დროებითი შენობები ბრატსკში.





## ბრიგოლ ჩიქოვანი

ოჯახის მამა მაგიდის თავში იჯდა და თავდას-  
რილი, როგორც მოწაფე, რომელმაც ორიანი მიი-  
ლო, ჩუმად შეეკეთა წვნიანს. მთელი ჯალაბი —  
ცოლი, სამი ქალი და სიძე მაგიდას უჯდა და  
სადილობდა, არავინ უყურებდა არჩილს, მაგრამ  
ყველა თანაურბნობდა, გულისყური მისკენ ჰქონ-  
დათ. „კომუნისტის“ ახალი ნომერი ჩუმად, შეუმჩ-  
ნევლად, გვერდზე მიჩრჩობით მოგზაურობდა მაგი-  
დის გარშემო. ვინ იცის რამდენჯერ შემოიარა წრე  
და მინც ისე დასცქეროდნენ, თითქოს პირველად  
დაინახესო, თვალს არ უჯერებდნენ. მხოლოდ  
უმცროსი ქალიშვილი ირინე, როგორღაც ზეიმურად  
განწყობილი, მოწონებითა და აღტაცებით  
შეჰყურებდა მამას.

— პირველად არ ჩადის ასეთ ოინს! — ცხა-  
რობდა თამარი. — გახსოვთ, დაუძახებლად  
რომ გამოცხადდა სამხედრო კომისარიატში.  
მამინ, აბა, რა შეთქმულა, ომი იყო... ახლა რა  
მოხდა ასეთი! ამოდენა ოჯახის მამას!... დავი-  
ლდეთ, აღარ შემძლია. არ ვიცი, არ ვიცი, არ  
ეშმაკი უთამაშებს ამ ხნის კაცს სისხლში!...

— დედა, მგონი ამ ჯგუფში თვრამეტი  
წლის ჰაბუკი არც ერთი არაა! — გაუწოდა  
ირინემ თამარს გაზეთი.

თამარმა ზედაც არ დახედა. ირინე ხომ  
ყოველთვის მამის მხარეზე იყო.

— აი, დავამთარებ საექიმოს და მეც  
მამასთან წავალ სოფელში, — განაგრძობდა  
ირინე.

— ირინე! — გაუწყრა ცილა, უფროსი  
და, გერმანული ენის მასწავლებელი, — გა-  
ჩუმდი!

— არ გაგჩუმდები სწორედ! რა დავემარ-  
თათ? ისე ზიხართ, თითქოს რაიმე დანაშაუ-  
ლი ჩადინოს მამას! — გაიღიმა გადამდები,  
ბავშვური ღიმილით.

— დახედე, დედა! — ახლა შუათანა ქალ-  
მა, ლამარამ უჩვენა თამარს გაზეთის პირ-  
ველ გვერდზე დაბეჭდილი სურათი ჯგუფი-  
სა, რომელმაც სურვილი გამოთქვა ხელ-  
მძღვანელ სამუშაოებზე წასულიყო ჩამორ-  
ჩენილ კოლმეურნეობებში. — აი, მამასთან  
ერთად კიდევ ცამეტი კაცი მიდის რაიონში,  
— ისეთი კოლოთი ლაპარაკობდა ლამარა,  
თითქოს მამას გამოუნახა გასამართლებე-  
ლი საბუთიო. — არც ერთი მათგანი მა-  
მამზე უმცროსი არაა... თუმცა სურათში  
ყველა გაკოპწივებულ-გაახალგაზრდავებუ-  
ლი გამოუყვანიათ. აბა, ვნახოთ ვინ  
არაიან ისინი! — მაგიდაზე გაშალა გაზეთი,  
რომ ყველას დაენახა სურათი და კითხვა  
დაიწყო: — მარცხნიდან მარჯვნივ: ვ. წიკლა-  
ური... უპ, რა მთასავით კაცია! ეტყობა ამას  
ურივთ ცხოვრება არ ჰქონდა აქ. ნეტა რა  
მოხელეა. საქართველოს სსრ სოფლის მეურ-  
ნეობის სამინისტროს სატყეო მეურნეობის  
და ტყის გაშენება-დაცვის მთავარი სამმართვე-  
ლოს უფროსის მოადგილე. ძალიან გრძლად წე-  
რია, მაგრამ თანამდებობა კარგი ჰქონია.

— შემდეგი, — თავისკენ მიჩრჩობ გაზეთი ირინემ. —  
ა. ხაზალია — საქართველოს სსრ საბჭოთა მეურ-  
ნეობის სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური  
მომარაგების სამმართველოს ცენტრალური ბაზის  
დირექტორი. — ასწია თავი ირინემ და დიდას შეხე-  
და. — არც ამას ჰქონია დასასწუნი ადგილი, — კვლავ  
გაზეთს დააჩერდა, ღიმილით უყურა ერთ ხანს მამის  
სურათს და მერე უფრო სერიოზული, თითქოს  
დაბოხებული ხმით წაიკითხა: — კოკილაშვილი... —  
შეხედა დებს. — ეს უკვე მამაჩვენია. რა თავმომწო-  
ნედ ზის შუაში, დიდებულად გამოსულა. ყველაზე  
ახალგაზრდად გამოიყურება სურათზე... ვნახოთ რა  
ადგილი უკავია ამ ვაჭბატონს. გაზეთ „კომუნისტის“  
რედაქტორის მოადგილე. რა მოკლედ სწერია, —  
თქვა გულდაწყვეტილი ირინემ და გაიმეორა: — გაზეთ  
„კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილე. ძალიან  
მოკლედაა. მალე კი იქნება: ამა და ამ რაიონის ამა  
და ამ სოფლის ამისა და ამის სახელობის ჩამორ-  
ჩენილი კოლმეურნეობის თავმჯდომარე. ხედავთ, რა  
გრძლად... პირველ წელიწადს იქნება ჩამორჩენილი  
კოლმეურნეობისა, შემდეგ კი, რასაკვირველია, მო-  
წინავესი. ახლა ვნახოთ შემდეგი ვინ არის...

— გეყოფა, ირინე, — შეაწყვეტინა მოთმინებლად  
კარგულმა თამარმა. — დიდი შეღავათია სწორედ ჩემ-  
თვის, რომ ისინიც მიდიან. — კუმტაღა გადახედა შვი-  
ლებსა და სიძეს. — თქვენ ყველას ამ ვაჭბატონის  
მხარი გიჭირავთ. კეთილი და პატოსანი. — მიუბ-

რუნდა ქმარს: — წაბრძანდი, მაგრამ იცოდე, ჩემს  
ფეხს შენს კარზე ვერ ნახავ... \*

\*\*\*

არჩილ კოკილაშვილი გაზეთ „კომუნისტის“ რე-  
დაქტორის მოადგილედ მუშაობდა, მისი ნარკვევები  
და წერილები ხშირად იბეჭდებოდა ჩვენს რესპუბლი-  
კურ პრესაში. მშვენიერ ბინაში ცხოვრობდა, ქონება  
ბანში არ ამოსდიოდა, მაგრამ ხელფასი და პონო-  
რარი რიგიანი ჰქონდა. თეატრი, კინო, საღამოები,  
გამოფენები და სხვა ათასი გასართობი არ აკლდა.  
რას უნდა აეძლებოდა მიეტოვებინა ყველაფერი ეს



და წასულიყო სოფელში, ჩამორჩენილ კოლმეურნეო-  
ბაში? რა ამინდი უნდა დადგომოდა იქ იმის დარი,  
რაც აქ ქალაქში ჰქონდა? მაგრამ არჩილი განა თა-  
ვის ამინდზე ფიქრობდა? იცოდა, რომ სოფლის  
მეურნეობის ფრონტი ნაცად და მცოდნე ხელმძღვ-  
ნელებს უხმობდა. არჩილ კოკილაშვილს სოფელში  
მუშაობის დიდი გამოცდილება ჰქონდა, ასეთ დროს  
მას „ლობის აქეთ რა დაარჩენდა!“ გადაწყვიტა, და-  
წყვიტებლივ გამომხაურებოდა პარტიის მოწოდე-  
ბას — წასულიყო კოლმეურნეობაში სამუშაოდ.

ქმრის დაუდევარი და მოუსვენარი ხასიათის გამო  
თამარს ერთი დღე არ ჰქონდა მშვიდი და მოსვენე-  
ბული ცხოვრება. ყველაგან და ყველაფერში მხარში  
ელდა მეუღლეს. ენმარებოდა, თანაზიარად ინაწი-  
ლებდა მის შრომასა და ჯაფას, დარდასა და ვარამს,  
მერყეობისას ამხნეებდა, გულს უმაგრებდა. მის-  
თვის ფეხშიშველი ჩადგებოდა ცეცხლში.

ასეთ ჭირვარამანახულ ადამიანს ახლა მინც უნდა  
ღირსებოდა მოსვენებული ცხოვრება. ამიტომ ვერ  
გაუმხილა არჩილმა ცოლს თავისი გადაწყვეტილება  
და იმ დღეს თამარმა გაზეთიდან გაიგო, რომ მისი  
ქმარი სოფელში მიდიოდა.

ისე გაემგზავრა არჩილი, რომ თამარს ერთი  
თბილი სიტყვა არ უთქვამს მისთვის. თავისი გადაწყ-  
ვეტილება არ შეუცვლია. არც მაშინ უღალატნია  
თავისი სიტყვისთვის, როცა გაიგო, რომ მისი  
ქმარი თელავის რაიონის სოფელ კონდოლის  
სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდო-  
მარედ აირჩიეს.

მას შემდეგ წელიწადნახევარი გავიდა.

\*\*\*

ახალი გათენებული იყო, ალაზნის ველს მტრქალი,  
მოცისფრო ნავლი ებურა, მზის ჯიდას დაეფერა  
კავკასიონის ქედი, მუქმწვანე მთები და გრებილები.  
კონდოლი იღვიძებდა. ისმობდა ჭიშკრის ქრიალი,  
ხმელი ხველა, ცულის კანტიკუნტი ხათქუნი. სად-  
ღაც როყიოდ ყვედა ძალით.

თელავის მატარებლით ჩამოვედი კონდოლში და  
ის იყო ექვს კილომეტრზე გაჭიმულ თემშარას  
დავადეტი, რომ გზაზე პირამდე საგსე ტომარამო-  
კილებული ქალი შემომხვდა. აჩქარებული ნაბიჯით  
მიდიოდა. უცებ შეატყობდი, აქაური არ იყო.  
ტომარა როგორღაც არასოფლურად მოჰქონ-  
და — ხელუმაჯვოდ, შეუჩვენვლად. მაშინვე  
ვიცანი, თამარი. თურმე აბრეშუმის ჭია ჰყოლო-  
და და თუთის ფოთოლი მოჰქონდა მინდვრიდან.

— საზაფხულად ესტუმრეთ არჩილს? —  
ვკითხე მისალმების შემდეგ მოულოდნელი  
შეხვედრით გაკვირვებულმა.

— რატომ საზაფხულად?! — მომივო თა-  
მარმა. — დიდი ხანა აქა ვარ. — არ შეუნიშ-  
ნავს ჩემი გაკვირვება.

„აი, როგორ იციან ცოლებმა ქმრებთან  
სიტყვის შენახვა! — გავიფიქრე. — ჩემს ფეხს  
შენს კარზე ვერ ნახავო, რომ დავმუქრა  
ქმარს, რა მალე გადაუტრია გულიდან“. რა-  
საკვირველია, თამარისათვის არ მიკითხავს,  
რამ შეაცვლევინა თავისი გადაწყვეტილება,  
რამ ჩამოიყვანა აქ, რამ მოაკიდებინა ხელი  
ჭიისათვის, რამ ააყენა სისხამ დილით და  
წამოაკიდებინა ზურგზე ტომარა, რომლის  
ზიდა ვაჭკაცსაც გაუჭირდებოდა?

აი, რა გავიგე ამის შესახებ თავმჯდომე-  
რის ნაამბობიდან:

— ჩვენში ხშირად სწერენ: კოლმეურნეო-  
ბის საერთო კრებამ ერთხმად აირჩიათ თავ-  
მჯდომარედ. ეს უმეტეს შემთხვევაში ასე  
არა ხდება. ფუჭი ფანტაზიით ან უმეცრებით  
ხატავენ ასეთ სურათს ზოგერთები. ყოველ  
შემთხვევაში, მე არ ვეუთენი ერთხმად არ-  
ჩეული ბედნიერი თავმჯდომარეების რიცხვს.

დიდხანს აცნობდა ჩემს თავს კონდოლის  
სტალინის სახელობის კოლმეურნეობის საერ-  
თო კრებას თელავის რაიკომის მდივანი ზაალ  
გელდიაშვილი. ლაპარაკობდა იმის შესახებ,  
რომ მე სოფლად მუშაობის კარგი გამოც-  
დილება მაქვს, რომ იმიტომ დავტოვე  
ქალაქი და ჩამოვედი აქ, რათა დავემარო  
კონდოლელთა მეურნეობას. ლაპარაკობდა  
კარგად, გატაცებით, მაგრამ ყველას როდი  
მოსწონდა მისი ლაპარაკი, ყველა როდი უს-  
მენდა. გაშლილ მინდორზე წამომჯდარ და  
უკანა რიგებში თავმოყრილ ჯგუფში, დროდა-  
დრო ღვარძლიანი ჩურჩული და გესლიანი  
ფხუკუნი ისმოდა.

ვხედავდი, ბევრს არ ებრინებოდა ჩემი თავმჯდო-  
მარობა. ადვილი შესაძლებელი იყო, რა ავერჩიეთ,  
საქვეყნოდ მიმხროდა თავი, რას იტყოდნენ თბი-  
ლისში ამხანაგ-მეგობრები, რა თვლით შემეხება  
მეუღლისათვის?! მაგრამ მე ვეყარე კული არასოდეს  
გამიღვია, პატემოყვარეობის გრძნობა არ მაღელ-  
ვებდა. ვხედავდი, აქ რამდენიმე ადამიანს, რომელიც  
წყალს ამღვრევდა, კოლმეურნეობის უკუღმა შეტ-  
რიალებულ საქმეს ბიძგს უმატებდა და უკან ვერ  
დავიხვედი. მზად ვიყავი, ოღონდ არ გავეწილები-  
ნეთ. და სათითაოდ ჩამომეარა ყველა პატოსანი  
კოლმეურნე და მეთხოვა, ავერჩიე, რომ მათთან  
ხელიხელჩაკიდებულს წაღმა წამემართა მათი  
საქმე.

ვიცოდი უკანა რიგებში და ხალხის შუაგულში  
თვრამეტი თავმჯდომარე, ორი იმდენი ბრიგადირი,  
მერგოლური, სარევიზიო კომისიის და გამგეობის  
წევრი იჯდა, თავის დროზე ცული მუშაობისათვის  
გადარჩეულნი და გადაყენებულნი. აბა, რა საკითხა-  
ვია, რომ ზოგი მათგანი მხარს არ დამიჭერდა, ხნაა  
არ მომცემდა. რაიკომის მდივანმა დამთავრა ჩემი  
დახასიათება და დაჯდა. კრების თავმჯდომარემ  
იკითხა, ვის უნდა სიტყვაში გამოსვლაო. როგორც  
მოსალოდნელი იყო, შუაგულიდან და უკანა რიგი-  
დან მაშინვე გაისმა წამოძახილები:

— დღეს ჩვენ აქ რედაქტორს ვირჩევთ, თუ კოლ-  
მეურნეობის თავმჯდომარეს?!  
— ბევრი ასქიფა თავმჯდომარე გამოგვიცვლია!  
— ზოგი ქვეყნის დასანახად მოდის რაიონში,  
აქაოდა...



— დაჯდება ცარიელ შრომადღეზე და მაშინ დაიკმევს

წამოღდა კრების თავმჯდომარე, დიდხანს აკაკუნა გრაფინის ყელზე ფანქარი.

— ამხანაგებო, სიტყვა აიღეთ და ისე ილაპარაკეთ. — აბა, რა გვაქვს სალაპარაკო, — მიუგეს უმალო. — ჩვენ მაგ კაცს არ ვიცნობთ, არც ჭირში გამოგვიცნია და არც ლხინში. თქვენ გვთავაზობთ და გვირჩევთ. იყოს ნება თქვენი, სადაც თვრამეტი თავმჯდომარე აკვირჩევია, ეპეც მეცხრამეტე ბრძანდებოდეს! რედაქტორი ჯერ არ გვყოლია თავმჯდომარედ. ვნახათ რა რეზინსაგან არის ნაჭედი, რა ნიშან-ნიშორაა!

ამირჩიეს, მაგრამ ვაი ასეთ არჩევას... თუმცა შემდეგ, რომ დაეფიქრდი, ერთხელ არჩევას ამგვარი არჩევა ვამჯობობ. ამ წამომასილებმა და სარამებმა კი არ შემამინეს და გამტეხეს, — დამაყურადეს, გამაჯიქეს.

ყოველ ჩემს ნაბიჯს თვალს ადევნებდნენ ხალხისა და კოლმეურნეობის საქმის ურჩები, აბა სად წავიტხენდი ფეხს, სად ჩამივარდებოდა კოვზი ნაცარში. ჩემს ზურგს უკან ჩურჩულებდნენ, თვალში ეკლად ვესობოდი მათ და გულში ხიწყავდ. მე ვარღვევდი მათს წესებს, ზრახვებს, რიდეს ვდღიდი მათს უხეირო მუშაობას.

ძველ თავმჯდომარეების ხელში უპატრონოდ იყო მიტოვებული ზურგები. ახალს არ აშენებდნენ, ძველს არ უშლიდნენ. გამეჩხერებულთ არ გამოურგავთ, შეუსარავი არ შეუსარავთ, დროზე არ ბარავდნენ და არ თონინდნენ, არ ფურჩინდნენ და არ წამლავდნენ. კახური ვაზი ხომ ამდენ ლოლიავსა და პატვის არის ჩვეული.

მთელი სოფელი ბაღებში ზის, მაგრამ, ილიას თქმისა არ იყოს, ხილისა და ღვინის ამ უღვევლ ბოლანში კოლმეურნეობას ერთი ჰექტარი ზალი არა ჰქონდა. ყველამ კი იცოდა, რა დიდ შემოსავალს მიცემდათ ბაღი.

ნაკვეთები არ ჰქონდათ გაბიროვნებული კოლმეურნეებზე და ამის გამო ყველას შრომა ერთნაირად ფასდებოდა, არაფერი იყო დინტერესებული, რომ უკეთ ეშრომათ. ცხვარივით ერთნაირად იკრიჭებოდა ყველას ღვაწლი და ამაჯი.

არაფერი ამოწმებდა ბრიგადების მუშაობას. არც ბრიგადირები იწუხებდნენ თავს, არ დახედავდნენ, როგორ ხნავდა და თესავდა ტრაქტორი, არ კითხულობდნენ, გათონხეს თუ არა სიმინდი, შეიტანეს თუ არა ნაკვეთში სასუქი; თავის ანაბარა იყო მიტოვებული ბრიგადები.

არაფერი კითხულობდა, რატომ არ გამოდიოდა კოლმეურნი საშუალოდ, რატომ არ ჩრბოდა მიეტოვებინა სახლ-კარი და წინანდლის სახეობა მუშურნეობაში დაქირავებულიყო დღიურ სამუშაოზე.

ბევრი იყო ისეთი კოლმეურნი, რომელიც მოსაჩვენებლად, ხალხის თვალის ასახვევად სამოც-ოთხმოც შრომადღეს გამოიმუშავებდა ხოლმე წელიწადში, რომ კოლმეურნეობიდან არ გაეირიცხათ, საკარმიდამო ნაკვეთი არ ჩამოეჭრათ. დანარჩენი ორას სამოცი დღე შინ ტრიალებდა ჯარსათვის, ან ბაზრის ზვას ტყეშიდა.

არეული იყო საბუღალტრო საქმეები, იფლანგებოდა ხალხის ფული და სურსათი. კოლმეურნის შრომადღეზე აწერდნენ, თითქოს მას ამდენი და ამდენი სურსათი და ფული ჰქონდა მიღებული, — სინამდვილეში თვალთაყვარ ენახა ეს ფული და სურსათი. სარევიზიო კომისია უწყირად არ მუშაობდა. ამიტომ იყო, რომ ყოფილმა ბუღალტერმა 120.000 მანეთი მიითვისა.

ყველაფერი ეს გულს უტეხდა პატრონს კოლმეურნეს. ვისაც მტკიცე ხასიათი ჰქონდა და ჯეროდა, რომ დღეს თუ ხვალ პარტია და შთავრობა უფრო ახლო გავცნობოდა კოლმეურნეთა ჭირსა და გარამს, ჩაიხედავდა მათ საქმეში, გულში, მოთმინებით ელოდნენ ამ დღეს, ხოლო უფრო სუსტი ნებისყოფის ადამიანები ტოვებდნენ კოლმეურნეობას და ბედის საძიებლად სხვაგან ეშურებოდნენ.

წლების განმავლობაში კონდოლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა უკან-უკან მიდიოდა და ბოლოს რაიონის ოცდასამ კოლმეურნეობას შორის ყველაზე ჩამორჩენილ კოლმეურნეობად იქცა. თავმჯდომარისა და ბრიგადირებისათვის ხშირად შლიდნენ სუფრას იმ ოჯახებში, რომლებიც თავს არიდებდნენ კოლმეურნეობაში მუშაობას ან ხელს აობობდნენ ხალხს ქონებით. „პურმარილიან“ კოლმეურნეობს სხვა შიდასათვის ჰქონდათ: მათ უკეთეს ნაკვეთებს უპიროვნებდნენ, მანქანა დასჭირდებოდათ, არ უჭირდნენ, საღმრესო წესების მოსიყვარულნი, არ აკავებდნენ, ავანსს მოინდომებდნენ, აჩაც რიგგარეშე უმართავდნენ ხელს. მალე მეც გამიშალეს სუფრა. მაგრამ ასეთ პურ-მარილზე უარი რომ ვაკადრე ერთს, მეორეს, უცებ შეწყვიტეს ასეთი დაპატიჟება. ხოლო მე პურმარილუწამებელი კაცის სახელი დამიგვეს.

დაბოლოს იმაზეც შეიქმნა ლაპარაკი, რომ მე ცარიელ-ტარიელი ჩამოვედი ერთი ჩემოდნით და ერთი ხელი ლოგინით. ეს კაცი რომ აქ გამჩერებულ იყოს, ან ცოლი ჩამოჰყვებოდეს, ან შვილი. ნაქირავევს ოთახში ცხოვრობს, აქ დაფუძნებულ არ ფიქრობს; დღეს აქ არის, არ მოეწონება, დაკრავს

ფეხსა და ისევ იქ ამოყოფს თავს, საიდანაც ჩამობრძანდოდა.

საჭირო იყო დაუყოვნებლივ მომელო ბოლო ასეთი ლაპარაკისთვის. საჭირო იყო, მაგრამ როგორ? რა გზით და რა ხერხით? აქ სახლის აშენებასა და მეუღლის ჩამოყვანაზე ფიქრი იგივე იყო, რაც ქვიშისაგან თოკის გრეხა.

მაგრამ ვინა თქვა, ბედნიერება თავისით არ ჩაუგორდება კაცს კალთაში? ერთ მშვენიერ საღამოს კიბეზე ნაცნობი ფეხის ხმა შემომესმა. მერედა როგორი ნაცნობი და ახლობელი არა მჯეროდა, ყური მატყუებდა-მეთქი, გავიჭირე. ფეხის ხმა სწრაფად ახლოვდებოდა, ის იყო ზეზე წამოვიჭერი, რომ კარი გაიღო. ზღურბლზე თამარი იდგა.

— არ გგონოს შენმა სიყვარულმა ჩამომიყვანა, — მითხრა ჩემი ალტაცებით და გაოცებით დაბნეულმა, და ქალიშვილივით აფეხავდა სახე. — საქმე მოითხოვა ჩემი ჩამოსვლა და ჩამოვალა, — ფარულად მოვალე თვლი ოთახს და მე უშალ ამოვიტოვებ მის სახეზე: „აი, როგორ ცხოვრობს თურმე უჩემოდ!“

— საიდან იცი, რომ საქმე მოითხოვდა შენს ჩამოსვლას?!

— მე ყველაფერი ვიცი, არჩილ! მართლს ამბობს ხალხი ასე შემოხიზნულს რომ გზედავენ, აბა რას იტყვიან! — არც აცივა და არც აცხელა, არც მოუკითხივარ, არც ბავშვების ამბავი უთქვამს, პირდაპირ სახლზე დამიწყო ლაპარაკი. — რას ფიქრობ უნდა რამე ვილონო და დაესახლდე.

— რა უნდა ვილონო? მარტოხელა კაცისათვის ეს ოთახიც მეტია.

— მარტოხელა კაცისათვის... — გაიმეორა თამარმა რაღაც გამოცდილი ხმით.

— ჰო, ასე მიცნობენ აქ. შუამავლებიც კი მომიგზავნიან...

— ეგ ვერაფერი ხუმრობაა, არჩილ! — იწყინა თამარმა.

იმ დამევე გადაწყვიტეთ დაგსახლებულიყავით მაგრამ რითი, რომელი ქონებით? აქაც თამარმა ნახა გამოსავალი: კოლმეურნეობაში უკვე დაწყებული გვექონდა გამგეობის კანტორის სახლის მშენებლობა. მალე განთავისუფლდებოდა ძველი ბინა, ორი პატარა ოთახით, პატარა ეზოთი.

— ჩვენ მეტი არც გვიჩნდა, არ დაგვაწვიმს და არ დაგვათოვს, — თქვა ხშირულად თამარმა.

არც გულხელდაკრეფილი ყოფნა მოინდომა. არა იმიტომ, რომ მაკალით მიეცა ზოგიერთი უქნარა ქალისათვის. ყაჭის ჭიას მოკიდა ხელი... ახლა მეორე ჭიანჭა სოფელში. ფთობილი არ ჰყოფნის კოლმეურნეობას, სად არ დიდები ჩვენი ქალები ფთობისათვის. შორეულ სოფლებში და სხვა რაიონებშიც კი აწყობენ რეიდებს. და ყოველთვის ნადავლით მხარდამშენებული ბრუნდებიან...

მალე მთელმა სოფელმა გაიგო ჩვენი გადაწყვეტილების ამბავი. უმრავლესობას ეს გაეზარდა. უკმაყოფილონი უფრო გადიანდნენ. მაგრამ ახლა მე მართო არ ვიყავი. მხარში მედგა ყველა ის, ვისაც კოლმეურნეობისათვის კარგი უნდოდა, ვისაც იგი თავის ოჯახად მიიჩნდა. მათ დიანახეს, რომ მე აქ სადღებავლიოდ არ ვიყავი ჩამოსული. მომენდნენ, დამიჯერეს, გული გამისხნეს და გამყვინდნენ ფრთები შემსახა. მეჯეროდა, რომ მათთან ერთად უკან მოვიტოვებდი ყოველგვარ სიმწიფეს. სინძლეები კი, როგორც მოგახსენეთ, დიდი და ბევრი იყო.

ყველაზე დიდი უხედურება, რომელიც კონდოლის კოლმეურნეობაში წლების განმავლობაში სულ უფრო და უფრო იკიდებდა ფეხს, უგერგილო მუშაობა იყო. აბა, იქ საქმეს წაღმა რა წარმართავდა, სადაც კოლმეურნეთა ოცდაათი პროცენტიც არ გამოდიოდა საშუალოდ, სადაც ბრიგადები თითქმის დაშლის კარამდე იყო მისული.

მე რომ აქ ჩამოვედი, გაზაფხული იდგა. ნათქვამია, რაც ხენის დროს არ ვითქვამს, იმას მაქვს დროს ვერ იტყვი. თუ დაუყოვნებლივ არ გამოვიღებდი ხელს დიდი და პატარა, ქალი და კაცი, მერე გვიან იქნებოდა. ამ დროს ხომ ერთი დღი დაგვიანება ერთი წლით დაგვიანება.

რა უნდა გავკეთებოდა უპირველესად? ათას ორას ორმოცდაათს წყვილად ცხრაასი, წყვირი, რომელიც საშუალოდ არ გამოდიოდა კოლმეურნეობაში, დაუყოვნებლივ უნდა დაგვებრუნებინა თავისი ბრიგადებისათვის. თხოვნით, აგტიკაციით, ჯარიმით და გავრთხილებით ვერ გამოვიყვანდი საშუალოდ, რადგან ეს ღონისძიება ნაწვენევი ჰქონდა, არა სჭირდა.

გადაწყვიტეთ, ჩვენ თვითონ ვხელობდით შინ თვითელ სათვანს, გვენახა როგორ ცხოვრობდნენ, რა უჭირდათ, რა ულხინდათ, ვაგვეო, რა მიზეზი იყო, რომ კოლმეურნეობის ზოგიერთმა წევრმა გული აიკრუა. ჩვენთან აქამდე არც ერთი თავმჯდომარე და გამგეობის წევრი არ მოსულა და არ ეკითხავს ჩვენი ავი და კარგო. მოეწონათ გლეხებს ჩვენი პირველი ნაბიჯი, გულს ეფინათ, სხვა თვალთი გამოიხედეს; გამგეობაში, სარევიზიო კომისიაში თავისი მქმნაგვეები დანახეს. ჩვენ წინაბი მხოლოდ მუშაობას გვთხოვდნენ და თუ მაძრებია

ვიყავით, ამას არავინ კითხულობდა, ამბობდნენ ისინი. ჩვენ დავეხმარეთ იმათ, ვისაც მართლა უჭირდა, მუცელი თავში სცემდა. მივეცი ავანსად სურსათი, ფული, გავუბიროვებთ და შევურჩიეთ ნაკვეთი. ყოველნაირად გავუწყვეთ ხელი.

ამას იმიტომ კი არ ვაკეთებდით, რომ სხვებზე უფრო გულუბნობილი ვიყავით, ან საქმეზე უფრო გრძნობილი ვგამომრავებდა. არა, ჩვენი მიზანი იყო შეგვექმნა კოლმეურნეობისათვის — პატარა, მარტო მივლეთ თავისი შრომის ფარდი ანაზღაურება. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ წელს გამართავდა კოლმეურნეობის ეკონომიკა, გაზრდებოდა ყანების, ზვრების, პლანტაციებისა და მეცხოველეობის პროდუქციის მისაგლიანობა.

შრომის აღრიცხვა ისე მოვაგვარეთ, რომ კოლმეურნის წესდრად სცოდნოდა თავისი შრომადღის ფასი. მოწინავე ბრიგადებსა და რგოლებს ვაჯილდოებთ. შრომაში დაწინაურებულ ბრიგადებს თუ რგოლს საჯაროდ გადავცემთ გარდამავალ წითელ დროშას. იმ კოლმეურნის კი, რომელმაც კვირის განმავლობაში სხვაზე კარგად იმუშავა, მაღლობას ვუცხადებთ და დამატებითი შრომადღის დარიცხვით ვაჯილდოებთ.

ამავე დროს კოლმეურნეს, რომელმაც წელიწადში სამასი დღე იშრომა და ოთხასი შრომადღე გამოიმუშავა, ერთი თვის შეგებულფასს ვაძლეოვთ. ამ ერთ თვეში დარიცხვება წინა ორი თვის გამოიმუშავების საშუალო ღირებულება და მიეცემა დასასვენებელ სახლში უფასო საჯურნი.

წინათ ანგარიში არ ეწეოდა იმას, თუ რა იხარჯებოდა ერთი ცენტნერი პურის, სიმინდის ან ყურძნის მოწვევაზე. ჩვენ ახლა წინასწარ დადგინდით გვაქვს, რა უნდა დაგვიჯდეს თვითელი ცენტნერი ამა თუ იმ მოსავლის მოწვევა. გადავწყვიტეთ წლიდან წლამდე ყოველი ღონე და მეცადინეობა ვინმართ ამ ცენტნერების თვითღირებულების შენამცირებლად. მაგალითად, თუ შარშან ერთი ცენტნერი ყურძნის მოწვევა ცხრა შრომადღე გვიჯდებოდა, წელს ამ ერთ ცენტნერზე ექვს შრომადღეს დაგზარავთ.

ჩვენმა პირველმა ღონისძიებებმა პირველ კვირასვე გვიჩვენა კარგი პარი. კოლმეურნეები მასობრივად გამოვიდნენ საშუალოდ. სულ უფრო ნაკლებად ნახავდით იმ დღეებში დილით კალათითა და ტომრით ზურგზე ბაზრის გზაზე დამდგარ ქალსა და კაცს, შემყირდა დღიურ ქირაზე მოსარულეთა რიცხვიც, საკარმიდამო ნაკვეთებზე მხოლოდ ადრე დილით და გვიან საღამოს, კოლმეურნეობის მინდვრებიდან დაბრუნების შემდეგ მუშაობდნენ.

წესით სამოცი წლის ხანდაზმულ კოლმეურნეს შეუძლია აღარ იმუშაოს. ეს წესი კონდოლში დღეობო პოპულარობით სარგებლობდა. ჯანითა და ღონით საეცე სამოცწლიანებს თუ კოლმეურნეობის ნაკვეთებში სატკავი, თირკმელი, გული, დღილი და სხვა ათასი სატკივარი და საიხარავი უშლიდა ხელს მუშაობაში, თავის ეზო-კარში ქვიდან რძეს ადენდნენ. მაგრამ როცა მათ კოლმეურნეობის ახალ გზაზე დამდგარ საქმეში ჩაიხედეს, შრომადღის ფასი ასწორდა-დაწინდეს, ოთხასმა კაცმა ერთხელად დაიფიქრა წელსაც, დღილიც, გულიც, და ერთი წლის მანძილზე 30654 შრომადღე გამოიმუშავეს კოლმეურნეობაში.

მე რომ აქ ჩამოვედი, 1955 წლის სამეურნეო წელი დაწყებული ჰქონდათ. ხენა-თესვა მიწურულზე იყო. ნარგავებისა და ნათესების გადიღების დრო აღარ გვრჩებოდა. უნდა მოგველო იმისათვის, რაც გაშენებული და დათესილი იყო. ეს იყო მაშინ ჩვენი თავი და თავი საზრუნავი. ხალხი გვეყავდა, მონდობა-მოწინაობა არ გვაკლდა. უხვი მოსავლის მოწვევა იმაზე იყო დამოკიდებული, როგორ მოვეუბნოდი და ვუპატრონებოდი მიწას.

თუ 1954 წლის შრომადღის ღირებულებას 1955 წლის შრომადღის ღირებულებას შევადარებთ, დავინახავთ, რომ ჩვენ 1955 წელს მეტი პატვი ვეცი მიწას და მიწამაც უკრავდა გვიზოლ ამაჯი. 1954 წელს ჰექტარზე 6,3 ცენტნერი პური და 6,9 ცენტნერი სიმინდი მოუწვიეთ. 1955 წელს 7,72 ცენტნერი პური და 2,5 ცენტნერი სიმინდი მოვიწვიეთ.

1954 წელს შრომადღეზე 0,462 გრამი მარცვალი და 1 მანეთი და 72 კაპი განუწილებიათ.

1955 წელს კი შრომადღეზე 1,5 კგ მარცვალი და 5 მანეთი ავანსილიეთ.

მთლიანად შრომადღის ღირებულება 1954 წელს 11 მანეთი ყოფილა, 1955 წელს 14 მანეთი იყო.

— ჩვენ რომ ასე გვემუშავა, დოვლათზე ვიჯდებოდით.

— ამგვარად თუ წავიდა ჩვენი საქმე, მალე მოვიკიდებთ ქონების ფიჭოს, საშუალოდ გადაიკარებს ჩვენთან „ოთხასგრამილით“!

ამბობდნენ გლეხები სინანულით, რომ გაიხსენებდნენ უქმად დაკარგულ წლებს.

ქვეყანაზე ისეთი სატიკვარი არ არის, რომელსაც თავისი წამალი არ მოეძებნებოდა. ეს წამალი ახლა პარტიამ მისცა ხალხს: შენი ტკუთი, შენი ვარაუდით, ნიჭით და ჩვენი ხელმეწყობით გაუქმე შენს საქმეს!



ასე მოვიქცეთ. წლებადელი სამეურნეო წელი ჩვენი ჰკითხა და ვარაუდით დავიწყეთ და კარგი შედეგაც მივიღეთ!

ისე შევყოლივართ მე და თავმჯდომარე საუბარს, რომ არ გავვიცი, როგორც მთავრობა შეადგინა არჩილს ყანაში მიგრატორებოდა. მეც თან გავყვი. ჩვენი საუბარი არ შეწყვეტილა.

— თუ შარშან პეტრარზე, — განაგრძობდა თავმჯდომარე, — საშუალოდ 7,72 ცენტური პური მოვიწიეთ, წელს 16-18 ცენტური მოკმეო, — საშუალოდ მეტი, ვინც შარშან მარტო აქანსა და ზაფხულზე შრომადღებ 1,5 კილოგრამი პური გავყვით. ახლა სიმინდის ვთქვათ: სიმინდსაც ისეთი პირი უჩანს, რომ არც ის გვაქმევს სირცხვილს.

მე ყოველთვის მაწუხებდა ერთი სატიკვარი: უყარათოდ ვიყენებთ კახეთის მიწას, ამ მიწის ყოველ მტკაველს თვალის ჩინივით უნდა ვფიქრობოდა და ვფიქრობოდა, ჩვენ კი ვერ კარგად არც დავფიქრებულვართ, რა უნდა ვქონეთ და მოვაშენოთ ამ მიწაზე უმთავრესად.

თავმჯდომარემ შემატყო, რომ მოთმინება არა მყოფიდა გამეო, რისი თქმა უნდოდა.

— ვენახზე მოგახსენებთ. მე რომ ვეითხოვ, კახეთში მიწების უმეტესი ნაწილი ზვრებით უნდა იყოს დაფარული. აი, შარშან ჩვენს შემოსავალს ხამი მილიონი მანეთი შეადგენდა, აქედან, ორ მილიონზე მეტი ვენახში მოგვცა. როგორა ფიქრობთ, ზვრებს ჩვენი მიწების რამდენი პროცენტი უკავია? უმცირესი. სამი ათასი პეტრარდან სულ რაღაც 130 პეტრარზე გვაქვს მსხმოიარე ვაზი. განა მარტო ჩვენს კოლმეურნეობაშია ასე? სხვაგან კიდევ უფრო ცოტაა ვაზი.

ჩვენ ზვრებში მივდივართ მიწრივებში. ამ დღის „ლამაინა“ ჰქვია. ვაზს იწვევს ასხია, რომ ზოგიერთ ძირზე თითო გოდორი მოიკრიფება.

— ან თავის მტერი უნდა იყო კაცი, რომ ასე უშუალოდ დაეგმო შენი მეურნეობა, ან ვენახის ფასი არ უნდა გესმოდეს. — თვალს არ აშორებს ვენახს და განაგრძობს თავმჯდომარე. — მაგრამ ვერც ერთს დაწამებ ჩვენს გლეხს და ვერც მეორეს. ვინ იტყვის, კახელმა ვაზის ფასი არ იცისო? იცის, მაგრამ, სადაც მიწას ოქროს ფასი შეეძლო მოეცა, იქ იმას ათვინებდენ და არ გვეყვინებდენ რაც ჩალის ფასს იძლეოდა.

რატომო, იკითხავთ. ამახ ბევრი მიწაზე აქვს მთავარი მანაც ის არის, რომ არა გვაქვს საკმარის ტექნიკა: ტრაქტორები, კულტივატორები, შესაწავალი მანქანები. მთელს ჩვენს სამი ათას პეტრარ მიწაზე ოთხი ძველი, ასევე შეკეთებული და დაკრებული ტრაქტორი დაჯახირობს. ისინი თესვას და მარგვლას ძლიერ აუღიან და, ამა ვენახს რას გასწვდებოდა მართალია, თესვის შემდეგ მუსხლეს ქარს რომ ამოაღებინებენ, შეგვიძლია ზვრებშიც გავრეკოთ, მაგრამ ამ დროს ვაზი ყვავილია და იქ ტრაქტორი არ შეიშება. დაყვავილებამდე გლეხს ჭაზი მოხსოვდა უნდა ჰქონდეს და გამოთხინილიც თორემ დაკუთდება.

თავს არ მოგაწყენთ დანარჩენი მიწაზე ჩამოთვლით, ეს მიწაზე პარტიისათვის და მთავრობისათვის ცნობილი ყოფილა, პარტიაც და მთავრობაც სწავლობდა, ეცნობოდა ამ მიწაზე და თურმე იმასვე ფიქრობდა ბალსა და ვენახზე, რასაც ჩვენ ფიქრობდით. რაც ჩვენ გავუწუებდა; ალბათ, წაიკითხავდით პარტიისა და მთავრობის 30 ივნისის დადგენილებას ხილის, კენკრისა და ყურძნის წარმოებისა და დამზადების გადღების შესახებ! მევენახეობა და მეხაღებობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა შრომურებში სოფლის მეურნეობის ყველაზე უფრო ჩამორჩენილი დარგია, ნათქვამია ამ დადგენილებაში. ცუდად უვლიან ვენახსა და ბალსო, გაკენკრებულია ბაღები და ვენახები, მეტწილად კოლმეურნეობებში ვენახები შესარები არ არის, ცოტას ხმარობენ ორგანულ და მინერალურ სასუქებს. თითქმის თავის თვლით ენახთ ჩვენი ზვრები აქ დალოცვილებს!

ახლა ყოველმხრივთ გაგვიხსნა ხელ-ფეხი. რანაირ მანქანასა და იარაღს არა გვარობდით: ორმოც ცხენის ძალიან მუხლუხოვან ტრაქტორს ვენახში სამუშაოდ, ას ორმოც ცხენის ძალიან ტრაქტორს ასანტიმეტრამდე სიღრმეზე ნიადაგის დასამუშავებლად, თანაც სასუქის შესატანი აპარატები უნდა ჰქონდეს ასეთ ტრაქტორს, კიდევაც მონხავს და სასუქსაც შეაქმევს მიწას. არც ის კოლმეურნეობები დაივიწყეს, რომელთა მიწები ფიქრობებოდა. მათთვისაც შეიქმნება ახალი ტიპის ტრაქტორი. რალა სათითაოდ ჩამოვიტოვოთ, თვითონ ნახავდით, რამდენი სხვადასხვა სახის საბაოდ და სავენახო ტრაქტორია დადგენილებაში ჩამოთვლილი: ზოგი სალანტაჟო, ზოგი საკულტივაციო, თბრილაგმეცანი და ამოსაძირკვე-შემგროვებელი. ამას გარდა მაღალი წარმადობის სატრაქტორი სასხურებელი და საფრქველები, ცხენ-მოტორები, და ცხენის სასხურებელი, ჩანთიანი აპარატები და ვინ მოსთვლის კიდევ რა! მტს-ში შეიქმნება საეციალური ბრიგადები მეხაღებობა-მევენახეობისა.

გვეყრონ, რას გავკეთებინებ ვაზს კახელი გლეხნი რა სიმდღრეს და სიკეთეს მიიღებს მისგან!

კონდოლის მიწები ხომ სწორედ ვაზისთვისაა გაჩენილი. ჩვენ წინანდლის საბჭოთა მეურნეობის მიწების მომიჯნევი ვართ. ზოგი ჩვენი ზვრები... რალა ზოგი — ნადარბაზვისა და ლეონიძის ზვრები წინანდლის ზვრებთან თავს მაღლაც უყვენ.

ამათ რომ ღირსეული მოვლა ჰქონოდათ, ავ თვალს არ შეეხებოდით. — სიყვარულით მოვლო ვენახს თვლით თავმჯდომარეო! — ეს ზვრები კიდევ გვარია-ნადაა მოვლოლი. თქვენ მექმევე ბრიგადის ზვრები რომ ვენახით, გული ჩაგვწყებოდით. სირცხვილით იწვოდა ბრიგადირი. მომხმარეთ, მომიციეთ ტრაქტორი, ან გამანათავისუფლო ბრიგადირობიდან, თავს რალა მჭირთ, კაცი ვარ, ქული მხურავსო.

თავმჯდომარემ გაიღიმა:

— აი მოგახსენებთ პარტია და მთავრობა, და მერე როგორ! — თქვა კმაყოფილებით — ჩვენ ვაზის ბევრი კარგი ოსტატი გვყავს, ისინი იმ მცირე ტექნიკითაც კი, რომელიც ამჟამად ჩვენ ხელთაა, ყურძნის უხვ მოსავალს იწვევენ. კახეთში საშუალოდ პეტრარზე 50 ცენტური ყურძენი მოჰყავთ. ჩვენმა მოწინავე მევენახეებმა სამჯერ მეტი ყურძენი გამოასხვენიეს ვაზს.

წარმოიდგინეთ, რას გააკეთებენ ისინი, როცა პარტია და მთავრობა იმ ტექნიკას მოგვცემს, რასაც გვპირდება ახალ დადგენილებაში ჩვენ აქამდე წელიწადში ხუთ პეტრარზე ძლიერ ვამუშავდით ახალ ვაზს. ახალი ტექნიკით რატომ ორმოც პეტრარზე არ გავაშენებთ!

ფულითაც გვიმართვენ ხელს! ავანსად მოგვეცემენ დასამზადებელი ყურძნის საერთო ღირებულების 50 პროცენტს. გასასყიდ ფასებს არ იკითხავენ? იგივე გახლავთ, რაც საკოლმეურნეო ბაზარზეა დამზადების ადგილებში.

მევენახეობის სპეციალიზირებული კოლმეურნეობები აი, რითი უნდა იქცეოდეს კახეთი ქვეყნის ყურადღებას. სად, ჩვენი ქვეყნის რომელ შორეულ კუთხეში არ გაიგონებთ კახური ღვინის ქება-დიდებას. ვინ არ იცის, ვის არ გაუსინჯია „წინანდლის“, „ნაფარულის“, „მუკუნის“, „საფრავის“, „ქინძ-მარაშის“, „ტაბაისის“, „რაქაწიფის“, „ქემო“ ვის მოუყა აზრად, ვინ დაჯერებს, რომ კახეთის მიწის ასე მცირე ადგილი უჭირავთ „ღვინოთა ამ მეფეებს“!

ზვრებიდან ახალგაზრდა ბაღში გავედით.

— ახლა შეხილეთა ავილით. ეს დარგი ხომ მთლად სამარცხვინო მდგომარეობაშია ჩვენთან და მთელს კახეთშიც. კახური ხილი ტოლს არაფერში დაუდებს ქართლსა. არც გემოთ ჩამოუფარდება მას, არც ფერითა და სიდიდით, არც ნაკლებს ისხამს, მეტეს თუ არა. იქნებ უფრო დიდი მოვლა-პატრონობა უნდა, ვიდრე ქართლში? არა. ნაკლებად უყვართ აქ ბაღი ან არ იციან მისი მოვლა? აბა, ჩვენს საკარმიდამოებში შეხილეთ: ნაყოფს ვერ იკავებენ ტოტები, ისეა დასუნდალი.

თავმჯდომარის ლაპარაკის კილოთი, მისი თვალეზის სხივით და აზრით ადვილად მიხვდებოდით, რომ ამ კაცს მეხადებოდა არა ნაკლებ შეტყევა გული.

— ბევრ ჩვენს რესპუბლიკაში მთებშიც კი ამუნებენ ბაღებს, ალბათ ზონაში, სადაც არასოდეს გაუხარია არამტოუ ხეხილს, ქერსაც კი, და კახეთში, რომელსაც ოდიტანვე „ხილის დღდა“ ეძახიან, საკარმიდამოებში ბაღები არა გვაქვს. თავმოსაქრელი ამბავი გვჭირს და დღემდე გულხელდაკრეფილები ვზვიავრ.

მე არასოდეს არ დამევიწყებდა ყვარლის რაიკომის ყოფილი მდივნის მიხელო ციხისთავის პატრიოტული საქმე: ამ რვა წლის წინათ მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით მიველ თელავ-ყვარლის გზატკეცილის ორივე ნაპირზე კაკლის ხეები დარგეს. დღეს ამ გზის ნახვას არაფერი სჯობია. კაკლები დაიზარდნენ, ტანომ ყველა ჩვენს გზებს არ უნდა ამშვენებდეს ხეხილის ხეივანი!

ამ დადგენილების შემდეგ სხვა თვლით შეხედავენ უფრო მეხადებობას, ბოლო მოეღება დღემდე არსებულ უსულგულო დამოკიდებულებას ამ ფრიად მნიშვნელოვანი დარგისადმი.

ჩემი აქ არჩევის პირველსავე დღიდან მოგვიღებო ხელი ამ საქმეს. ბევრი აღმომიჩნდა მხარის დამჭერი: პარტიული ორგანიზაცია, ჩემი მოადგილე ილო ყვარლისში, ახალგაზრდობა, აგრონომი. წელიწადნახევარში ხუთ პეტრარზე გაეაშენეთ აი ეს ბაღი.

— შედგა თავმჯდომარე ერთ-ერთ ვაზლის ხესთან. — ხუთი პეტრარია სულ. მაგრამ რად გინდათ, ვერ ვუვლით, ახლა მალე აქაც გავგვიხსნება ხელ-ფეხი; ბალსაც დაავადებთ თავს.

სალამოვდება.

ბაღიდან გამოვედით. გზაზე ილო ყვარლისში და აგრონომი წამოგვეყვი. ისინი სიმინდში ყოფილყვენ. ორივეს ისეთი სახე ჰქონდა, გეგონებოდათ, რალაც იდგი ჯიღლო მიუღიათო.

— კარგი სიმინდი გვაქვს წელს, — მოგაგება სიტყვა ილო ყვარლისში. მერე ყანისკენ მიბრუნდა, გახსნა ყარაგივით სწორ ხაზზე ჩარიგებულ ტაროში შესულ სიმინდის მწკრივებს.

აქა-იქ ყანაში მიღებვივით იდგნენ კაკლის ვეება ხეები. კაკლის ხე კახეთში კოლმეურნეთა

საყვარელი საჩრდილობელი და დასასვენებელი ადგილია. აქ ჰამენ პურს, ინახვენ ხელჩანთებს, იარაღს, აქ უყენიათ ორთავლები, აქ უღვიათ წყალი და ღვინო ღლებში, მწვანე ფოთლით ან ჩალით რომ აქეთ თავები წაყრული, და რომ არ გვეყროდეს, მოგაწყურებთ წყალსაც და ღვინოსაც.

აი, გზისპირას მდარე კაკალზე ქაშაყიკვეთული ხელჩანთები და ღლები ჩამოსხნეს, ქალებმა, ვიღაც ორთავლაში ცხენს აბამს, ვიღაცამ იქვე ბალსებში დაბმული ღორი ახსნა.

მიწურა სამუშაო დღე. სოფლისკენ დაიძრა ქალი და კაცი.

სადაც ახლოს, ზვრებს იქით, მამაკაცის მხიარული, ცოცხალი სიმღერა გაისმა.

ხის ძირას მდგარმა ქალებმა ერთმანეთს გადახედეს შეთქმულებით, მერე ყველას თვლი მწვანე კაბიან ქალიშვილისკენ გაიქცა.

სიმღერა ნელა ახლოვდებოდა.

უცებ კაკლის ძირას ამღერდა მწვანე კაბიანი ქალიშვილი, თავისი ხელჩანთა ამხანაფს გადაკიდა მხარზე, გამოეყო ხეებს, შეერია სიმინდებს და გაემართა იქით, საიდანაც მამაკაცის სიმღერა ახლოვდებოდა.

ჩვენ ვიდევით და ვუსმენდით, როგორ უახლოვდებოდა ორი ბედნიერები გამთბარი ხმა ერთმანეთს...

...ფრინველის დაბუღების ქამი იყო.

ავიარეთ უკანასკნელი აღმართი. გამორჩნდა კონდოლის განაპირა სახლები. განათდა ელექტრონის ნათურები აივნებზე, გაიჭრა და გაიხლართა სხივები ატმისა და ლედვის ტოტებში. ფართოდ შედის გზა სოფელში.

აქედან დასქეობდნენ ალბათ გულდაწყვეტილი კონდოლელი ქალები ალახნის მინდვრებს და ნაღვლიანად მღეროდნენ:

კონდოლიდან გამომვრკავ  
ღამა-ღამა პატარაძლოსო,  
კონდოლს ქვევით არ გავუშვებ,  
არ ვფრინებ ალახანსო.

ეს ალახნისპირა მიწები ძველად თავად ქობულაშვილებისა ყოფილა. ამ თავადებს ყმები ცოტა ჰყოლიათ და დიდძალი მიწები დაუმუშავებელი რჩებოდათ.

პართენ ქობულაშვილი კონდოლიდან ლეონიძეებს და ავლიშვილების ყმების გადმორბებას ცდილობდა თურმე. საუკეთესო მიწებს სათავაზობდა მათ ალახანზე. მაგრამ კონდოლელი გლეხები არ ეგებოდნენ მრისხანე და ძუნწი თავადის ანექსზე. ტუბილი სიტყვით რომ ვერ დაუყოლიებია თავად გლეხები, ახლა მუქარით უყვია მათი დამინება.

უთუოდ მართლაც არ უშვებდა პართენ ქობულაშვილი კონდოლს ქვევით გლეხებს. ამიტომ არის, რომ კონდოლიდან ნაყოფიერად ვიდრე ალახანამდე ერთ მოსახლეს ვერ ნახავთ ამ რეგებრთელა გლეხე. ახლა ეს მიწები კონდოლელებისაა, აქაა გამოილი მათი ყანები, პლანტაციები, ბაღი და ზვრები.

დიდი სოფელია კონდოლი, რვა უბნისგან შესდგება იგი. შოშიანთ, ანუ საბჭოს უბანი, უთალიანთ უბანი, კიკოლიანთ უბანი, ჭიკაძეანთ, ჩიღრანთ, ჩარბაძეანთ, ახალმოსულიანთ და ახალი უბანი.

წინათ ამ რვა უბანს ხუთი კოლმეურნეობა ჰქონდა. ახლა ყველა უბანი ერთ არტელშია გაერთიანებული და საერთო ღონითა და მეცადინეობით ერთ საქმის აკეთებს. ყველა უბანს თავისი ნიშნ-თვისება აქვს. ახალ უბანში თითქმის ყველა ლერ-ხუმიდანაა ჩამოსახლებული. ისინი მიწვერობის თაყააზი არიან და ამ საქმეში ასაბრეს არავის უთმობენ; სხვა უბანში პურის საქმე იციან უკეთ: არიან მესიმინდებებიც, მეცხვარეებიც. ყველა იმ საქმეს აკეთებს და ადგია, რაც უყვარს, იტაცებს და იცის.

სოფელში რომ შევიდით, დაღამებული იყო. ბინდში ჩაბუნბუნებულ მთვარე ამაოდ ცდილობდა ცარიელზე გამოსვლას. კავკასიონის ჩდიდან ჯგროჯგრო წამოსული ტყეყისავეთი მძიმე და ტყეყისავე ფერი საეჭვო ღრუბლები ყოველი მხრიდან უჭირდნენ გზას.

დღისით, როცა მინდვრებში მივდიოდით, სოფელში ადამიანის ჰუბანება არ იყო. ახლა კი დღულდა და გადმოდოდა აქ სიცოცხლე: ვინ ძროხას წვიცოდა, ვინ სუფრას შიდა აივანზე, ვიღაც ვიღაცს ეძახდა, ზოგი ახლა ანთებდა იკცხლს, შინისკენ მიიჩქაროდნენ მხარზე კოკავადებულ ქალები და გოგონები...

მამაკაცი ჰიშვრებთან შეყრილიყვენ, შინ შესვლას არ ჩაბრბოდნენ. სანამ გახსნამდე დაუმუშავდნენ, დრო ჰქონდათ, ერთ-ორი სიტყვა გაეცხებოდა ერთმანეთისათვის. ჰყვებოდნენ პურის მოსავლისას. ვენახის მსხმოიარობისას, არ მოსწონდათ ცა, — აქ ხომ სეტყვის ისე ეშინიათ, როგორც ტყეყის.


შუა გზაზე მივდივართ, ჰიშვრებთან შეყრილი კოლმეურნეობი თავმჯდომარის ხმით ცნობენ. ხმამალოდა ესაოზებოდა, ზოგი თან მოჰყავდა, თავმჯდომარის ჯარშით ჯგუფი იზრდება. მოჰყავებოდა ბრიგადირები, მერჯოლურები. ზოგი შესჩვიის, ზოგი სთხოვს, ვისაც საქმე არა აქვს, ისე მოჰყვება გვერდით, მოაცილებს.







# სადგურის უფროსი



პატარა სადგურია მეტეხი. აქ ერთდროულად იშვიათად დგას რამდენიმე შემადგენლობა. თითქმის არც ერთი მატარებელი ხუთ წუთზე მეტ ხანს არ ჩერდება. არც მგზავრთა სიჭრელე და მრავალრიცხოვნება გეცემათ თვალში, არც მგზავრობისათვის დამახასიათებელი მდგეღვარება და ფუსფუსი. სალაროებთან, ვაგონებში ჩასხდომისას არ დგას რიგი. მოსაცდელ ღარბაზში ვერ შეხვდებით ლოდინით გაბეჭრებულ, სკამებზე ჩამოძინებულ მგზავრებს, ნომრისანი მებარგეები არ ეცილებიან ერთმანეთს მგზავრთა მომსახურებაში.

თავისებური ცხოვრებით სუნთქავს პატარა სადგური. დიდი სადგურებისაგან განსხვავებით, აქ თითქმის ყოველი მგზავრი იცნობს ერთმანეთს. ისინი ხომ მახლობელი სოფლების მკვიდრნი არიან. მოსაცდელ ღარბაზში, მგზავრებისათვის საგანგებოდ მოწყობილ ფანჯატურში სხედან სასიეროთელი, გომელი, ნოსტიელი, ერთაწმინდელი, გარიყული კოლომურნეები და მატარებლის მოლოდინში ერთმანეთს უყვებიან თავიანთი სოფლის ახალ ამბებს, მერე ჩამოდგება მატარებელი და როდესაც მორიგე მასაც გაისტუმრებს, სადგური ერთბაშად ცარიელდება.


ახალგაზრდა მისერე ნოდარ ფციქლაძე ლარავით გაქიბულ რკინიგზას გახედავს და მორიგი მატარებლის მოლოდინში ერთხელ კიდევ გასინჯავს ისრების მექანიზმს, დაზეთავს და ნელი ნაბიჯით გაყვება ლიანდაგს.

არც სადგურის სხვა მუშაკები რჩებიან უსაქმოდ. დიმიტრი პატარქალაშვილი მგვის, ასუფთავებს მოსაცდელ ღარბაზს, სადგურის მოედანს, ბაქანს. მექანიკოსი უშანგი ლომიძე და მონტორი ნოდარ პატარქალაშვილი ამოწმებენ საკონტაქტო ქსელის მდგომარეობას, სამორიგეოში ისმის ზარის წკრალი, მორიგე ბაგრატ მამულაგი ისმენს დისპეტჩერის ახალ განკარგულებებს.

— ათი წუთის შემდეგ კასპიდან გამოვა ცემენტითა და საშენი მასალით დატვირთული მძიმე შემადგენლობა, გაატარეთ დაუყოვნებლივ. — ისმის სელექტორში დისპეტჩერის ხმა.

— გასაგებია, — პასუხობს მორიგე და, თავის მხრივ, უმატებს: — ნახევარ საათში დატვირთული იქნე-

ფოტოზე (ზემოთ): მეტეხი. სადგურის უფროსი ი. კანდელაკი იღებს მატარებელს. მისერე ნ. ფციქლაძე და სადგურის უფროსი ი. კანდელაკი ამოწმებენ ისრის მუშაობას.



ბა ჩვენს განკარგულებაში მყოფი ყველა ვაგონი, გამოგზავნეთ ორთქლმავალი.

შემდეგ კვლავ ჩაივლიან საბარგო და სამგზავრო მატარებლები.

— ეს რომელია, სოკა-თბილისი? — ამოიხრებს არსენ კაკაშვილი და გულნატკენი გააყოლებს თვალს გაკრიალებულ ვაგონებს. რამდენი ხანია მეტეხში მისერედ მუშაობს და აქამდე ვერ შეგუებია, რომ ბევრი სამგზავრო მატარებელი ამ სადგურში არ ჩერდება.

— აბა, ერთი მითხარით, რატომ არ უნდა ჩერდებოდეს — ეკამათება ის ყველას, ვინც უმტკიცებს, რომ ეს საჭირო არაა, — პატარა სადგურიაო. მერე რა, რომ პატარაა. ცოტა ხანს შეჩერდეს. ერთი წუთით, ერთი წამით მაინც. არა, თქვენ რაც გინდათ თქვით და, დიდი შეურაცხყოფა კია სადგურისათვის, შეუჩერებლივ რომ ჩაუვლის მატარებელი.

დროდადრო ივსება ხალხით პატარა სადგურის ბაქანი და კვლავ ცარიელდება. მთელი დღე-ღამის განმავლობა-

ში მიდიან და მოდიან მატარებლები, მგზავრები... იცვლებიან მორიგეები. ბაგრატ მამულაგის ნაცვლად ახლა გრიგოლ არხოზაშვილი იხურავს წითელ ქულს და სელექტორს მიუჯდება. მისერე ნოდარ ფციქლაძის

მაგივრად არსენ კაკაშვილი ან დავით ჯონიაშვილი მორიგეობს. იცვლებიან მოლარეებიც.

მხოლოდ ერთადერთი კაცია სადგურში უცვლელი: ეს სადგურის უფროსი იასონ კანდელაკი გახლავთ. რა დროსაც არ უნდა მოიკითხოთ, მას მუდამ სადგურში ნახავთ. იგი ხან მორიგესთანაა, ხან მეისრესთან, მემანქანესთან, მტვირთავთან, ვაგონის გამსინჯველთან, აძლევს მათ რჩევადარიებებს, განკარგულებებს. სადგურის უფროსს პატარა კაბინეტიც აქვს. მაგრამ აქ თითქმის არასოდეს არ მიდიან მასთან თხოვნით — არც თანამშრომლები, არც მგზავრები. იგი თვითონ მიდის ყველასთან. იცის, ხდება, ვის რა აწუხებს, ვის რა დახმარება სჭირდება. ხელისგულივით იცნობს არა მარტო თავის სამუშაო ობიექტს, იცის რა ხდება ამ უბანზე თბილისიდან ხაშურამდე. ზეპირად იცის მატარებლების მოძრაობის გრაფიკი და როცა ზოგჯერ იგი ირღვევა, მაშინვე დისპეტჩერს უკავშირდება თბილისში.

არაფერი ავიწყდება სადგურის უფროსს. ყველაფერს წვდება მისი ყური და თვალი. ან კი არ უნდა გამოაპაროთ კაცს, რომელიც მს წელიწადი რკინიგზაზე მუშაობს. არ არის ამ დარგში თითქმის არც ერთი თანამდებობა, რომელზეც მას არ ემუშავოს. იყო გზის შემკეთებელი მუშა, მისერე, სადგურის მორიგე. ეს უკანასკნელი ოცი წელიწადი კი სადგურის უფროსია. ყველგან, სადაც მას ემუშავებია, სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა. სადგურ მეტეხში ბევრი რამ გაკეთდა მისი ინიციატივით ამ ხუთი წლის განმავლობაში: გამოიყვანეს სახმელი წყალი, მოწესრიგდა ელექტროგაყვანილობა. დაიღვა რადიოწერტი, მოასვალტებული იქნა სადგურის მოედანი და ბაქანი. სადგურის ტერიტორიაზე დარგეს 220 ძირი ხე, მათ შორის ვაშლი, მსხალი, კომში. სადგური მუდამ ზუსტად იცავს მოძრაობისა და საგზაო უშიშროების წესებს, მატარებლის მიმოსვლის გრაფიკს.

\*\*\*

სადგურის ჩვეულებრივ ცხოვრებას ზოგჯერ მოულოდნელი შემთხვევები არღვევს. აი იმ დღესაც ერთ-ერთმა სამგზავრო მატარებელმა ორი საათით დაიგვიანა და ამან ყველაფერი აირივ-დარია. რამდენიმე მატარებელი ამოვარდა გრაფიკიდან. სადგურ მეტეხში დაგროვდა დატვირთული ვაგონები. საჭირო იყო მათი დანიშნულებისამებრ დაუყოვნებლივ გაგზავნა. მორიგე სერგო ლომიძე ყოველ 10 წუთში უკავშირდებოდა დისპეტჩერს.

— „გამოგზავნეთ ელმავალი, გამოგზავნეთ ელმავალი“, მაგრამ საშველი არ დაადა. სადგურის უფროსმა ვერ მოითმინა. მორიგეს ყურმილი გამოსტაცა და დისპეტჩერს დაუყვარა:

— რას გავს ეს. რატომ მიცდენთ ვაგონებს. გრაფიკი დაირღვეა? მერე რა! ასეთ შემთხვევაში ზუსტად უნდა გაანაწილოთ დრო და დღის ახალი გრაფიკი შეადგინოთ. მაშ, თუ იცით, რას უყურებთ? რატომ აჩერებთ სადგურში დატვირთულ ვაგონებს? დაბა, ორი ეშელონია, მაგრამ თუ გამოცდელი შემთხვევები გამოგზავნით, მძიმე შემადგენლობას შევადგენთ და ერთი ელმავალიც გვეყოფა.

სადგურის დისპეტჩერს ჭკუაში დაუჯდა სადგურის უფროსის რჩევა. მალე საშენი მასალით დატვირთული მძიმე შემადგენლობა დასავლეთისაკენ დაიძრა.

ასეთი დაძაბული ვითარება სადგურ მეტეხში იშვიათად იქმნება. ჩვეულებრივ ყველაფერი მშვიდად, წესიერად მიმდინარეობს: მიდიან და მოდიან მატარებლები, იცლება და იტვირთება ვაგონები, მაგრამ ეს სრულიად არ ხდის მოსაწყენს პატარა სადგურის ცხოვრებას. ახალ-ახალი წარმატებებისაკენ სწრაფვა, ახალი მიზნები და ამოცანები მიმზიდველად და საინტერესოდ აქცევენ სადგურის უფროსის კანდელაკისა და მისი ამხანაგების შრომასა და ცხოვრებას.

პატარა სადგურია მეტეხი, ერთ-ერთი იმ პატარა სადგურებს შორის, რომელთა ზუსტ და წესიერ მუშაობაზეა დამოკიდებული დიდ რკინიგზის ქსელთა ნორმალური ცხოვრება.







კულტურისა და მეცნიერების სასახლის ნათელი სილუეტი ახალ ელფერს აძლევს ვარშავას. ის მოჩანს შორიდან — ვარშავისაკენ მიმავალი ყველა გზიდან. სასახლეში დღენიადავ დიდი მუშაობაა გაჩაღებული. აქ მუშაობენ მეცნიერები, ხალხით სავსეა თეატრისა და საგამოფენო დარბაზები, სამეცადინოდ იკრიბება ახალგაზრდობა. ვარშავაში ჩამოსული ექსკურსანტები ყველაზე პირველად სასახლის სანახაველ მიემშურებიან.

# ვარშავა

ალინა რეზანი

პოლონური ჟურნ. „პოლიშის“ („მეგობრობა“) მთავარი რედაქტორის მოადგილე


თუ გსურთ იხილოთ ვარშავა მთელი მისი წარმტაცი მშვენიერებით, — ესტუმრეთ მას ადრიან შემოდგომაზე. სწორედ რომ ახალი ძლიერებით ჩქეფს და გადმოდუღს ამ დროს ზაფხულის თვეებში ოდნავ მიწუნარებული და თითქმის მთვლემარე დიდი ქალაქის ცხოვრება. ქუჩები სავსეა გამვლელებით, რომლებიც სულ სადღაც მიემშურებიან (ვარშაველები ყოველთვის სადღაც მიიჩქარიან!). გაისმის ბანაკებიდან დაბრუნებული ბავშვების საამური ყვირილ-ხივილი, ყურთასმენას ატკბობს საზაფხულო დას-

ვენების შემდეგ უფრო გამშვენიერებულ, ნაირფეროვნად მორთულ-მოკაშმულ ტურფა ბანოვანთა მომხიბლავი სიცილ-კისკისი...  
საუცხოო სანახავეა ვარშავის პარკები შემოდგომის დღეებში, როცა აღამიანის თვალს ატყვევებს და აჯადოებს წითელ-ყვითელი ფერებით აბრიალებული ხეივნები, როცა ქუჩებში გაშლილი ფარდულები ველარ იტევენ დაწვინულ ლოყაწითელ ვაშლებს; ვარსკვლავისებურ ასტრებსა და ფერად-ფერად ვარდებს ყიდიან უზარმაზარი ქოლგების ქვეშ შეხიზნული კოხტა გოგონები. ზაფხულობით ყვავილიანი ქოთნების ბარიერებს იქით გამართული კაფეები ჯერ კიდევ არ შემალულან პაპიროსის ბოლითა



ვარშავის კაფეები ზაფხულობით შიგ ქუჩებშია გამოტანილი. ვარშაველები უდიდესი ხალისითა და სიამით ატარებენ აქ დროს მაგარი შავი ყავით სავსე ფინჯანთან. აი „საზაფხულო ბაღი“, კაფე „ლაინონიკი“ — პოლონელ მხატვართა თავშეყრის ადგილი.

დათვთან სურათის გადაღება უდიდესი სიხარულია ბავშვთათვის. მოხეტიალე ფოტოგრაფი დათვით (რა ვუყოთ, რომ დათვი ნამდვილი არაა!) ყოველთვის იშოვნის მუშტარს.







და მაგარი ყავის სუნით გაუღწეო ბინებში. ყავა ხომ ჩვენი დედაქალაქის მცხოვრებთა საყვარელი სასმელია! ვარშაველებს უყვართ საზაფხულო შევებულების გატარება მთებში ანდა ზღვაზე. მათი უმრავლესობა ახლა უკვე დაბრუნებია ყოველდღიურ საქმიანობასა და საზღვრებს. ურივიან უვარგის ტრანსპორტს და სივიწროეს ტრამვაის ვაგონებში, ზოგი განიცდის ბინების ნაკლებობის სიძნელეს, — მიუხედავად უდიდესი მშენებლობისა, ბინა მაინც არ ყოფნის დღითი დღე მზარდ მოსახლეობას. ნუ გაგივირდებათ, თუ ახლად ასაგებ სახლთან დაინახავთ გამვლელს, რომელიც კრიტიკული თვალით შეყურებს შენობას, ამოწმებს მშენებლობის ხარისხს, მის ტემპსა და სისადავეს (იქნებ არქიტექტორებმა კვლავ გამოიგონეს რაღაც გასაოცარი კოლონები ან ფიგურები, რომელთაც უკვე დაამახინჯეს არა ერთი და ორი შენობა!). გაზეთის კიოსკებთან დგას გრძელი რიგები — დიდი ტირაჟების მიუხედავად, ხელიდან ხელში იტაცებენ გაზეთებსა და ჟურნალებს.


პოლონეთის პრესაში იხილავენ სხვადასხვა საქირბორტო საკითხებს. საბჭოთა კავშირის კომპარტიის XX ყრილობამ და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეშვიდე პლენუმმა გამოაცვი-

კონსტიტუციის მოედანზე შეიძლება ვიცილოთ ძვირფასი ნივთები ყველაზე კარგ მაღაზიებში, ვიშოვნოთ მოგზაურობათა ბიუროს ბილეთი, დავათვალიეროთ ხალხურ ნაკეთობათა ვიტრინები, ჩამოვჯდეთ მერსზე...

ვარშავის გერბია თევზისკუდიანი ლამაზი ქალი — სირინოზი. საუკუნეთა მანძილზე ის მრავალჯერ იცვლიდა სახეს. ეს ქანდაკება ახლა კონსტიტუციის საანაბრთზეა აღმართული.



უკანასკნელი თბილი დღეები პარკში. დარაჯის გამოჩენამდე უნდა მოასწორო გზიდან ყვევილნარში გადასვლა და დედისთვის ოქროსფერი ფოთლების აკრეფა.




მთავარი უნივერსიტეტის კარებთან დგას გამაგრებული წყლების კიოსკი, ზაფხულის დღეებში მის ირგვლივ უამრავი ხალხია.

ხლა ხალხი, უფრო ღრმად ჩააფიქრა და საშუალება მისცა მას კრიტიკულად გადასინჯოს განვლილი გზა, გამოაშკარაოს შეცდომები. ახალი შესაძლებლობა მიეცა თვითეული მშრომლის ინიციატივას, დაისახა ფართო პერსპექტივები ეკონომიური და კულტურული აღმავლობისათვის. ახლა, ვიდრე ოდესმე, თვითეული უფრო მეტ პასუხისმგებლობას გრძნობს ხალხის მომავლისათვის, თავისი სოციალისტური სამშობლოს მომავლისათვის.

შეუძლებელია იმ წუთების დავიწყება, როცა ხელავ ვარშაველებს, რომლებიც გაცხარებით დავობენ და კამათობენ სხვადასხვა თემაზე — იქნება ეს საწარმოს მართვამგებობის საკითხი თუ ხელოვნების ახალ გზათა ძიების პრობლემა. ვარშაველებს არათუ უყვართ ყველაფრის რიგიანად ასხნა და განხილვა, არამედ მათ შესწევთ მარჯვედ მუშაობის უნარიც.

დიდი მზრუნველობითა და სიყვარულით განაგრძობენ ვარშაველები ქალაქის უძველესი ნაწილის — სტარე მიასტოს აღდგენას. უკვე აღდგენილია მისი უდიდესი ნაწილი. სურათზე: სტარე მიასტოს ხედი მდინარე ვისლის მხრიდან.





ეს ვარშაველები იყვნენ, ნახევრად მშვიდ-მწყურვალნი და შიშველ-ტიტველნი რომ აგებდნენ თავიანთ ქალაქს ზამთარსა და ზაფხულში, დღისით და ღამით. ისინი უდიდესი სიყვარულით აწყობდნენ ქვას ქვაზე და ისე აღადგინეს სტარე მიასტო—დედაქალაქის უძველესი ნაწილი, ბარბაროსულად დანგრეული და განადგურებული რომ იყო პიტლერელი დამპყრობლების მიერ.

დღეს ვარშავა ცხოვრობს დედაქალაქის მჩქეფარე ცხოვრებით. ის პოლონეთის დიდი პოლიტიკური და კულტურული ცენტრია. აქ, ამ შემოდგომაზე, თავი მოიყარეს ხალხის წარმომადგენლებმა, რათა განეხილათ ხალხის ცხოვრებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი და მტივირებული საკითხები. აქ, ვარშავაში, მოეშურებინა ექსპურსანტები მთელი პოლონეთიდან, რათა დაათვალიერონ კულტურისა და მეცნიერების სახანძრე—საბჭოთა კავშირის საჩუქარი, რათა იხილონ დედაქალაქის აღდგენილი ღირსშესანიშნობანი, დაესწრონ ახალ დადგმებს თეატრებში, შეიხედონ სურათთა გალერეებში.

გამოფენათა დარბაზები სავსეა ხალხით. ძლივს ასწრებენ დათვალიერონ ყველაზე საინტერესო. მაგალითად, ამას წინათ ყველას სურდა ენახა ინდური ხელოვნების ნიმუშები, დიდი წარმატებით სარგებლობდა შევიცარული პლაკატების გამოფენა; პოლონელი მხატვართა ახალი ნამუშევრების ნახვა შეიძლება თეატრის ფოიეში ან ზანდახან მწერალთა კაფეში გამართულ ინდივიდუალურ და ჯგუფურ გამოფენებზე.

პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთგვითან დაკავშირებით დიდის წარმატებით ჩატარდა საბჭოთა ახალი საუკეთესო კინოფილმების ფესტივალი. ვარშავის მყურებელმა ნახა „ოტლო“, „დედა“, „რუმინცივის საქმე“, და მრავალი სხვა.


სადამოებით ხალხით ივსება თეატრები და საკონცერტო დარბაზები. აქ მსურველედ მიესალმნენ იმიერკარპატის უკრაინის ხალხური გუნდის გამოსვლას. ოპერის თეატრში მიდის „ფაუსტი — ვალპურგის ღამე“ აბსტრაქტული დეკორაციებით (აბა როგორ არ უნდა ნახოს ეს კაცმა და არ იკამათოს).

ვარშავა ადრე იძინებს. წარმოდგენების დამთავრების შემდეგ (დასაწყისი შვიდ საათზეა) ქალაქი წელნელა ყუჩდება, იშვიათად მიმოდიან ტრამვაები, ტაქსის მძღოლები მოთმინებით ელოდებიან დაგვიანებულ, ზმირად შეზარხოშებულ მგზავრებს. ღამის ზოგიერთ რესტორანში ბობოქრობს ჯაზი. აქ შეხვდებით ჩამოსულ პროვინციელებს, რომელნიც მთელი დღე მოუსვენრად დაქროდნენ სხვადასხვა საქმეზე და ახლა სურთ ცოტა წაიჭიფონ; აქვე არიან ვარშაველი სტილიაგები — უერარ ფილიპისებური თმით. მომცრო მაგიდებთან მიმჯდარან და პრაილა იატაკზე სამზოს ცეკვით ფეხებს ასრიალებენ ცნობილ კინოსახიზო მარინა ვლადის ვარშაველი ასლები.

დილაადრიან კვლავ ახმაურდება ვარშავის ქუჩები. ამოძრავდებიან ხალხით სავსე ტრამვაის ვაგონები და ავტობუსები. დიასახლისები თვალების ფშვნებით მიეშურებიან ბაზრისკენ. ხორცის მაღაზიებთან იმართება ჩვეულებრივი ქორიკანობა და დროადადრო გაისმის შეძახილები: „ის ქალბატონი იღვა აქ? არ იღვა. იღვა? არ იღვა“.

სასაუზმებში, მაღალ მაგიდასთან მიმდგარან და აჩქარებით საუზმობენ მუშები, მოსამსახურეები, სტუდენტები. იწყება საქმიანი დღე ფაბრიკა-ქარხნებში, დაწესებულებებში, სკოლებში.

იღვიძებს და ცხოვრებას იწყებს აღდგენილი, გამშვენიერებული ვარშავა. ის შეუპოვრად ებრძვის ყოველგვარ სიძინელს და თანდათანობით ძლივს ყველა დაბრკოლებას.



## ქართული სკოლა ორჯონიკიძეში

თუ შემთხვევა მოგვცემთ იმოგზაუროთ საქართველოს სამხედრო გზით, და ლურჯი ტურისტული ავტობუსი ჯვარის უღელტეხილისა და დარიალის ვიწროების გავლის შემდეგ ქალაქ ორჯონიკიძეში ჩავიყვანთ, აუცილებლად შეიარეთ წერეთლის ქუჩაზე.

იქ, კუთხეში დგას ერთი ორსართულიანი სახლი და აგერ რამდენიმე ათეული წელია, რაც ის მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მრავალი ადამიანის ბედზე.

კავკასიონის ქედის ორივე მხარეს სხვადასხვა ასაკის, პროფესიის, საზოგადოებრივი მდგომარეობის მრავალი ადამიანი — ქარხნის ძველი ოსტატები, მეცნიერები, აგრონომები, ექიმები, ოფიცრები და სტუდენტები პატივისცემით წარმოთქამენ: — ორსართულიანი სახლი ორჯონიკიძეში წერეთლის ქუჩის კუთხეში, ეს ხომ ჩვენი სკოლაა?

...პირველად ამ ქართული სკოლის შესახებ რუსულ ქალაქში, რომელსაც მაშინ ჯერ კიდევ ვლადიკავკაზი ერქვა, ცნობა მოათავსა გაზეთმა „ივერიამ“ 1888 წელს. ვლადიკავკაზელი კორესპონდენტი წერდა: მიხეილ ზაალის-ძე ყიფიანის ენერჯული საქმიანობა, რომელიც მოქმედებდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაფუძნებით, წარმატებით დამთავრდა. სკოლა გაიხსნა, მეცადინეობა კარგად მიმდინარეობს. დაწყებულია თანხების შეგროვება სკოლის საკუთარი შენობის ასაგებად.

მაშინ „ივერიის“ მკითხველებს უფრო მეტი დაწვრილებითი ცნობები არც სჭიროდათ. მრავალი მათგანი მონაწილეობას იღებდა ამ საზოგადოების საქმიანობაში, ხოლო იმ დროის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეს მიხეილ ყიფიანს ისინი კარგად იცნობდნენ და ზმირად ხელებოდნენ კიდევ.

პირველ ხანებში მიხეილ ყიფიანი, ცნობილი პედაგოგი ლუარსაბ ზოცვაძე და ვლადიკავკაზში ქართული სკოლის შექმნის სხვა მეთაურები შედარებით მომცრო ბინას სჯერდებოდნენ. სკოლა მოთავსებული იყო თერჯის ახლოს ერთ-ერთ მყურელ შესახვევში, კერძო პირისაგან იჯარით აღებულ რამდენიმე ოთახში. მხოლოდ 1895 წელს იმავე გაზეთმა „ივერიამ“ შეძლო ეცნობებინა მკითხველებისათვის საკუთარ ბინაზე სკოლის გადასვლის შესახებ. ეს იყო ორსართულიანი სახლი, ახლანდელი აკაკი წერეთლის სახელობის ქუჩის კუთხეში. ამ სახლის ასაგები და მოსაწყობი თანხა შეკრებილ იქნა ხელმოწერით. ათასობით სხვადასხვა პროფესიის ადამიანმა გააიღო თავისი წვლილი.

რასაკვირველია, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ვლადიკავკაზში, ახლანდელს ორჯონიკიძეში, ქართულ სკოლას აღარ უხდებოდა შემოწირულებით არსებობა. ახლა მთელ მის საჭიროებას მთლიანად აკმაყოფილებს განათლების სამინისტრო — ჩრდილო ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკისა, რომელიც, როგორც ცნობილია, შედის რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში.

ჩვენს დროში საქმე დაწყებითი განათლებით როდი ამოიწურება. წერეთლის ქუჩაზე მდებარე სკოლის აღსაზრდელები დებულობენ დამთავრებულ საშუალო განათლებას. ისინი თანაბრად კარგად ფლობენ მშობლიურ ქართულსა და რუსულ ენებს და თავიანთი არჩევანით შედიან საქართველოს ან რუსეთის ინსტიტუტებში.

თავისთავად ცხადია მოსწავლეთა უმრავლესობა

სიბა ადგილობრივი, ორჯონიკიძელი ბავშვებია, მაგრამ ცოტანი როდი არიან ჩამოსულნიც. ესენი არიან საქართველოს მთიანეთის — ყაზბეგისა და ლუშეთის რაიონების მწყემსთა შვილები.

აი, წელსაც მათე კლასელ მოსწავლეთა შორის, რომლებმაც წარმატებით დაამთავრეს სკოლა, მრავალია მწყემსთა შვილები: იავო რეხვიან-შვილი, ირინა ჭაბალიძე, ნათელა აქიაშვილი, ავთანდილ გომბაძე.

პედაგოგთა უმრავლესობა და სკოლის დირექტორი სოფიო ელიაშვილი თავის დროზე სწორედ ამ, წერეთლის ქუჩაზე მდებარე სკოლაში სწავლობდნენ. შემდეგ, ზოგმა თბილისში, ზოგმა ორჯონიკიძეში დაამთავრა ინსტიტუტი და დაუბრუნდა თავის ძველ მშობლიურ სკოლას. ყველა ისინი დღემდის თავს თვლიან დამსახურებულნი მასწავლებლის ნინო დოლიაშვილის აღზრდილებად. რევოლუციის შემდეგ ნინო ნიკოლოზის ასული გადავიდა ვლადიკავკაზში და გახდა ქართული სკოლის ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებელი, და მას შემდეგ სულ აქ არის. თუმცა, ერთხელ ძველი მასწავლებელი წავიდა აქედან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ახალგაზრდა მეგობრებმა აიძულეს წასულიყო. ეს იყო 1941 წელს, როცა ორჯონიკიძის მისადგომებთან მძინვარებდა გააფთრებული ბრძოლები პიტლერელებთან, რომლებიც მოისწრაფოდნენ საქართველოს სამხედრო გზისაკენ, და სკოლაში შემოსასვლელი ტანკსაწინააღმდეგო სიმაგრეებით იყო ჩახერხებული, მაგრამ როგორც კი განახლდა მეცადინეობა, ნინო დოლიაშვილი თავის ძველ ადგილზე აღმოჩნდა.

აგრძელებს რა, ჯერ კიდევ მიხეილ ყიფიანისა და ლუარსაბ ზოცვაძის დროს წარმოშობილ საუცხოო ტრადიციებს, წერეთლის ქუჩაზე მდებარე სკოლა როდი იფარგლება წმინდა პედაგოგიური საქმიანობით. ის სამართლიანად ცდილობს იყოს ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური მდიდარი ქართული კულტურის გამავრცელებელი და პროპაგანდისტი.

სკოლის დრამატული წრე დგამს პიესებს, აწყობს კონცერტებს. იკითხება ლექციები მრავალფეროვან თემებზე.

შველი ტრადიციის მიხედვით, რაც დაწესებულია ჯერ კიდევ დიდი ოსი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის კოსტა ხეთაგუროვის მიერ, რომელიც ყოველთვის კითხულობდა თავის ახალ ლექსებს წერეთლის ქუჩაზე მდებარე ქართულ სკოლაში — აქ ზმირად მოდიან რესპუბლიკური ორგანიზაციებისა და ჩრდილო ოსეთის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. ოსი მეშობრები ყოველთვის გაულისხმიერი ყურადღებით ეპყრობიან სკოლას.

ასევე მზრუნველობით ეპყრობოდა მას საქართველოს საზოგადოებრიობაც, და პირველ რიგში, რასაკვირველია, განათლების სამინისტრო.

განსაკუთრებით ზრუნავდა ამ სკოლისათვის ლენინგრადის რეპტორი — ვიქტორი კუბრაძე, მაგრამ უნდა აღინიშნოს ერთი გარემოებაც: ამ სკოლის მასწავლებლები ფიქრობენ, რომ თბილისში მათი მუშაობისადმი განათლების სამინისტროსა და პედაგოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ინტერესი შესუსტდა, რატომღაც გაწყდა კავშირი.

ალბათ, ეს რაღაც შემთხვევითი და დროებითი მოვლენაა. თბილისში არ შეუძლიათ არ დაინტერესდნენ ამ სკოლის ბედ-იბდლით.

ი. მუხამძე

ფოტოზე: ქ. ორჯონიკიძის ქართული სკოლის ელექტროტექნიკურ წრეში მოსწავლეები ეცნობიან საბროექციო კინოაპარატის მოწყობილობას.

ფოტო ე. მოზგოვისა





# სერგო ორჯონიძე



28 ოქტომბერს შესრულდა 70 წელი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის, ვ. ი. ლენინის ერთგული მოწაფის — სერგო (გრიგოლ კონსტანტინეს ძე) ორჯონიძის დაბადებიდან. სერგო ორჯონიძის სახელი გახსურულა და სისხლხორცეულადაა დაკავშირებული ჩვენი გმირული კომუნისტური პარტიის მოღვაწეობასთან. მის რიგებში შესვლის პირველივე დღიდანვე (1903 წელი), როგა ს. ორჯონიძე ჯერ კიდევ 17 წლის ჭაბუკი იყო. პარტია უკვე იმ პერიოდში მას სერიოზულ და რთულ დავალებებს ანდობდა: იგი ეწეოდა პროპაგანდისტულ მუშაობას და მარქსისტული ლიტერატურის გავრცელებას რკინიგზის მუშებს შორის, რისთვისაც იგი დააპატიმრა მეფის მთავრობამ.

1905 წელს სერგო ორჯონიძემ დაამთავრა თბილისის საფერშლო სკოლა და მთლიანად არალეგალურ მუშაობაზე გადავიდა შორაპნის მაზრაში, შემდეგ — ბათუმში და უფრო მოგვიანებით — აფხაზეთში. აქ იგი, სოფ. ლინში, არალეგალურ სტამპის აწყობას, ქმნის შეიარაღებულ რაზმებს, მოუწოდებს მშრომლებს თვითმპყრობელობის დამხობისაკენ, რისთვისაც მას კვლავ აპატიმრებენ. 1906 წელს იგი გერმანიაში აფარებს თავს მეფის ოხრანის დევნას.

1907 წლის გაზაფხულზე სერგო ორჯონიძე ბაქოში ეწევა არალეგალურ მუშაობას. იგი დიდ მუშაობას ატარებს მუშათა კლასის დასარაზმავად ბოლშევიზმის დროში. მას ირჩევენ პარტიის ბაქოს კომიტეტის წევრად. 1907 წლის ბოლოს ს. ორჯონიძეს კვლავ აპატიმრებენ და 1909 წლის დამდეგისათვის ასახლებენ ციმბირში. ამავე წელს სერგო გადასახლებიდან გამორბის. ბრუნდება ქ. ბაქოში და ისევ ემზება აქტიურ რევოლუციურ ბრძოლაში. 1910 წლის შემოდგომაზე იგი სპარსეთშია და ვ. ი. ლენინის დავალებით აწყობს პარტიული ლიტერატურის შემოტანის საქმეს სპარსეთზე გავლით. ხოლო ამის შემდეგ მიემგზავრება საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში, სადაც პირველად პირადად ხვდება ვ. ი. ლენინს და ისმენს მის ლექციებს პარტიის თეორიისა და ტაქტიკის საკითხებზე.

1911 წლის ზაფხულში სერგო ორჯონიძე ვ. ი. ლენინის წინადადებით იგზავნება რუსეთში სპეციალური დავალებით, ჩამოყალიბოს რუსეთის საორგანიზაციო კომისია (როკ), რომელსაც გარკვეული მუშაობა უნდა ჩატარებინა სრულიად რუსეთის VI პარტიული კონფერენციის მოწვევისათვის. ამ მიზნით სერგო ორჯონიძე მოგზაურობს ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვან სამრეწველო ცენტრებში. ამავე წლის შემოდგომაზე ბაქოსა და თბილისში შედგა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლების თათბირი, რომელზეც ჩამოყალიბებული იქნა საორგანიზაციო კომიტეტი. მან დიდი როლი ითამაშა პრალის კონფერენციის მომზადებაში. ამ კონფერენციაზე სერგო ორჯონიძე აკეთებს მოხსენებას საორგანიზაციო კომიტეტის საქმიანობის შესახებ. პრალის კონფერენციამ იგი აირჩია პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მისი რუსეთის ბიუროს შემადგენლობაში.

1912 წლის გაზაფხულზე ორჯონიძეს აპატიმრებენ ცარიზმის სასამართლო მას სამი წლით კატორღას და სამუდამო გადასახლებას უსჯის. 1915 წლის ოქტომბრამდე მას შლისელბურგის სატუსალოში აკავებენ, ხოლო შემდეგ ასახლებენ აღმოსავლეთ ციმბირში, იაკუტსკში. აქ მას უსწრებს თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია. განთავისუფლების შემდეგ იგი მიემგზავრება რევოლუციის ცენტრში — პეტროგრადში, და აქტიურ რევოლუციურ მუშაობაში ემზება.

1917 წლის ისტორიულ დღეებში, ორჯონიძე ასრულებდა ცეკას პასუხსავე დავალებებს, უშუალო და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ოქტომბრის შეიარაღებულ აჯანყებაში, ხელმძღვანელობდა წითელგვარდიელთა რაზმებს, რომლებმაც პულკოვოსთან გადამწყვეტი დამარცხება აკეთეს კერენსკისა და კრასნოვის ჯარებს.

უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის პერიოდში სამოქალაქო და ომის წლებში სერგო ორჯონიძე წითელი არმიის ერთ-ერთი გამოჩენილი მშენებელი და მისი პოლიტიკური ხელმძღვანელი იყო. 1918 წლის დამლევის იგი დანიშნულ იქნა უკრაინის საგანგებო კომისრად. ამავე წლის გაზაფხულზე ორჯონიძეს ნიშნავენ სამხრეთის რაიონის საგანგებო კომისრად. აქ იგი აერთიანებს ჩრდილო კავკასიის რევოლუციურ ძალებს თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ, დიდ მუშაობას ატარებს მე-11 არმიის შექმნისა და განმტკიცებისათვის. 1919 წელს იგი გაგზავნილი იქნა დასავლეთის ფრონტზე რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრად, ხოლო აქედან სამხრეთის ფრონტზე. მე-14 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრად ყოფნისას ის ხელმძღვანელობდა ბრძოლებს ორიოლთან, დონბასში, ხარკოვთან და სხვ.

1920 წლის დასაწყისში ორჯონიძე დანიშნული იქნა კავკასიის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრად, პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის რწმუნებულად ინტერვენტებისა და მათი დამკაშების — მუსავატისტების, დაშაკებისა და მენშევიკებისაგან ჩრდილო კავკასიის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს გასათავისუფლებლად.

ამირკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ვ. კ. ორჯონიძე სათავეში უდგება რსდმ (ზ) ც-ის კავკასიის ბიუროს, შემდეგ პარტიის ამირკავკასიის სამხარეო კომიტეტს. იგი იყო ორგანიზატორი იმ ბრძოლისა, რასაც პარტიული ორგანიზაციები ეწეოდნენ ამირკავკასიის რესპუბლიკების სახალხო მენტორებისა და კულტურის განვითარებისათვის, პარტიის გენერალური ხაზის გატარებისათვის.

1926 წლის სექტემბერში ვ. კ. ორჯონიძე იგზავნება პარტიის ჩრდილო კავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველ მდივნად, ხოლო ამავე წლის ნოემბერში მას ირჩევენ ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარედ. ამასთან ერთად, იგი ინიშნება მუშაგლეხების სახალხო კომისრად და საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. 1930-იანი წლებიდან იგი ხელმძღვანელობდა სოციალისტურ მრეწველობას, ამ დროიდან იგი პარტიის ც-ის პოლიტიბიუროს წევრია.

ვ. კ. ორჯონიძე იყო გამოჩენილი ორგანიზატორი და აქტიური მებრძოლი ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის. მძიმე მრეწველობის მთელი სახალხო მენტორების რეკონსტრუქციის ზაზად გადაქცევის საქმეში. მან დიდი წვლილი შეიტანა პირველი ორი ხუთწლიელების უდიდესი გიგანტების მშენებლობის საქმეში. მის სახელთან განუყოფლად დაკავშირებული სოციალისტური ეკონომიკის დიდი მიღწევები.

ვ. ი. ლენინი კარგად იცნობდა სერგო ორჯონიძეს და დიდად აფასებდა მას, როგორც ჩვენი ძლიერმოხილი პარტიის ერთ-ერთ გამოჩენილ მშენებელს, როგორც „ერთგულსა და საქმიან რევოლუციონერს“.

სერგო ორჯონიძის ცხოვრება საუკეთესო მაგალითია ლენინური ტიპის პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელი მოღვაწისა, მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა მშრომელთა მასების საქმისადმი სამსახური.

ბ. ხომერიკი



მ. კაციტაძე. — სერგო ორჯონიძე (ქანკაბა)

(1956 წლის საეიკლო ნამუშევარი)









დ. ერისთავი. — ანატოლ ფრანსის მოთხრობის „კრენკვილის“ ილუსტრაცია (ავტორი თოგრაფია)



მ. დოლიძე. — ფაიფურის ფიგურები დ. კლიაშვილის მოთხრობიდან „სამანიშვილის დედინაცვადი“. პლატონი თავისი „ბედაურით“ (კერამიკა)



ვ. მიქატაძე. — ჭაბუკი (ქანდაკება)

ე. ბერძენიშვილი. — ფინალური ექვორაცია „აბესალომ და ეთერის“ გაფორმებიდან.



(1956 წლის საღიპლო ნამუშევრები)





მე არ ვიცი, როგორ მოხდა ასე: ნაფი მოვხვდი მხოლოდ მე ზაზა, და რომ ზაზა შეგვხვდა ასეთ გზაზე არ მივირბოდა, არ უკვირდა მასაც.

ნაფი დახტის ნაფოტივით და ამობილი დაგმობილი შემომტყერის ძველებურად, ჩვენი ძველი, წმინდა, ძმური, სიყვარული ნუთუ არ შენელებულა?

ზღვის მრისხანე ქარიშხალმა შეგვხვედრა, სიყვარულის ქარიშხლისგან გზაგაყრილნი უღმობელი ტალღა ტალღას ეჯახება, არ თავდება ყრუ გუგუნე და ძახილი.

ხომალდისკენ უნებურად მივიხედე, ვინატრებდი, ნეტავ სულ არ მიმხედა, რა დავმალე, დავიწყებულე კაცმა ბედი, სულში ჩადგა სიკვდილივით მძიმე სევდა. ნეტავ, თვალი სამუდამოდ დამეხუჭა, ზღვას წავედე, მიველეწე სადმე, ურჩად... შუქი „მწვანე ხომალდისა“ ამარზუნდა ცაშიმებდა, დაიფარე: — ჩვენი გემი ქანაობს და იძირება!

კვამლი მოტყუხს, დულს და ბორბავს, და მე ვხედავ ვიღაც მოხუცს, ბანზე რომ დგას...

ზაზამ მითხრა: — მოხუცია იგი, განა? ღამისფერ თმას მორეგია მთვარისფერი, ლევანია — ჩვენი გემის კაპიტანი!

ასე მგონი, შეგვამჩნია და გვიტყერის. რა ყოფილა ეს ცხოვრება! ახლა იგი თავის ხომალდს ეთხოვება, ვით მეგობარს, ვით სიცოცხლეს ეთხოვება.

ზღვა მალღებდა და ტალღებმა, ვით ირმებმა მარხილს ირგვლივ, გემი შემოიბრინეს. გარუჯული ლურჯი სივრცე ჯეჯილივით ბიბინებს.

კვამლი მოტყუხს, კვამლი ბორბავს, და კვლავ ვხედავ ჭაბუკ მოხუცს, ბანზე რომ დგას.

და მე ვყვირი, რაც მაქვს ღონე: — ამხანაგო კაპიტანო, ჩქარა, თორემ, თითქოს მსურდეს ცისფერ ზვართზე მიძინება, იძირება გემი ჩვენი, ი-ძი-რე-ბა...

### XII

კვლავ მივიხედე აქრკოლებულმა: ჩვენს „მწვანე ხომალდს“ დაეშორებულვარ, დაეშორებულვარ, არც გამიგია. გვებრძვის სტიქია, ვებრძვით სტიქიას

და წინ მივტყერავარ.

მივტყერავარ, მაგრამ როდემდის, ნეტავ? ვგრძნობ, დაჭრილი ვარ მარცხენა მკლავში, ვინ შემიხვიოს ამ შუა ზღვაში?

და ვილუბები ნამდვილად, ვხედავ... ვხედავდი, მაინც ვუმზერდი ლაქვარდს და მათგან სილურჯე მისი. ვაკლავ, მტრის ტყვიამ ლიაძეც დასჭრა და მეც თველებში ჩამიდგა ნისლი.

რომ არაფერი არ გამივიდა, გადავიკიდე ნავს ჩვარივითა. ძალამხდილი ხელს ძლივს ვარხედი, ამოვიძახე დედის სახელი და ჩავიძირე მე წყალში მძიმედ.

კვლავ ამომავლო ტლღამ ანაზღად, უკანასკნელად ზეცა მაჩვენა, კვლავ ამომავლო... მაშინ ზაზამაც ხელი მომიკიდა და შემაჩერა.

ხელი დამტაცა ხელმა ვაჟკაცმა და გაბედულად, თავგანწირვით გააბო ტალღა. ვთხოვე: — სრულიად ამოა შენი ცლა ახლა.

შენს თავს უშველე, თორემ ორნივე დავილუბებით. დაფარულია ცა შავი და ავი ღრუბლებით. მე რანაირად უნდა მისხნა თვითონ დაჭრილმა, დამტოვე-მეთქი! — მან კი ხელი უფრო ჩამჭიდა.

სუნთქვა ეკვროდა, ვგრძნობდი, მისი ძალა ჰქრებოდა, სისხლით ღებავდა მღელვარე ზღვას, არა ტყდებოდა, არ მეშვებოდა.

შეისვენებდა და შემკრთალი შემომტყეროდა. შეისვენებდა, როგორც მგზავრი მუხის ჩეროსთან. და კვლავ დაჰკრავდა გაშლილთა მკლავთა.

ო, მოგვიოდნენ, მოგვიოდნენ შმაგი ტალღები! ხან გონს ვკარგავდი, ხან უნებურ თვალთა ვახელებდი.

სუნთქვა ეკვროდა, ძალა ჰქრებოდა სისხლით ღებავდა მღელვარე ზღვას, არა ცხრებოდა, არ მეშვებოდა, ზაზა მაინც არ მეშვებოდა...

### XIII

...თვალთა ვახელ და ვცაცხახებ. თავზე მადგას სანიტარი იმედივით, — უძილობით ოდნავ თვალემბინებდილი.

ასულს თეთრი წინსაფარი ჰშენის, თავიც თეთრად წაქრული აქვს ნაზად, მივიხედე — მოვიხედე ღვლივით, მრავალს ვხედავ და არა ჩანს ზაზა.

— მამნე სად ვარ? — ვეკითხები მუდარით, და თვალში შევფოვნივ კრძალვით, (გავიტარე ფიქრი ნასათუღარი: ჰაი, ჰაი, ამისთანა რძალი!).

სათონდ მეტყვის იგი — თეთრი ასული: — აქ, ძმობილო, ჰოსპიტალი არი, შემოგციონს მშობლიური ზაფხული, გაახილე, გაახილე თვლი!

გუბტუბტუბი: — ზაზა... ზაზა... ჩემი მხსნელი, უანგარო ბიჭი... დამამშვიდეს:

— მეზღვაურო, ნუ გაწამებს იჭვი, ის აქ არის, ვაჟი შენი მხსნელი, შენთვის ძალუმ ჩაეჭიდა ხელი,

ძლივს სუნთქავდა, აღარც წამწამს არხედა, მეზღვაური მკვდარი იყო ნახევრად. მერე თვალი იმედივით გააბრწყინა, შენც გიკითხა, მეგობარო, ამასწინათ...

მე ცრემლები ვერ დაგმალე ღამის: — გვედრებთ, დამანახეთ წამით!

### \*

სასთუმალთან მე ვიკვიე დიდხანს და ლიაძემ ბოლოს ასე მითხრა:

— რაინდული, ვაჟკაცი რა მიქნია, მე სამშობლოს ჯარისკაცი ვიხსენ, გამოგტაცე სიკვდილსა და შავ სტიქიას, გაგიკვირდეს? გაუკვირდეს ვისმე?

ჩვენ ხომ ერთი გასაჭირი გამოვცადეთ, ჩვენ ხომ ერთი სამშობლო გვაქვს სალოცავი, მომავალიც ერთად უნდა ავაშენოთ, ზღვაში მარტო დაგტოვებდი, ძმაო ჩემო?

სიყვარულში შენ დამჩაგრე, მართალია და ჩემს გულში, რომ იტყვიან ზამთარია, აბა, შენი რა ბრალია.

ჩვენ საბჭოთა ახალგაზრდებს, სიყვარულის შუქნათელი გვალამაზებს, ჩვენი გრძნობა უმწიკვლო და სხეტაკია, თუმც პირველად სიჭაბუკემ მეც დამძლია.

თუმცა ზურავი შემაქციე, სიხარულშიც არ მეწვიე, ეს ნიშნავდა, რომ სამშობლოს ჯარისკაცი გამეწვიე?

რას მეტყოდა ჩემი ტკბილი საქართველო, რას მეტყოდა ჩემი სკოლა სანაქეო, რას მეტყოდა ღედაჩემი, დარღობ თვალემბინაბული, რას მეტყოდა ჩემი გული ან... იამზეს სიყვარული! —

ესა სთქვა და გამიღიმა, მასში წმინდა ენთო გრძნობა! ...თქვენ მითხარით, არის განა ეს ნამდვილი მეგობრობა?

### XIV

ნორაკიმე დაასრულა სათქმელი და შეირხა სახლის ყველა სარკმელი, — ცხრაჯერ ცხარედ თოფმა დაიგრილა: მაცრიონი მოდის პატარძლიანა!

მასპინძლო, მასპინძლო, რომ გესმის ცეცხლის მკვესავ იფრინდების თქარუნთ, მეზობლების ეზოებშიც, ოდებშიც ატყდა უცებ ქრიაშული ფარული.

„ფეხბედნიერს“ გუგუნებდნენ სტუმრები და ამბობდნენ მასპინძლები მოძახილს. სიყვარულის, სიხარულის მსურველი ფეხზე დადგა გლეხიკაცი ოჯახი.

აწკრიალდა ერთად ყველა საკრავი: — დღეს აშენდა ერთი გლეხის სახლ-კარი! შემოვიდა შავგვრემანი ასული და ეზოში მიმოფანტა მარცვალი, — ძველ სახალხო ჩვეულებას ასრულებს მღელვარებით გათავგული, დამცხრალი.

შემოვიდა, თეთრი ფარჩა ემოსა, მოჰყვებოდა მღელვარე ფარჩის შრიალით... — ჩვენს დედოფალს აქ პირველად შემოსვლა დაულოცეთ ამ პატარა ფაილით! — ბუბუნებდა მასპინძელი ამაყი და იწვდიდა შვილიტრინას სახმისებს.

— ეს რად მინდა აღებაც კი არა ღირს, ბარემ კოკა დამიღვი და ამიგესე! გაინხურა ზუგდიდელმა მაყარმა, ტკბილი სიტყვით სურდა თავის დაღწევა, მაგრამ უმალ იარღი დაჰყარა, როცა თავი წამოსწიეს ყანწებმა.

სადღეგრძელო დაიწყო და გახშირდა, — ღონივც უყვართ მთხველებს და მშენებლებს... სიმღერამიც, ცეკვამიც და სმამიდაც გალელები ზუგდიდელს შეეხენი!

### ე პ ი ლ ო გ ი

გათენებიდან რეკავდა ზარი და იღებოდა სასწრაფოდ კარი. კარებთან იდგა ახალი წელი და მაწოდებდა მოლოცვის წერილს.

კეთილი ფიქრით და სურვილებით, მთელი გულით და მთელი არსებით, მე მილოცავდნენ მათს შვილებიც, ლეკის ბიჭებიც და ხაკასებიც.

მე მილოცავდნენ მოსოველებიც და დიმიტროვის ქვეყნის მკვიდრებიც. ვკითხულობდი და თრთოდნენ ხელები, — განა არის რა გასაკვირველი?

ბოლოს ავიღე ბარათი ღია და მერამდენედ ვიგრძენი ღელვა! ომი, შავი ზღვა, თამაზი, ია — მე გამახსენა ღიაძის ხელმა:

— ჩემი მეთვე „მწვანე ხომალდი“ ჩრდილოეთ ბოლოს უახლოვდება, კიდევ შორია მისადგომამდე და ხალხი მაინც ბანზე გროვდება.

მე კაპიტანი ამ ხომალდისა ქართულ ვარსკვლავებს დავეძებ ცაზე, რა დავიამლო, ძმაო, ხანდისხან ტიალი გული მაქვს ფიქრით სავე.

როგორც მადლიან მხვნილსა და მთხვევს, ძველს მივაცვილებთ სიმღერის ხმებით, და ათას ცხრას ორმოცდაათექვემდებარე ჩვენ ოკეანის გუგუნში ვხვდებით...

ვერ ჩავიკითხე ბოლომდე ბჭკარი, რომ აწკრიალდა კვლავ ჩემი ზარი.

ღებუა იყო: კოლხეთის მხრიდან სალამს მითვლიდნენ ია და თამაზი! და მღელვარება ვიგრძენი წმინდა, მე, როგორც ჩემი გმირების მამამ.

ღუმღუმ ღიდი ხანი გავიდა და ძველ ოცნებას შევხვდი ანაზღად. გადავიკითხე წიგნი თავიდან, რაც შთამავონა ერთ დროს თამაზმა.

დავჯექი, ვიფიქრე და გავიხსენე, რაც იყო წიგნის ფუძე მთავარი, შევადარე და ნათლად ვიგრძენი, რომ პირველ-მთქმელის აკლდა ჯავარი.

მაგრამ რა მექნა, გვიანდა იყო, ვერ დაეწვიე გატყორცნილ ისარს! დარდმა ამაგსო, ფიქრმა წამილო და თითქოს სუნთქვა მომეხმა ზღვისა.

სარკმლიდან ჩანდა თბილისი მთელი, თვალზე მისი შუქი მაწვიმდა, იმედს მძლევდა ახალი წელი და „მწვანე ხომალდს“ ჰგავდა მთაწმინდა.

\* დასასრული. იხ. უფრო „დროშა“ № 9.



# მ რ ა ვ ლ დ ე ბ ა

## ხეივანეზის ვაზი

აკაკი გენაძე

ფოტო რ. აპოლონიძე



როველი ხეივანეზის ღვინის სახელობის კოლმეურნეობაში.

**ხ**ეივანეზის სახეობის ვაზი სახელი ღვინოში, მაგრამ ეს სოფელი მართლაც ღვინოა. აქაურ მოსახლეებს ანდრია ლომთაძის, ერასტი ტყემელაშვილის, ბაგრატ და ივანე ჭარბაძეებს ჯერ კიდევ არ დაეწინაოთ ცხრაას ხუთის ამბები.

ხეივანეზის სასოფლო საზოგადოებაში ჩამოყალიბებული წითელი რაზმი უძლიერესი იყო მთელს რაჭა-ლეჩხუმში. ალიხანოვი პოლკოვნიკი გავრილოვი ამიტომ გაუსწორდა ხეივანეზის ყველაზე მკაცრად. ბრძანება გასცა, გადაეხრებოდა წითელრაზმელთა მთავარი ბუდე-სოფელი, და შეესივნენ კახაკები ხეივანეზის. ხანძარმა გაანათა ცა და დედა მიწა. ალაქსანდროვი თოვლი ნიაღვრებად დაეშვა შუკებში, ერთი დღის შემდეგ ხეივანეზის სოფლის ნაცვლად ორმოცდარვა შიშველი ბუხარია დაარჩა. მართლ ბუხარები ვერ წაქცია ცეცხლმა, დანარჩენი ყველაფერი ჩაყლაპა.

მხოლოდ ყიფიანების ოდები დატოვეს დაუნაცრავი, სოფელი მოითარეშეს და ალიხანოვი ზემო რაჭისკენ დაიძრნენ. დიხანს შერჩნენ ტყეებს ხეივანეზის წითელრაზმელები.

შემდეგ... ათას ცხრაას ოცდაერთი წლის ვაზაფხულზე, წითელი არმიის ნაწილები შემოვიდნენ რაჭაში.

გავიდა კიდევ რამდენიმე წელი და... ხეივანეზის ვაზიანთ კოლმეურნეობას დიდი ბელადის, გლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელი უწოდეს, თავდადებით დაიწყეს ვაზა და ბედნიერება დაამკვიდრეს თავიანთ ოჯახებში.

პირველ წელს კოლმეურნეობას ერთი ვაზიც არა ჰქონდა, ამჟამად კი რიონის ხეობიდან სოხის მთის ძირამდე, სამოცდახუთ პეტარზე გაშენებული მისი ვენახები. გარდა ამისა ორმოცდარვა პეტარის ვენახი კოლმეურნეთა პირად სარგებლობაშია. ხეივანეზის კოლმეურნეობის სახელმწიფოს ორას ტონა მაღალხარისხიანი ყურძენს აბარებენ. აქ ძირითადად „ალექსანდროული“ ჯიშის ვაზია. სწორედ ეს ვაზი იძლევა „ხეივანეზის“.

„ალექსანდროული“ ერთი კარგი თვისება აქვს, ადვილად იტანს „ნაცარას“ ავადმყოფობას. მაგრამ ერთი ნაკლიცა სჭირს: ყურძენის სხვა ჯიშებთან შედარებით ნაკლებ მოსავალს იძლევა. თუმცა მისი ღირსება სწორედ ამ ნაკლშია: ცოტას იძლევა, მაგრამ კარგს.

საქართველოში ვენახის მოვლისა და ღვინის დაყენების წესები თაობიდან თაობას გადაეცემოდა და უმჯობესდებოდა. ასე იყო რაჭაშიც. ახლა ხეივანეზის ვაზის მოვლისა და ღვინის დაყენების ოსტატია თითქმის ყველა, მაგრამ მჯობნის მჯობნი ქვეყანაზე როგორ დაიღვინა.

ბაგრატ ჭარბაძე მშ წლის კაცია. იშვიათად გვევხებით ხეივანეზის ისეთი საქმე, რომელშიც ბაგ-

რატს თავისი წვლილი არ შეეტანა. სიბერემ თავისი გაიტანა და ყოფილი წითელრაზმიელი, ბეჯითი მურნე გლეხი წელს კოლმეურნეობაში ვეღარ მუშაობს, მაგრამ უნაყოფოდ როდი ატარებს დღეებს: ბაგრატთან ხშირად მოდიან ახალგაზრდა მევენახეები და ისიც თავის გამოცდილებას უზიარებს მათ.

სამამულო ომიდან ოჯახს ვეღარ დაუბრუნდა ბაგრატის შვილი ვარდენი. ვარდენს მცირეწლოვანი ვაჟი ღარჩა, მურმანი, მაგრამ გამრჯე ბაბუამ შვილიშვილს უმამობა როდი აგრძობინა. ახლა მურმანი უკვე მეცხრე კლასში სწავლობს, ხოლო მისმა დედამ, თამარმა, მამამთილი შესცვალა საკოლმეურნეო ზვრებში.

ბაგრატის ტოლი კაცია ნემსიწვერიძე ფილიმონი, მაგრამ სიბერემ ჯერ ვერ წაართვა ჯანი. სოფელში ყველამ იცის, რომ ფილიმონის გასხლული და შოვლილი ვაზი დიდხანსა სძლებს და მეტ ყურძენსაც იძლევა. დადგება თუ არა დრო, სასხლავით ხელში ვენახში დგას ფილიმონი. შარშან ას სამოცზე მეტი შრომადღე ჰქონდა და ნაკლებად არც წელს მუშაობს.

კიმოთე სარდანაშვილი ერთი წლითაა ფილიმონზე უფროსი, მაგრამ გარჯაში როდი ჩამორჩება სხვას. ვაზებს დასტრიალებს თავზე კიმოთეს მეუღლე მარინე.

უფროსთა გამოცდილებას წარმატებით ითვისებენ ახალგაზრდა მუყაითი მევენახეები: ნათელა ლუიშტაშვილი, ანგი და რომან ტყემელაშვილები.

უნარიანად ხელმძღვანელობს მევენახეთა ბრიგადის კოლმეურნეობის პირველადი პარტორგანიზაციის მდივანი ვალერიან ლომთაძე. ვალერიანს მხარში უდგანან მოწინავე მევენახეები: რუბენ ლომთაძე, სერო ტყემელაშვილი, ანეტა ლუბუტაშვილი, ივანე ნემსიწვერიძე, თამარ და ნიკოლოზ მეტონიძეები.

იმ დროს, როცა მენშევიკები და დასნაკები შულს აჩალებდნენ სომხებსა და ქართველებს შორის, ერთმა კეთილმა კაცმა ხეივანეზის მოიყვანა უპატრონოდ ქუჩა-ქუჩა მოხეტიალე ბავშვი, ახპერ აივაზოვი. ბავშვი ივანე მეტონიძის ოჯახში შეიფარა და ახლა ახპერი ხეივანეზის მოწინავე მევენახეა. მამას ეკვირება შრომაში ქალიშვილი მერისი.

ვაზისა და ღვინის შესახებ ხშირად უყვართ ბასი უქმე დღეებში საფერხნოზე თავმოყრილ კოლმეურნეებს. ღვინის შესახებ არაკებიც ბლომად იცნან:

— რძე ჩველთა ღვინოა, ხოლო ღვინო ჭარბათა რძეო.

— ღვინომ თქვა: ჭკვიან კაცთან ბრძენი ვარ, რეგვენთან წამოეჩოქებო.

ახლა ხეივანეზის ამასაც ამბობენ: ამ მრუდე ვაზმა წელში გაასწორა ჩვენი ცხოვრებაო.

ყიფიანების ვაზი არასდროს გაუსხლავთ, არც ვენახი დაუბარავთ. ზვარში ვაზით მოკაკული გლეხი იდგა და მისი ნაოფლარი ყიფიანებს მიჰქონდათ. შემდეგ ეს ღვინო გადამყიდველების საშუა-

ლებით ქუთაისში სალდებოდა. ყიფიანები პირველი კაპიტალისტი მურნეები იყვნენ რაჭაში. მამონს კამ ღვინოს „ყიფიანების ღვინოს“ ეძახდნენ. ხალხს მოჰყავდა იგი, თავადების სახელი კი ერქვა. მოისპო მუქთახორობის დრო და აქაურმა ღვინომაც თავისი ნამდვილი სახელი დაიჩქა — „ხეივანეზის“.

ყიფიანებს მხოლოდ ვენახის შემოსავალი აინტერესებდათ, თვითონ ვენახი კი ბელის ანაბარად ჰქონდათ მიტოვებული. აგროწესების უცოდინარობა აჩანაგებდა ვაზს. ამ საუკუნის დასაწყისში ხეივანეზის ფართოდ გავრცელდა ფილოქტერა და ობი. გამეჩხერდა და შემცირდა ვენახი. ისე გლეხებმა უშველეს საქმეს: ისწავლეს სანერგების კეთება, მწარე ვაზზე კულტურული ვაზის დამყნა და ვენახი მოსპობისგან გადაარჩინეს. მამონ უჭირდათ ხეივანეზის ვაზის მოვლა. ხშირად შაბაბანს ვერ შოულობდნენ და როცა იშოვდნენ, მამასისხლად უჯდებოდათ. სოფელში სარწყავი მანქანებიც ცოტა იყო. ამ მიზეზთა გამო, უმეტეს შემთხვევაში ვეღარ „ექიმობდნენ“ ვაზს და ვერც იმდენ მოსავალს იღებდნენ, რამდენსაც ახლა.

ბევრი კარგი გააკეთა სოფლისთვის შალვა ტყემელაშვილმა. ოცდახუთი წელი ხელმძღვანელობდა იგი ხეივანეზის კოლმეურნეობას. ამ ხნის განმავლობაში დიდად აიწია სოფლის მატერიალურმა და კულტურულმა დონემ. იმრავლა ვაზმა და კოლექტიური შრომის ბარაკამ. ხეივანეზის ოცი წელია უკვე, რაც ილიჩის ნათურები აშუქებენ ღამეს. კოლმეურნეები ყოველდღე უსმენენ რადიოთი მოსოფლსა და თბილისს.

კარგი კაცის სახელის დაიწყება არ უყვარს სოფელს. შალვა ტყემელაშვილი გასულ წელს გარდაიცვალა, მაგრამ მის ხსოვნას კი გულით ინახავენ აქაური კოლმეურნეები: ხეივანეზის იგი არ გაიშლება საფარს, სოფლისთვის შალვას თავდადება რომ არ მოიგონოს.

\*\*\*  
გასულ წელს, სექტემბერში, იუგოსლავიის ქალაქ ლიუბლინიში მოწვიბილ საერთაშორისო გამოფენაზე სხვა ქართულ ღვინოებთან ერთად „ხეივანეზის“ ვერცხლის მედლით იქნა დაჯილდოებული.

მხოლოდ ჩვენმა დრომ გააცნო ქვეყანას ეს საუკეთესო ღვინო.

აქ შეიძლება კაცს კითხვა დაეხადოს: ნუთუ ერთმა სოფელმა შესძლო საბჭოთა საშრობლოს ყველა კუთხისთვის ამ ღვინის მიწოდება? რასაკვირველია, არა.

მთელი რაიონი იცნობს სახელგანთქმულ მყნობელებს, ძმებს პორფილ და არტემ ტყემელაშვილებს. ხეივანეზის სანერგეში მათ მიერ დამყნობილი და გამოყვანილი ვაზი ხარობს ახლა მთელს რაიონში. ძმებს გვერდში უდგას მყნობის ოსტატი აკაკი ჭარბაძე. ამბროლაურის რაიონის კოლმეურნეებს ხეივანეზის სანერგედან ყოველწლიურად მიაქვთ „ალექსანდროული“ ვაზის ორმოცი ათასამდე ნამყენი ნერგი. ხეივანეზის ვაზმა დაფარა რიონის

სამტრესტის ამბროლაურის ქარხნამართველოს ხეივანეზის გადამამუშავებელი ქარხნის მიმღებ პუნქტში „რაჭული თეთრას“ შემოქმედა.











დოკ. პლაქატიზმი

მთელი მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი მიზანრიობილია სუეცის არხის საერთაშორისო კომპანიის ნაციონალიზაციისაკენ, რის შესახებაც ოფიციალურად განაცხადა ეგვიპტის მთავრობამ 1956 წლის 26 ივლისს.

სუეცის არხს უდიდესი მსოფლიო ეკონომიური, პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა.


სუეცის არხი მეცხრამეტე საუკუნის უდიდესი პირობებში დაიწყო მშენებლობა — მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სანაოსნო არხია. სუეცის არხს თვლიან პირობითი გეოგრაფიული საზღვრად — აფრიკასა და აზიას შორის. ის მდებარეობს ეგვიპტის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში სუეცის ყელზე, რომელიც აერთებს სინაის ნახევარკუნძულს ნილოსის დელტასთან. არხის საერთო სიგრძე 173 კილომეტრამდეა. საკუთრივ არხის სიგრძე 161 კილომეტრია (101 მილი), დანარჩენი მოდის ფარვატერების წილად (12,3 კილომეტრი). არხს რაბები არ აქვს. მისი განი წყლის ზედაპირის მიხედვით 120-150 მ, სიღრმე ფარვატერის მიხედვით 12-13 მეტრი.

სუეცის ზონაში არხის მშენებლობას აქვს ხანგრძლივი ისტორია. ხმელთაშუა ზღვის შეერთების იდეა წითელ ზღვასთან წარმოიშვა უძველეს დროში. ძველ ეგვიპტეში იყო ცდები დაეკავშირებინათ ეს ზღვები უმოკლესი წყლის გზით.

სუეცის არხის მშენებლობა დაიწყო ჯერ კიდევ ეგვიპტის ფარაონის რამზეს II სეზოსტრისის დროს (1271-1225 წ.წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე).

პირველად არხი გაყვანილ იქნა მდინარე ნილოსის შესართავთან, ტბა ტიმზასა და წითელ ზღვას შუა. ამ არხს მანინაც დიდ სტრატეგიულ და სავაჭრო მნიშვნელობას აკუთვნებდნენ.

ფარაონმა ნახაოზ (ნეხო) (609-593 წ. წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე), მისიურა არხის გაყვანა ნილოსსა და წითელ ზღვას შუა (არხის გაყვანა დაიწყო სამდინარო გზით ბუბასტიდან ნილოსზე —



ბატულოვსამდე წითელ ზღვაზე). ეს არხი გამოყენებული იყო აღმოსავლეთთან ეგვიპტის გაცხოველებულ ვაჭრობაში. არხის გაყვანის სამუშაოებზე დაიბოცა ასიათასობით მუშა სახმელი წყლის უქონლობისა და საშინელი საბინაო და ანტისანიტარული, მუშაობის მიმე პირობების გამო, მაგრამ არხი მაინც არ დაუმთავრებიათ, რადგან ფარაონს მოულოდნელად დაებადა აზრი, რომ მტერი არხს გამოიყენებდა ეგვიპტეში შესასვლელად.

მას შემდეგ განვლეს საუკუნეებმა, მრავალი მეფე და სარდალი ცდილობდა შეერთებინა ხმელთაშუა ზღვა წითელ ზღვასთან.

თითქმის 100 წლის შემდეგ სპარსელებმა დაამთავრეს ფარაონ ნახაოს მიერ დაწყებული მშენებლობა. მის შემდეგ საუკუნეებმა განვლო, არხი თანდათან ირღვეოდა, მიწით ივსებოდა, ჰქრებოდა. ამის შემდეგ თითქმის ათასი წლის განმავლობაში წითელ ზღვასა და ხმელთაშუა ზღვას შორის მიმავლა მოკლე საზღვაო გზით ლიკვიდირებული იყო.

\*\*\*

დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენათა ეპოქაში კვლავ აქტიულოური გახდა არხის გაყვანა.

ბრძოლა დიდ კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის სუეცის ყურისა და ეგვიპტის პლაცდარმისათვის გაიშალა დიდი ხნით ამ ყელზე თანამედროვე არხის აგებამდე. განსაკუთრებით გამწვავდა ბრძოლა ინგლისსა და საფრანგეთს შორის XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში ამ სახელმწიფოების მისწრაფებასთან დაკავშირებით, რათა ხელთ ეგდოთ თავიანთი კოლონიებისაკენ მიმავალ გზებზე მდებარე ყველა სამხედრო სტრატეგიული პუნქტები.

პირველი ცდა გაეჭრათ არხი, რომელიც შეაერთებდა უშუალოდ ხმელთაშუა ზღვას წითელ ზღვასთან, მოახდინა საფრანგეთმა ეგვიპტის წინააღმდეგ ნაპოლეონის ლაშქრობისას 1798-1799 წლებში.

1854 წელს საფრანგეთის დიპლომატმა ლესეპსმა, რომელსაც დიდი მეგობრობა ჰქონდა ეგვიპტის ვიცი-მეფე საიდ-ფაშასთან — შეადგინა სუეცის არხის პროექტი, 1855 წ. 19 მაისს ეგვიპტის მთავრობამ ნება დართო ლესეპსს (არხის კომპანიას) გაეყვანა არხი და ეწარმოებინა ახალი გზის ექსპლოატაცია თითქმის ერთი საუკუნის ვადით. ლესეპსმა აღვივალ მიიღო თავის „მეგობრის“ ეგვიპტის მმართველ საიდ-ფაშასაგან „პირადი“ კონცესია და მოკლე დროში შექმნა სააქციო საზოგადოება „სუეცის არხის საყოველთაო კომპანია“. კომპანიაში მონაწილეობისათვის მან მიიზიდა თვით საიდ-ფაშაც. ეს კომპანია დღიდან თავის წარმოშობისა ატარებდა მტაცებულურ ხასიათს. სუეცის არხის კომპანიაში პირობის თანახმად ეგვიპტისაგან მიიღო მომავალი არხის ჭრასაზე მდებარე მთელი მიწა, ქვის სამტეხლოები და მშენებლობის განხორციელებისათვის მუშების საჭირო რაოდენობის 80% უფასოდ.

სუეცის არხი შენდებოდა ფელახების (გლეხების) ხელით, რომლებიც დამონებული იყვნენ ფეოდალების მიერ. არხზე მუშაობის პირობები მეტად მძიმე იყო. მუშაობა მიმდინარეობდა ცხელ უდაბნოში, რომელიც მოკლებული იყო სახმელ წყალს.

მუშაობის სანიტარულ-ჰიგიენური პირობები აუტანელი იყო, შავი ჭირი ანადგურებდა მუშებს. მუშების ძვლებით დაფარულია არხის მთელი სანაპირო, როგორც ამასწინანდელ გამოსვლაში აღნიშვნა ეგვიპტის რესპუბლიკის პრეზიდენტმა აბდულ გამალ ნასერმა სუეცის არხის მშენებლობაზე 120 ათასი კაცი დაიხოცა.

1869 წლის 17 ნოემბერს ოფიციალურად გაიხსნა სუეცის არხი. არხის გახსნას ჰქონდა საზეიმო ხასიათი, რაზედაც დიდალი თანხები დაიხარჯა. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნიდან მოწვეული იყვნენ სტუმრები. ზეიმი გრძელდებოდა რამდენიმე კვირას. ეგვიპტის მაშინდელი მმართველის ისმაილ-ფაშას დაკვეთით გამოჩენილმა კომპოზიტორმა ვერდიმ არხის საზეიმო გახსნისათვის ცნობილი ოპერა „აიდა“ დასწერა.

\*\*\*

პირველად მარქსმა და ენგელსმა მოგვეცეს სუეცის არხის უდიდესი ეკონომიური და სტრატეგიული მნიშვნელობის შეფასება. მარქსმა მას უწოდა დიადი გზა აღმოსავლეთისაკენ.

ინგლისის იმპერიალიზმის იდეოლოგები (დიზრაელი, ჩემბერლენი და სხვ.), იბრძოდნენ რა ინგლისის კოლონიური იმპერიის შესაქმნელად, ცდილობდნენ სუეცის არხის ხელში ჩაგდებას.

სუეცის სტრატეგიული ზონისათვის ბრძოლა დიდ იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის არც ერთი წუთით არ შეწყვეტილა და უკანასკნელ პერიოდში კიდევ უფრო გამწვავდა.

სუეცის არხის ეკონომიური და სტრატეგიული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ მან შეამოკლა საზღვაო გზა ატლანტიკის ოკეანიდან ინდოეთისა და წყნარი ოკეანის დასავლეთი ნაწილისაკენ.

სუეცის არხის გახსნის შემდეგ ევროპის პორტებიდან ინდოეთისა და წყნარი ოკეანის პორტებისაკენ გზა შემოკლდა 8-15 ათასი კილომეტრით, მან შეამოკლა მანძილი აფრიკის გარშემო მიმავალ ვზასთან შედარებით საგრძნობლად.

მომართა არხზე დღედაღამ სწარმოებს (ელექტროგანათებით), არხის გავლას გემი 12-15 საათსა და 19 წუთს ანდომებს, მეორე მსოფლიო ომამდე თვითუღ გემზე, რომელიც გავიდა არხს, დაწყებული იყო გადასასადი 7 ფრანკისა და 25 სანტიმის რაოდენობით ყოველ ერთ ტონა წყალწყვაზე (80 კაპიკი ოქროთი), თვითუღ გზაზე 10 ოქროს ფრანკი. მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე არხში გავლით გემების 50%-ზე მეტი ეკუთვნოდა ბრიტანეთს, მეორე ადგილი ეჭირა იტალიას, შემდეგ გერმანიას, პოლანდიას, საფრანგეთსა და იაპონიას.

ინგლისის ლითონი, მანქანები, საფეიქრო ნაწარმი და სხვა ინდოეთში და წყნარ ოკეანის აუზში სუეცით იგზავნება ორივე მიმართულებით.

ინგლისის მთავრობამ შესყიდული აქციების დახმარებით ხელთ იგდო „სუეცის არხის საერთაშორისო კომპანია“ და ეგვიპტის ოკუპაციის შემდეგ ბრიტანეთის ჯარების მიერ ეს „საერთაშორისო კომპანია“ გადააქცია ერთ-ერთ მძლავრ მონოპოლისტურ ორგანიზაციად.

იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის წინააღმდეგობათა გამწვავებისა და „თანამშრომლობის“ სიმუშა ლონდონის კონფერენცია, სუეცის არხის საკითხზე. ამ კონფერენციაზე მოწვეული არ იყო ყველა სახელმწიფო, რომელიც არა თუ არხს იყენებს და დანტერესებულია არხის ზონაში შექმნილი ვითარებით, არამედ კონვენციაზე ხელის მომწერი ზოგიერთი სახელმწიფოებიც კი არ იყვნენ წარმოდგენილი (სულ 22 სახელმწიფო იყო წარმოდგენილი, ნაცვლად 45-სა).

ლონდონის კონფერენციაზე საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა ამხ. შეპილოვმა თავის ა. წ. 17 აგვისტოს და შემდეგ გამოსვლებსა და განცხადებებში მტკიცედ დაუჭირა მხარი ეგვიპტის სამართლიან გადაწყვეტილებას სუეცის არხის საერთაშორისო კომპანიის ნაციონალიზაციის შესახებ.

სუეცის არხის ზონაში განუწყვეტლოვ ძლიერდება ბრძოლა დიდ იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის. „თანამშრომლობის“ დროის ქვეშ ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლისტებმა გააძლიერეს თავისი „მოღვაწეობა“ ინგლის-ეგვიპტის 1936 წლის ხელშეკრულების დენონსირების შემდეგ ეგვიპტეში. სარგებლობენ რა ინგლისის ეკონომიური და სამხედრო სიძნელეებით, ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლისტები სულ უფრო ღრმად იჭრებიან ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ეკონომიკაში და სდევნიან იქიდან თავის ინგლისელ კონკურენტებს (საუაღის არაბეთი, ისრაელი, ლივანი და სხვა), მისწრაფობენ და მისწრაფვის რა ხელთ იგდოს ბრიტანეთის იმპერიალიზმის პოზიციები ეგვიპტესა და სუეცის არხის ზონაში.

ამვე დროს ამერიკელი და ინგლისელი იმპერიალისტები პოულობენ საერთო ენას, როდესაც საქმე ეხება კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და სამხედრო ლინისძიებების განხორციელებას, სოციალიზმის, დემოკრატიის და მშვიდობის ბანაკის ქვეყნების წინააღმდეგ. იმპერიალიზმის ეპოქის უკანასკნელი ეტაპის ისტორია ამის დამამტკიცებელია.

ეგვიპტე მტკიცედ იცავს თავის სამართლიან პოზიციას სუეცის არხის საკითხში, მაგრამ მას ომით ემუქრებიან.

საბჭოთა მთავრობამ ა. წ. 10 აგვისტოს განაცხადა სუეცის არხის საკითხზე ყველა „წამოჭრილი საღვაწო საკითხები შეიძლება მოწესრიგდეს და კიდევ უნდა მოწყობილად მშვიდობიანი გზით ხალხთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შესაბამისად“.

ეგვიპტის ხალხის სამართლიანი ბრძოლა თავის ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის მხარდაჭერას პოულობს სოციალიზმის, დემოკრატიის და მშვიდობის ბანაკის ქვეყნებისაგან, მთელი მოწინავე კაცობრიობის მხრივ. ეგვიპტელი ხალხი მტკიცედ იცავს თავის ეროვნული დამოუკიდებლობის საღვაწოებს. ჩვენ უკან არ დავიხევთ. — განაცხადა ნასერმა, — სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძობებთ ჩვენი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის“.



შრომამ დასაქვობო



ერთი შეხედვით ისინი ჩვეულებრივი, მოკრძალებული ახალგაზრდა ქალები არიან. არაფრით გამოირჩევიან თანატოლებისაგან. ბევრი თმა, თავდადებულმა შრომამ განაღდა ისინი ყველასათვის ცნობილი. მათ საფეიქრო ხელოვნების ერთ-ერთი პროფესიის — რთვის მესაიდუმლებს ეძახიან. შრომამ, სამშობლოს სიყვარულმა დაახლოვა ქართველი — გორელი ევგენია სამადელაშვილი და რუსი — ანა პიატოვსკაია ვლადიმირის ოლქის ქალაქ სობენკას მკვიდრი.

მუდამ თვალწინ უდგას ანას სობენკა, პატარა სახლის პატარა ბინა... როდესაც ანამ საქართველოში წამოსვლა განიზრახა, დიდდა დიდხანს არ თანხმდებოდა — აბა, იმ საშორეზე, უცხო ქვეყანაში რა გინდა, რატომ უნდა წახვიდე, — ეუბნებოდა შვილიშვილს მოხუცი.

— უცხო კი არა, ისიც ჩვენი სამშობლოა და ქართველები კარგი, კეთილი და მამე ხალხიაო, — უმტკიცებდა შვილიშვილი...

წასვლის წინა ღამეს დიდხანს, დიდხანს არ დასძინებია ანას. ეს იყო 1952 წელს.

1947 წლიდან მუშაობდა ანა მრთველად ბამბეულის საქსოვ ფაბრიკა „კომსოლოსკაია ავანგარდში“, სადაც მოწინავე მუშად ითვლებოდა. გაიგო თუ არა ანამ, გორში ბამბეულის საქსოვი კომბინატი ამუშავდა და დახელოვნებული მუშები სჭირდებოდათ, გულმა საქართველოსკენ გამოსწია. ბევრი რამ ჰქონდა ანას წაქოხლებული თუ გაგონილი საქართველოზე, ქართველებზე, გორზე... მთელი ღამე არ სძინებია გოგონას, ფიქრობდა, თუ როგორ მიიღებდნენ საქართველოში, შესძლებდა თუ არა კვლავ მოწინავეთა რიგებში დგომას. თუ კარგად იმუშავებდა, აბა რა დაუდგებოდა წინ.

ჩვენს ქვეყანაში ხომ შრომა ყველგან ერთნაირი პატივისცემით ფასდება...

და განა მარტო ანა პიატოვსკაია და მისი თანატოლები გამოეშურნენ ახლად ფეხადგმულ კომბინატიკენ? აი, უკვე ხანდაზმულმა, თმბდათრთვილულმა, ყველგან და ყველასგან პატივცემულმა, წარმოების მოწინავე ქალებმა — მარია კალამენცევა — ივანოვოდან, ზინაიდა გლუბაკოვამ — ბარნაულიდან, ანა პერლოვამ — ლენინგრადიდან, — კომბინატის ამუშავების პირველი დღიდანვე მოაშურეს გორს... როგორი მონდომებით შეუდგნენ ეს კვალიფიციური ოსტატები, კომბინატში მოსულ ახალგაზრდობისათვის მქსოველის პროფესიის შესწავლას. სწორედ მათი მეგობრული დახმარების და მზრუნველობის შედეგი იყო, რომ ათობით ქართველი ქალი დაეუფლა ქსოვის რთულ პროცესებს და წარმოების მოწინავე მუშების რიგში ჩაღდა.

თანდათან იზრდებოდა და ფართოვდებოდა კომბინატი. მის ირგვლივ გადატრუსული მინდორი რომ იყო, იქ ფეიქართა ქალაქი გაშენდა და მჭიდვარე ცხოვრება დაიწყო... გულლიად ხვდებოდნენ ჩამოსულთ გორელი მასპინძლები. საუკეთესო ბინებში ახალბედებულ ოჯახიანებს, ხოლო ახალგაზრდებს ნათელ, ფართო საერთო საცხოვრებელში.

ევგენია სამადელაშვილი და ანა პიატოვსკაია თითქმის ერთდროულად მოვიდნენ კომბინატში... ევგენია ისიც იყო გორში დაბრუნდა... ოცი ახალგაზრდა ქალიშვილი და მათ შორის ისიც თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში მიაგლინეს მრთველის პროფესიის დასაუფლებლად.

ახლაც კარგად ახსოვს ევგენია სამადელაშვილს სახელგანთქმული ფეიქრის მარამ გეჯაძის სიტყვები: — „აბა, თქვენ იცით, გოგონებო, როგორ მასახელებთ. არაფერი დამიშურებია თქვენთვის! — არც ცოდნა და არც გამოცდილება. ყველამ კარგად შეისწავლეთ რთვა, მაგრამ ეს ყველაფერი როდია, მუდამ უნდა ეძიოთ სიახლე, ფეხდაფეხ მიჰყვეთ ტექნიკას. ღრმად ჩასწვდით რთვის ტექნოლოგიის პროცესებს და, რაც მთავარია, მუდამ

სიყვარულითა და მონდომებით მოეკიდეთ საქმეს“. კომბინატში მოსვლისთანავე ანა და ევგენია ერთ და იმავე მანქანებზე, ერთმანეთის შემცვლელად მოხვდნენ... ახალგაზრდა ქალიშვილებმა კარგად გაუგეს ერთმანეთს, ორივეს უყვარდათ თავიანთი



გორის ბამბეული კომბინატის სართავი საამქროს ინსტრუქტორი ნ. კუხნეცოვა ესაუბრება ევგენია სამადელაშვილს და ანა პიატოვსკაიას.

საქმე და ერთ დიდ ოჯახში — კომბინატში ახლობლებივით შეეთვისნენ ერთმანეთს, მანქანებმა და საერთო შრომამ დაახლოვა და დამეგობრა კიდევ ისინი. ორივეს მინდობილი ჰქონდათ სამი უზარმაზარი გონიერი და სათუთი მანქანა, რომლებსაც თვალის ჩინვით უნდა გაფრთხილებოდნენ.

ანა პიატოვსკაია და ევგენია სამადელაშვილი მუდამ გულდამშვიდებით იზარებენ ერთმანეთისაგან ცვლას. ორივემ კარგად იცის, რომ სრულიად „ჯანსაღ“ მანქანებს ჩაიზარებენ ერთმანეთისაგან. ამიტომაცაა, რომ მუშაობის დაწყებისთანავე ისინი

მუდამ მაღალხარისხიან ნართს აძლევენ წარმოებას.

თუ თვითველმა მრთველმა ნორმით 800 თითისტარი უნდა ამუშაოს, ევგენია და ანა ათას ორას ოთხმოცდათექვსმეტ თითისტარს ამუშავებენ. შეიძლება აღმაინან ეგონოს, რომ ეს ახალგაზრდა მრთველები რთვის რაიმე საიდუმლოებას ჰვლობენ... რა თქმა უნდა, არა. მათი წარმატებული შრომის საიდუმლოება საქმისადმი სიყვარული, შეხმატბილებული შრომა, რთვის ტექნოლოგიის ღრმად აღუფლება და, რაც მთავარია, დროის დაფასებაა.

როდესაც კომბინატის კოლექტივის წინაშე დაისვა 170 ნომერი ძაფის ათვისების საკითხი, კომბინატის კომკავშირის კომიტეტის ინიციატივით შეიქმნა ახალგაზრდული ბრიგადა. პირველად 170 ნომერი ძაფის ასათვისებლად სართავი საამქროს სამი მანქანა გამოეყენა. ამ სამ მანქანაზე კი ორი მოწინავე, განუყრელი მეგობარი ქართველი ევგენია სამადელაშვილი და რუსი ანა პიატოვსკაია მუშაობენ. ადვილი როდი იყო ამ ნაწი, უწმინდესი ძაფის რთვის ტექნოლოგიის ათვისება. 170 ნომერი ძაფისაგან საქსოვ საამქროს მარკიუეტი უნდა მოექსოვა. მაშინ სართავი საამქროს უფროსი, ახლა კომბინატის მთავარი ინჟინერი მაკრახიძე თავს დასტრიალებდა მანქანებს, ანასა და ევგენიასთან ერთად სწავლობდა ამ ძაფის რთვის ტექნოლოგიას. მანქანებს სათანადო რეკონსტრუქციაც დასჭირდა.

— ახლა ყველაფერი რომ რიგევა, აღარც კი გინდა გაიხსენო ის დაბრკოლებები, რომლებიც ამ ძაფის ათვისების დროს გველოებოდა! — ამბობს ევგენია.

ანა და ევგენია გამომუშავების ნორმებს 125-130 პროცენტით ასრულებენ. გეგმის გადაჭარბებით შესრულებასთან ერთად იზრდება მათი ხელფასიც, რაც თვეში ათას ხუთას მანეთამდე აღწევს.

კომბინატის წინ მოედანზე მუშათა საცხოვრებელი ღამაში ორი და სამსართულიანი სახლებია ჩამწყობებული. აქვეა საბავშვო ბაღი და ბაგა.

კარის მეზობლები არიან ანა და ევგენია. ანა საერთო საცხოვრებელში ცხოვრობს, ევგენია, მისი მეუღლე, შემკეთებელი და მათი ხუთი წლის ბიჭუნა გურამი კი ცალკე ბინაში ცხოვრობენ. გურამი და ანა პიატოვსკაია დიდი მეგობრები არიან. როდესაც ევგენია საღამოს ცეცხლაში მუშაობს, დეიდა ანას — ასე ეძახის გურამი ანას, — მიჰყავს ხოლმე შინ ბიჭუნა საბავშვო ბაღიდან. დიდი მანძილი არა აქვთ სახლამდე გასავლელი დეიდა ანას და გურამს, მაგრამ გურამი მაინც ასწრებს უამბოს თუ როგორ იცეკვებს „ქართული“, როგორ გამოძერწა მან თიხისაგან ბეცკა და სხვ.

აი, შინ მივიდნენ კიდევ... სანამ დედა სამუშაოდან დაბრუნდება, გურამი და დეიდა ანა ერთად არიან, გურამი სრულიად არ ნადვლობს დედის შინ არ ყოფნას — დეიდა ანამ ბევრი, ძალიან ბევრი ზღაპარი იცის... ამა სობაში მამაც ბრუნდება კომბინატიდან, დეიდა ანა ემშვიდობება თავის შვილობილს და კომბინატიკენ მიიჩქარის — მალე გამოუშვი დეიდა! — აბარებს ბიჭიკო.

გორის საქალაქო საბჭოს დეპუტატი ევგენია სამადელაშვილი მოსკოვის საფეიქრო ტექნიკუმის დაუსწრებელი ფილიალის მეოთხე კურსის სტუდენტია. როდესაც ევგენია მეცადინეობს, გურამი ისევ დეიდა ანას ესტუმრება ხოლმე. მხიარულება დეიდა ანას ოთახში...

ასე დაახლოვა, სამუდამო მეგობრობით დაუკავშირა ერთმანეთს რუსი ქალიშვილი ანა პიატოვსკაია და ქართველი ევგენია სამადელაშვილი, თავდადებულმა შრომამ, სამშობლოს სიყვარულმა.

ინსო ალნიაშვილი

ფოტო მ. თურქიასი



ანა პიატოვსკაია სტუმრად ევგენია სამადელაშვილთან. ანას ხელში უჭირავს სამადელაშვილის გაყი გურამი.



# „სამცხის ხელოვნება“

ვ. ბერიძის მონოგრაფია ქართული ხელოვნების ისტორიის ერთ-ერთ რთულსა და საკმაოდ ვრცელ მონაგვეს ეხება. სამცხის ხელოვნების განვითარების მიმოხილვა ასეთ დიდ მანძილზე პირველ ცდას წარმოადგენს. მან გარკვეული რიგი უნდა შეასრულოს ქართული ძველი ხელოვნების შესწავლის საქმეში.

საქართველოს ძველი პროვინციის სამცხის ისტორიაში სამი ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული მომენტი აღინიშნება. პირველი — XIII ს. შუახანაა, როდესაც იწყება სამცხის საქართველოსაგან გამოყოფა და ავტონომიურ სამთავროდ ჩამოყალიბება, მეორე — XVI ს. ბოლო, როდესაც იგი ჰაერავს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას და სრულიად წყდება საქართველოს, ხოლო მესამე — XIX ს. 20-იანი წლებია, როდესაც სამცხე რუსეთის ჯარების დახმარებით უბრუნდება ძველ სამშობლოს.

პირველი მონაკვეთი მოიცავს მონღოლთა შემოსევების დროს საქართველოს მთლიანობის დასუსტებისა და დაშლის პერიოდს, ხოლო მეორე მონაკვეთი ემთხვევა აღმოსავლეთში ახალი, ძლიერი სახელმწიფოს — ოსმალეთის ექსპანსიის პერიოდს.

ეს ორი მონაკვეთი რაღაცადაც იმითი განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ პირველ პერიოდში მიუხედავად საქართველოსაგან პოლიტიკურად ჩამოცილებისა, სამცხე მთელ ქართველ ხალხთან ერთად ქმნიდა საერთო ქართულ კულტურას. მეორე პერიოდში კი იგი საქართველოს მოწყდა არა მარტო პოლიტიკურად, არამედ კულტურითაც. პირველ პერიოდში სამცხის ტერიტორიაზე უამრავი ხელოვნობის ძეგლი იქმნება, მეორე პერიოდში კი — თითქმის არაფერი.


სამცხის ხელოვნობის შესრულების ძეგლებიდან, ისე როგორც დანარჩენი საქართველოს და სხვა ქვეყნების მავალითობიდანაცა ცნობილი, დიდი უპირატესობა საკულტო, ამიტომაც მონოგრაფიაში მთავარი ადგილი დათმობილი აქვს საკულტო ნაგებობებს, მაგრამ შესაფერად ადგილი მიჩნეული საერო და სამხედრო ნაგებობებისთვისაც.

სამხედრო და საერო ნაგებობებთან დაკავშირებით გამოთქმული მხოლოდ წინასწარი მოსაზრებები განმტკიცებულია სისტემაში მოყვანილი ისტორიული წყაროებით. ამ ძეგლებიდან უფრო ცოცხალადაა წარმოდგენილი ის, რომელიც ავტორის უშუალოდ შეხებას და შეუსწავლია. განხილულ ძეგლებიდან ყურადღებას იპყრობს ისეთი მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქები და ცალკეული სიმაგრეები, როგორცაა ამოგვი, ახალქალაქი, ახალციხე, ხერთვისი, წუნდა, ოძრხე, კობტას ციხე და სხვა მრავალი. კარგადაა წარმოდგენილი მათი სტრატეგიული განთავსება შესხეთის ვრცელ ტერიტორიაზე; ნაჩვენებია თუ როგორ იყო შექმნილი სიმაგრეთა გეგმა და რაში მდგომარეობდა ქვეყნის დაცვის თავისებურება. ამ ციხეთა მეტი ნაწილი სამხედრო ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშებს წარმოადგენს. მათი განხილვისას თვალსაშვითად წარმოგვიდგება მნიშვნელოვანი შესხეთის სიმაგრეთა მოყვანილი სისტემა, რომელიც ჯაყელთა სამფლობელოს მთლიანად მოიცავდა. ცხაღია, მათი განლაგება ემყარებოდა როგორც უმთავრეს ხეობათა და კომუნიკაციების დაკავს. ისე სალტეგის ქმნიდა სამთავროს ცენტრთა გარშემო.

საკულტო ნაგებობებიდან შრომაში განხილულია ყველა ის ძეგლი, რომელზედაც ხელი მიუწვდებოდა ავტორს. აქ მოცემულია, როგორც დიდი გუმბათოვანი ტაძრები, ისე ნაკლები მასშტაბის შენობებიც, როგორცაა მცირე ერთნაირი ეკლესიები, სამლოცველოები და სამრეკლოები.

ამ ძეგლთა ერთი ნაწილი ავტორის მიერვე მიკვლეული და სამეცნიერო მეთოდურად შეიკვლია პირველად შემოტანილი. ზოგიერთი ძეგლის ირგვლივ

ავრთვე, არსებული მეცნიერული ლიტერატურა ეხებოდა არა ნაგებობათა ხელოვნობის აღწერის არსს, არამედ ამა თუ იმ კერძო საკითხს. შრომაში სწორედ მთავარ წარმოდგენს ნაგებობათა ხელოვნობის აღწერის დამატება, მაგრამ იგი მოწყვეტილია კი არ არის, არამედ მომიჯნავე დისციპლინათა მოშველებით კომპლექსურადაა განხილული. ამის შემდეგ ავტორი დაასკვნის, რომ შეიძლება მსჯელობა „მომწიფებულ შესაუკუნეთა სტილის



ფარგლებში ახალი საფეხურის ჩამოყალიბების შესახებ. ეს ახალი, დამამთავრებელი საფეხური XIII-XIV ს-თა მიჯნაზე ისახება და განხილული პერიოდის (XVI ს. — პ. ზ.) ბოლომდე ატანს.

ავტორი რელიეფურად წერს იმის შესახებ, რომ, მიუხედავად შემდგომი დაქვეითებისა, ქართული ხელოვნობის განვითარება მინიმუმ ინარჩუნებდა მკვეთრად გამოვლენილ ეროვნულ სახეს. ამ დაღმავლობის დროსაც კი უცხო გავლენა თითქმის შეუმჩნეველია. ამ გავლენის ანარეკლი თუ სადმე გვხვდება, ისიც აქა-იქ, მხოლოდ და მხოლოდ ორნამენტატივით.

შრომაში განხილულია ძეგლები მათი ისტორიული მნიშვნელობისა და ქრონოლოგიის დაკვირვებით, სადაც ნათლად და დამარწმუნებლად ნაჩვენებია ის ახალი ცვლილებანი, რომლებიც ხდება XIII-XIV საუკუნეთა მიჯნის ხელოვნებაში. ერთი მხრივ აღებულია ნიმუშები XI-XII საუკუნეთა და მასთან დაპირისპირებულია მომდევნო პერიოდის XIII-XIV საუკუნის ხელოვნება.

განსახილველი ეპოქის საქართველოს ხელოვნობაში წამყვანი სამხის აქ წარმოდგენილი ძეგლები მათში განსაკუთრებული როლი უკავიათ საფარას, ზარზმას და ქულეს. თვითოვლი მათგანი დიდ და მრავალფეროვან სამონასტრო კომპლექსებს წარმოადგენდა. საუკუნეების განმავლობაში უბატონოდ მიტოვებული ეს ძეგლები შესამჩნევად დაზიანდა. ამათგან თითქმის მოსპობამდეა მიყვანილი ქულეს ავტორის დიდი შრომა გაუწვია ქულეს მსგავსად სანახევროდ დანგრეული ბიტიისა და თისელის ძეგლების თავდაპირველი სახის წარმოსახვისა და მათი გაანალიზებისათვის.

მონოგრაფიის ავტორი შრომაში კერძოდ დიდ ადგილს უთმობს საფარის სამონასტრო კომპლექსის განხილვას. ეს მარტო უნდა, რადგან ამ კომპლექსის მთავარი ძეგლი არა მარტო ამ მხარისათვის, არამედ მთელი საქართველოსათვის იმ პერიოდში ერთ-ერთ თვალსაჩინოა და წამყვანს წარმოადგენდა. ეს ტაძარი იმითაცაა ღირსშესანიშნავი, რომ იგი ახალი საფეხურის დამწვევია და XIII ს. ბოლოს არქიტექტურაში მომხდარ გარდატეხას ნათლად წარმოგვიდგენს. ამ კომპლექსს თავის დროზე ერცელი

ტერიტორია ეკავა და მრავალფეროვანი იყო ნაგებობების მხრივაც. დღესაც წარსულელ შთაბეჭდილებას ახდენს მისი კოლოსალური ნანგრევები. მათგან ყველაზე უკეთაა მოღწეული გუმბათოვანი ტაძარი, მას ირგვლივ არტყა მრავალი სამლოცველო, დიდი და მცირე ეკლესიები, სამრეკლო, საერო ნაგებობები და ჯაყელთა მიერ აგებული ციხე-სიმაგრე.

შრომის ავტორი დამაჯერებლად წერს, რომ მთავარი ტაძრის ერთ-ერთ წარწერაში მოხსენიებული ფარეზას ძე შემქმნელია ამ კომპლექსის გუმბათოვანი ძეგლისა. მასვე მიუყვლება ეკლესიის მოდელის მსგავსი ქვისათვის. სადაც გამოსახულია მამაკაცი, რომელსაც ხელში გონიო და რაღაც სამშენებლო იარაღი უჭირავს.

შრომის ერთ-ერთ ნაწილში ავტორი იხილავს მცირე ზომის უგუმბათო ტაძრებს. ამ სახის ტაძრების საერთო მიმოხილვის შემდეგ, ცალ-ცალკეა მოცემული წყობას, გავითის, თისლისა და სადგურის ძეგლების ანალიზი. უგუმბათოვანი ტაძრების მსგავსად, აქაც ძეგლებისათვის მოქმენილია საერთო ევოლუციური სათანადო ადგილები და შემსახველია მათი ისტორიული და მხატვრული ღირებულება. თუ გუმბათოვან ძეგლებში წამყვანია საფარა და ზარზმა წარმოდგენა, აქ ეს როლი წყობას და გავითს აკისრიათ.

XIII საუკუნიდან ქართულ საკულტო ხელოვნობის სამრეკლოს შექმნით კიდევ ერთი სახე ემატება. ამ ახალი სახის გენეზისი და მისი შემდგომი ევოლუცია ავტორის მოკლედ და დამაჯერებლად აქვს გადმოცემული. სამრეკლოების გენეზისის დასადგენად საილუსტრაციოდ გამოყენებულია საქართველოს ზოგი ძეგლი და შემდეგ კონკრეტულად მსჯელობა შეეხება სამცხის ისეთ სამრეკლოებს, როგორცაა: საფარა, ზარზმა, გარძია, ივარეთი, ხეოთი, შორეთი, ჩითახევი და ლიკანი. განხილვისას ნაჩვენებია ერთმანეთის ის ხაზი, რომელიც ამ სახის ნაგებობებს აკავშირებს ხელოვნობის სხვა სახის თანამედროვე ნაგებობებთან.

ავტორი ნაშრომში დიდ ადგილს უთმობს ეპიგრაფიკულ მასალის გარჩევას. მას ყველა დაბეჭდილი თუ ფრესკული წარწერები ხელმეორედ აქვს ამოკითხული, შეჯერებული ძველად გამოცემულ წყაროებთან. იგი იძლევა ახალ კორექტივებს, აზუსტებს მათ და ხშირად ახლებურადაც აზრებს. მასში, რაც ძველ წყაროებში გაუგებრობას იწვევდა აქ სიცხადეა შეტანილი. საფუძვლიანად დასაბუთებულია საკუთარი წინასწარის გარჩევა. ეს ეპიგრაფიკული მასალა მას გამოყენებული აქვს მხატვრულ მოვლენათა გასარკვევად და არა მოწყვეტილად.

ავტორის შრომის დასასრულს რელიეფურად აქვს ჩამოყალიბებული ახალიზის შედგენილი მიღებული დასკვნები. ავტორის მიერ მიღებულ დასკვნებშია აღსანიშნავი, რომ ამ დროს არ მომხდარა ხელოვნობის მთლიანობის ცვლილებები. მაგრამ შეინიშნება მკვეთრი რღვევა — XII-XIII ს-ის ცხოველსატულობის საწინააღმდეგოდ. ამავდროს, შესამჩნევად იცვლება ნაგებობათა საერთო პროპორციები. შინაგანი სივრცის განათებისადმი მიდგომა, შედარებით თავისუფლად ფასადების სიბრტყე და სხვ. ხაზია გასაშუილი იმ გარემოებაში, რომ ამ პერიოდში გარკვეულად შეინიშნება მორთულობის მოტივთა რეზინისცვლილება, რაც თავისთავად მხატვრული მთლიანობის რღვევას და დაკადანის მჩვენებელია. იქვე, დამაჯერებლად მოცემულია, რომ „სამე გაქვან რეტორიკული განწყობილებასთან, რომელიც ბუნებრივი და დამახასიათებელია მძაფრი პოლიტიკურ-ეკონომიური, სოციალური და იდეური კრიზისის ხანისთვის“. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ღარიბდება ორნამენტაციის რეტორიკული, სახეები მონოტონური და გაცილებით სჭარბობს გეომეტრიული მოტივები.

ამ გარემოებას ყოველთვის თანახმაა და აქაც შეინიშნება ტექნიკური დონის თანდათანობითი დაქვეითება. აღარ არის ძველი გაქანება. ნოვატორობა და გაბეჭდილობა. ეს კი თავისთავად შესამჩნევად გავლენას ახდენს მხატვრულ შთაბეჭდილებაზეც. შრომის ავტორი საბოლოოდ, მიღებული დასკვნების განზოგადების მიზნით, საერთო საზღვრის იხილავს საქართველოს სხვა პროვინციების თანამედროვე ანალოგიებსაც.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომი კარგი, მსუბუქი და ადვილად გასაგები ენითაა დაწერილი. რაც შეეხება წიგნის პოლიგრაფიულ მხარეს, არ შეიძლება იხილვსა მოგვებით არ აღინიშნოს, რომ აკადემიის გამოცემლობამ ამ ბოლო დროს შესამჩნევად გააუმჯობესა გამოცემის ხარისხი. წიგნი შევსება ილუსტრირებული. დართული აქვს 75 ნახაზი და 114 ტაბულა, ორასამდე ფოტოსურათი. მიუხედავად ამისა გამოცემლობა ჯერ კიდევ შორსაა სრულყოფილ ხარისხს; შესაძლებელი იყო ტექსტში ჩართული სურათებისა და ზოგი ტაბულის უკეთ დაბეჭდვა.

მთლიანად ვ. ბერიძის „სამცხის ხელოვნობის ისტორია“ სახით, ქართულ საბჭოთა სახელოვნებათმცოდნეო ლიტერატურას კიდევ ერთი კაპიტალური ნაშრომი შეემატა.

დოკ. პ. ზამპარია  
ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

## საჩხერის სვამბა

როგორც ცნობილია, ზურაბ წერეთლის და მისი ვაჟის გრიგოლის მეცნიერებით საჩხერეში მათ სასახლესთან გამართული იყო სვამბა. იმ ადგილს, სადაც ეს სვამბა ყოფილა, ჯერ კიდევ ამ ოციწლი წლის წინათ „ნასვამბარას“ ეძახდნენ.

აქამდე არსებული ცნობებით საჩხერის სვამბას 1817 წლამდე უარსებნია, მაგრამ როგორც ახლა აღმოჩნდა, ეს თარიღი არ არის სწორი.

სხვათორის აკავი წერეთლის სახელმწიფოში დაცულია ნარმის თეთრ ნაჭურზე (48x60) დაბეჭდილი ოდიკი. ამ მშვენიერად შენახულ ოდიკზე ადვილად ამოკითხება წარწერა: დროსა უკეთილმასხურესისა და თვითმპყრობელისა დიდისა ხელმწიფისა იმპერატორის ალექსანდრე პავლეს ძისა სრულიად როსისა და სხვათა და სხვათა და სხვათა დაიბეჭდა წმინდა ესე ოდიკი საჩხერეს ნებთა და კურთხევითა ყოვლად უსამღვდელოესის საიმერეთოს არქიებისკოპოსის და კავა-

ლერის სოფრონოსის მიერ წელსა ჩუბი იანერის უ-

ამგვარად, როგორც ამ წარწერიდან ჩანს, საჩხერის სვამბა 1822 წელს და შეიძლება შემდგომაც ყოფილიყო.


გრიგოლ წერეთელი ყოფილა წიგნის დიდი მოყვარული და კლექციონერი. ელისაბედ გიორგის ასულ წერეთლისაგან გამომდინარე: გრიგოლ წერეთელი წიგნის ისეთი მოყვარული იყო, რომ თუ ნებით, ან ფულით ვერ იშოვნოდა, ძალით წაართმევდა კაცსა.

გრიგოლ წერეთელი მწერალიც ყოფილა. ქოთევის ორბელიანი თავის მოგონებებში გვიამბობს — ალექსანდრე ჩუბუკაძე ლექსში სჯობდა გრიგოლ წერეთელს, პროზაში კი გრიგოლი სჯობდა ალექსანდრეს.

სამწუხაროდ გრიგოლ წერეთლის ბიბლიოთეკის მხოლოდ ნაწილი მოხდა საქართველოს მუზეუმებისა და წიგნთსაცავების, დანარჩენი კი აქტიურობით გაიფანტა, ასევე დაეშრათა, ალბათ, მის ნაწილებსაც.

პ. ზამპარია





ეს ელექტროსაწოლებია. აქ აწვე-  
ნენ დღენაკლულებს, რომელთაც არ  
გაჩნიათ თერმო რეგულაციის უნარი.  
ტემპერატურის ნორმალიზაციისათვის  
პირველი თვის განმავლობაში ჩვილე-  
ბი ასეთ საწოლებში ფრდებინ-  
ექიმი შერი გოგინებდამვილი აწვეს რა-  
გებს საწოლების ტემპერატურას.

ახლა კარგად გრძნობენ თავს. ბევრი  
მათგანი სკოლებში დადის და ფრია-  
დებზე სწავლობს.

ინსტიტუტი მათთან კავშირს არა  
სწყვეტს, ამ ბავშვების სურათებს  
ნახავთ ალბომებში და ინსტიტუტის

# დედათა და ბავშვთა რაზმი



ეს ოთხი და ტყუბები არიან. დღენაკლულები იყვნენ და ინსტიტუტში უვლიდნენ. ახლა ისინი არაფრით არ განსხ-  
ვდებიან სხვა ბავშვებისაგან.



დედათა და ბავშვთა ჯანმრთელო-  
ბის დაცვის სამეცნიერო საკვლევო  
ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა ბრი-  
გადები სისტემატურად მიდიან ქა-  
ლაქად და სოფლად — იკვლევენ,  
როგორ არის მოწყობილი დედათა  
და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქ-  
ტიკური დახმარება, ავლინებენ სუს-

ტად მომზადებულ საექიმო პერსო-  
ნალს და თბილისში გზავნიან გადა-  
სამზადებლად. ატარებენ საუბრებსა  
და ლექციებს, პრაქტიკულად ეხმა-  
რებიან ექიმებს მკურნალობასა თუ

იმ დღენაკლულებს, რომელთაც წო-  
ვისა და ყლაპვის რეფლექსი არ გააჩ-  
ნიათ, ზონდით აწოდებენ საჭმელს  
ყოველ ოთხ საათში. ასეთი ქვება  
ბავშვს საშუალებას აძლევს ენერჯის  
დაუზარაჯავად მიიღოს კუთვნილი  
უღუფა. მარო ქოქრაშვილი და გუ-  
გული ქიტოვანი ზონდით კვებენ ბავშვს.

პროფილაქტიკურ ღონისძიებების ჩა-  
ტარებაში.

ინსტიტუტი მრავალფეროვან და  
ნაყოფიერ მუშაობას ეწევა. ნ წლის  
განმავლობაში მართო ახლდაბდე-  
ბულ დღენაკლულთა განყოფილებაში  
1075 ბავშვი გატარდა. მათი სიცოცხ-  
ლისა და ჯანმრთელობის შესანარჩუ-  
ნებლად გამოყოფილია მდიდარი აპა-  
რატურით აღჭურვი-  
ლი სპეციალური ბა-  
ნა ბავშვების გასა-  
თობად, მათთვის  
უანგზადის მისაწო-  
ლებლად. აქ მუშა-  
ობა მეტად დამა-  
ბულ შრომას მოით-  
ხოვს. მრავალი დღე-  
ნაკლული ბავშვი გა-  
დაარჩინეს სიკვ-  
დილს. უდღეურები

ახალშობილთა განყოფილებაში სის-  
ტემატურად ამოწმებენ ჩვილთა ჯან-  
მრთელობას. განყ. გამგე ექიმი ნ. ჟა-  
მუტაშვილი და სამ. და ე. ხომასურიძე  
ერთხელ კიდევ სინჯავენ პატარა სან-  
დროს.

კედლებზე გამოფენილს. მრავალმა,  
უკვე ცნობილმა გინეკოლოგმა თავისი  
პრაქტიკული საქმიანობა აქ დაიწყო,  
ამ ინსტიტუტში აიმაღლა კვალიფიკა-  
ცია.


მეორე საბარგო ავტოსატრანსპორტო კანტორის დის-  
პეტჩერი მ. ფრუიძე სიხარულით ეგებება თავის მეუღ-  
ლეს მარიამს და ახლად შეძენილ ოჯახის წევრს. ისინი  
ნომ კარგა ხანს იყვნენ ინსტიტუტის კვალიფიციურ  
მუშაკთა მეთვალყურეობისა და მზრუნველობის ქვეშ.

სძინავთ პატარებს. ექთანი ეთერი  
მუშკუდიანი ამ ბავშვებს კვებისათვის  
ჩამოურიგებს დედებს.



საქართველო  
ბავშვთა რაზმი





ნელოდა საავადმყოფოს. ავადმყოფთა ათასებს გაუფლია მან ხელში. სანატორიუმის ბინადარნი განუწყვეტლივ მოდიან იპოლიტე ჩხეტიასთან. ღებულობენ რჩევა-დარიგებას, თუ როგორ დაიცვან რეჟიმი და მკურნალობის წესები.

იპოლიტეს კოლეგებიდან ყველაზე ახალგაზრდაა ექიმი ორდინატორი დავით ვახანი (შარშანწინ დაუშთავრებია სამედიცინო ინსტიტუტი). ორმოცდახუთი ავადმყოფი ჰყავს დავითის, და იგი ბევრითაღ ზრუნავს მათთვის.

რენტგენოლოგი ვლადიმერ ჭანტუჩია მისვლის დღესვე გაგაშუქებთ. ეს აუცილებელია ავადმყოფობის გამორკვევისათვის. აკრ ორი სურათი: ერთზე გამოხატულია გულის ცუდი მდგომარეობა. ეს გადაიდეს მისვლის დროს, როცა ავადმყოფს სულის ხუთვა აწუხებდა, აღმართვე ასვლა უჭირდა. მეორე სურათი, გაწერის წინ ფიქსირებული, გულის გამოკეთებაზე მეტყველებს.

ლენა ჭავთარაძეს აქ „დეტდას“ ეძახიან. საკუთარი სახელი „ლენა“ შეიძლება სანატორიუმში ყველამ არ იცოდეს, მაგრამ „დეტდას“ შორეული აღმოსავლეთიდან ჩამოსული ცნობს. „დეტდა“ განაგებს დეტურ კვებას. თვეში, საშუალოდ, 70 კაცია დეტაზე. ლენა ჭავთარაძე ადგენს მენიუს. იცის, რომელ სუფრაზე რაა მისატანი...

...მენჯის ბაქანზე ჩამოდა მატარებელი — „თბილისი-მოსკოვი“. შინ მიემგზავრებიან მოსკოველი ტატანა კუწნიცოვა (ოთხმოცდამეცხრამეტე ბოლიკლინიკის მედა), ესტარდის მსახიობი კიშინოველი ეკატერინა დუბაგინა, ასევე დედაქალაქისაკენ იღებენ გუზს ხარატი რ. ნაზაროვა, მასწავლებელი ქალი ლ. ხარყოვსკაია და სხვები.

ისინი დაშვებულნი, გამოკეთებულნი, კმაყოფილნი ბრუნდებიან სახლში. თან მიაქვთ უმარავი ფოტოსურათი.

ბევრნი მოსულან დამსვენებელთა გასაცემლად.

მატარებელზე ასვლის წინ, მიმავალთა ჯგუფში გულითადი საუბარია. ორნი „კამათობენ“:

— მენჯი! წარმოიდგინეთ ეს კურორტი ისე პატარაა, რომ მისი ფიქსირება შეუძლებელია საბჭოთა კავშირის ყველაზე დიდი მასშტაბის რუკაზეც კი.

— და მენჯი მინც იციან მოსკოვსა და ლენინგრადში, მურმანსკსა და ხაბაროვსკში, სტალინგრადსა და ოლენსკში, პარიზსა და ლონდონში...

...შემადგენლობა დაიძრა. ბაქნიდან და ფანჯრიდან გაისმის მეგობრული ურთიერი შეძახილი.

სანატორიუმის ავტობუსი ისევ იცდის. სცაა ჩამოდგება მატარებელი „როსტოვი-თბილისი“ და ჩამოიყვანს ახალ დამსვენებლებს, განსაკურნავთა ახალ ჯგუფს.

სალვა შენგელი

ფოტო შ. ჩხეტიანისა

# მენჯის ყავარჯენები

დონბასის შახტის მუშა მიხეილ პავლეს-ძე. ივანოვი ერთი თვის წინათ მძიმე ავადმყოფი, თითქმის ხეიბარი ჩამოვიდა, ახლა შეიძლება ითქვას, განკურნებულია. ხვალ მიემგზავრება შინ — თავის დონბასში. ეს რამდენიმე დღეა კარგად გრძნობს თავს.

ალბათ, სრულებით არ დასჭირდება ყავარჯენი. ალბათ, კი არა, ნამდვილად! ჯერ კიდევ გუშინწინ უნდოდა მისი გადაგდება, მაგრამ შიშმა: ვაითუ მუხლმა მიდალატოს, ვერ ვავიარო და შევრცხვეო, — ხელი ააღებინა განჯრახვანზე.

ამ წუთს მიხეილ პავლეს-ძეს რატომღაც ძალიან მოუნდა მწვანე მოლწე ვავლა, ვავლა თავისუფლად, ისე როგორც დადის ყველა — უყავარჯენოდ, ლაღად... მაგრამ შესძლებს კი... გადადგას ნაბიჯი დამოუკიდებლად!.. შესძლებს, შესძლებს, უსათუოდ შესძლებს!

ამჯერად მას ბევრი არ უფიქრია, უცებ მიიღო გადაწყვეტილება და გადაისროლა... ყავარჯენი... ოთხიხუთი ნაბიჯი გადადგა და... იქვე ბროწეულის ხეს გადაწვდა, სახეზე ეკვროდა მცენარის წითელი ყვავილები.

ტყუილად შეჩერდა! შეეძლო განეგრძო სვლა. ივანოვმა ხელით მიუაღერსა ბროწეულს და გაიღიმა. ასე იღიმებიან ერთ დროს დავროლომილი, მაგრამ მოულოდნელად მწყობრში დაბრუნებული ადამიანები. ეს იყო ბედნიერების ღიმილი. ისე უხაროდა ფეხის ადგმა, როგორც ეს გაუხარდება პატარას, რომელიც პირველად გაივლის და... დედას ჩაეყვრება.

ამხანაგებმა, მათ შორის იყვნენ საგზაო ინჟინერი პლატონ ნიკოლაიშვილი, პარტიული მუშაკი შოთა გელანტია, ცხაკაიას რაიონულ გავით „ავანგარდის“ რედაქტორი ვლადიმერ წირღვავა, — სტუმარს გულითადად მოულოცეს გამოჯანმრთელება.

მიხეილმა კვლავ აიღო გადაგდებულ ყავარჯენი და როგორც ცოცხალს, ხმამაღლა, ისე რომ სხვებსაც გაეგონათ, გაესაუბრა:

— ორი წელია, განუყრელი თანამგზავრი ხარ ჩემი. მშველოდი. ახლა უნდა დაგემშვიდობო!

მან ქიმიური ფანქარი ამოიღო, მერე ჩაიმუხლა და ყავარჯენზე გრძლად წააწერა: „ამხანაგო კაკულია ჩემს სათქმელს, რომელიც მინდოდა შთაბეჭდილებათა წიგნში ჩამეწერა, ეს ყავარჯენი იტყვის. სავსებით განვიკურნე. პირველად დონბასში, მაისის სახლში ავადგი ვეხი, მეორეჯერ ახლა, აქ — მენჯის სანატორიუმში, სახელმწიფოს სახლში. მენჯმა გაიმარჯვა.“

მ. პ. ივანოვი. 1955 წ. წააწერა ეს სტრიქონები, წელში გასწორდა, ყავარჯენი მხარზე გადაიღო და სანატორიუმის შესასვლელი-საკენ გაემართა. და როგორც კი ივანოვმა ამაყად, უკვე მტკიცე ნაბიჯით გაიარა, ეზოში მოხერხებულ დამსვენებლებმა განკურნებულს სისხარულით გააულოეს თვალი და თითქმის ერთბაშად დასტუქეს „ვაშა“, ისინი აქ, პირველ სანატორიუმში, პირველად ხედავდნენ ჩვეულებრივად, ყავარჯენის დაუსმარებლად, მიმავალ ივანოვს.

ეს ძლიერი „ვაშა“ იყო ავადმყოფობის, ინვალიდობის დაძმევის აღსანიშნავი „საღმტკიცე“.

სანატორიუმის მთავარმა ექიმმა, აკაკი კაკულიამ, ივანოვის მიერ გადამოცემული სამახსოვრო ყავარჯენი, როგორც მენჯის წყლის ძალის დამადასტურებელი რელიქვია, მიუმატა ჩუვაშული პენსიონერის ნიკოლოზ ივანეს ძე კოლესნიკოვის, ნოვოშახტინსკელი მემანქანის ტატანა მიხეილის ასულ ბეჟენსკაიას და სხვათა მიერ ადრე გადაგდებულ ყავარჯენებს.

...კურორტი მენჯი სულ სამი კილომეტრითაა დაშორებული ქალაქ ცხაკაიას. ის 29 მეტრის სიმაღლეზეა ჯდვის დონიდან. სწორედ აქ თავდება ეკის ქედი და იწყება კოლხიდის დაბლობი.

მენჯის მინერალური წყაროები იხსენიება ჯერ კიდევ 1875 წელს კავკასიის გეოლოგიის შესახებ გამოცემულ შრომაში. მაგრამ ამ წყაროებზე სრული მასალა ვ გერსამიას და ა. კაკულიას წიგნში „კურორტი მენჯი“.

მენჯი, თავის კეთილისმყოფელი გავლენით, სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება. აი, ამ ფაქტის დამადასტურებელი რამდენიმე ციფრი: აქ მკურნალობდა 1953 წელს — 1850 კაცი, 1954 წელს — 1460, 1955 წელს — 1792.

კარგია მენჯი დღეს, უკეთესი იქნება ის ხვალ. გენერალური გეგმა ითვალისწინებს დიდი აუზის მოწყობას მდინარე ცივის კალაპოტში. აიგება თერთმეტი სანატორიუმი. რომ ვადადეს წყლის დებიტი, კურორტის მიდამოებში ჩატარდება ღრმა ბურღვა.

...ავადმყოფი დამსვენებლები სანატორიუმიდან სპეციალურ ავტობუსს ჩაჰყავს რამდენიმე ასეულ მეტრზე მდებარე საბაზანო განყოფილებაში. მიახლოებისთანავე გრძნობთ მინერალური წყლების სპეციფიკურ სუნს. განყოფილების მთავარი ექიმი დ. ხორავა გვათვალისწინებს აბაზანებს. მკურნალობის კურსი, საშუალოდ თხუთმეტი აბაზანი განისაზღვრება.

...კურორტი უზრუნველყოფილია სამედიცინო პერსონალით, სამკურნალო-დიაგნოსტიკური კაბინეტით.

პირველ სანატორიუმში მოღვაწეობს რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, თერაპევტი, კონსულტანტი მკურნალი იპოლიტე მიხეილის-ძე ჩხეტია. იგი ლენინის ორდენოსანია.

იპოლიტე წლების მანძილზე განაგებდა ჯანმრთელობის განყოფილებას ყოფილ სენაკის მხარაში, ხელმძღვანელებს.








უშანგი ჩხეიძე მამინე დასრულდა თავისი მომხიბვლელი აქტიორული ცხოვრება, როცა სრულყოფილი სიმწიფის ხანას მიაღწია, როდესაც უფრო დაიხვეწა და მთელი სიძლიერითა და ნაირფეროვნებით გაიშალა მისი ნიჭი. სულ ათი წელი დაჰყო მან ქართული თეატრის სცენაზე. ლამაზი ზღაპარებით განვლო ამ ათმა წელმა... შემდეგ „ბედნიერ“ მზიან დღეებს თან მოჰყვა დაუკმაყოფილებელი და მსახიობისათვის უადრესად ტრაგიკული დასასრული. უკურნელმა სენმა თითქმის ოცი წელი მოწყვიტა საყვარელ სცენას უშანგი ჩხეიძე, მაგრამ დიდ სცენურ სახეთა შექმნის გარდა, მას დარჩა მალაღნიჭიერად დაწერილი ისტორიული დრამა, მრავალი მოგონება და წერილი.

ამ კრებულში წარმოდგენილია და ასახული უ. ჩხეიძის მიერ ნახული და გაცნობილი ამბები, ბავშვობის უდარდელი დღეები, ძველი სკოლის მახინჯი აღმზრდლობითი სისტემა, ქუთაისის მოქიფე თავადაზნაურთა ცხოვრება. იგი გულთბილად იგონებს პირველ ნაბიჯებს სცენაზე, ურთიერთობას თანშეზრდილ საყვარელ ამხანაგებთან. მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია და ყველაზე საინტერესო დიდი წერილი „კოტე მარჯანიშვილი, რეჟისორი და ხელმძღვანელი“. ასე სრულყოფილად ჯერ არავის უთქვამს სიტყვა კოტე მარჯანიშვილზე და არ შეუფასებია ქართული თეატრის ამ რეფორმატორის როლი. უშანგი ჩხეიძე დაწვრილებით აღწერს ქართული თეატრის აღორძინების პერიოდს და მისი მესაქის კოტე მარჯანიშვილის მრავალფეროვან შემოქმედებას, მის პირველ დადგმებს რუსთაველის თეატრში („ცხვრის წყარო“, „მზის დაბნელება საქართველოში“ და სხვ.), მუშაობას „ჰამლეტზე“, და განსაკუთრებით, ეხება 1928-1930 წლების სეზონის ქუთაისსა და თბილისში, მარჯანიშვილის ნიჭისა და გაქანების ამ ზენიტს...

კრებულში მოთავსებულია უშანგი ჩხეიძის მეტად საინტერესო წერილები მისი საუკეთესო როლების (ჰამლეტი, ურეილი, იაგო) შექმნისა და მათზე მუშაობის შესახებ. სამწუხაროა, რომ ორი უკანასკნელი უფრო ფრაგმენტებია.



ავტორის ისინი დაუმთავრებელი დარჩა. ფრაგმენტული ჩანაწერია, აგრეთვე დიאלოგი „რეჟისორისა და აქტიორის შესახებ“, სადაც გარკვევით ვამჩნავთ ლია მისი აზრი რეჟისორისა და აქტიორის მუშაობაზე.

ამ მოგონებებისა და წერილების უმრავლესობა იბეჭდება ლადა ჩვენს პერიოდულ გამოცემებში, ზოგიერთი უცვლელად აღადგინებული, ხოლო რამდენიმე მასალა პირველად მხოლოდ ამ კრებულში იბეჭდება.

კრებულს თან ერთვის უშანგი ჩხეიძის კერძო წერილები და შენიშვნები. უკანასკნელი შედგენილია პოეტ ანდრო თევზაძის მიერ, რომელმაც, საეროდ, სიყვარულით იმუშავა ამ დიდი ქართველი მსახიობის ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღსაწერად. მას თვმატიურად დაულაგებია და დაუსათაურებია ცალკეული უსათაურო წერილები, ალუღგენია გაურკვეველი სიტყვები, ავტორის გამოქვეყნებულ ნაწერთა საფუძველზე, მისი სტილის მიხედვით, გაუმართნია დღემდე გამოუქვეყნებელი მოგონებები და წერილები. კერძო წერილებიდან და შენიშვნებიდან ნათელი ხდება, როგორ ხანგრძლივად მუშაობდა უშანგი ჩხეიძე თავის ნაწერებზე, თუნდაც მათი გამოქვეყნების შემდეგ, და რაოდენ პასუხისმგებლობას გრძობდა ის თვითულ სიტყვაზე. როგორ უწყევდა ანგარიშს ყოველ საქმეთა და მეგობრულ შენიშვნას. გემოვნებითაა შერჩეული კრებულში მოთავსებული სურათები.

ამ შინაარსიან კრებულს მრავალი მოსიყვარულე მკითხველი ეყოლება, ისინი დაწვრილებით გაცნობიან ქართული თეატრის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწის თვალსაჩინო შემქმნებელს. განსაკუთრებული ინტერესით მოგიკიდება მას უკვე ხანდაზმულობის დაღმართთან მდგარი მისი თაობა, რომელსაც ახლაც ცოცხლად უდგას თვალწინ დიდი აქტიორის მიერ შექმნილი დაუფიქვარი და განუმოკრებელი სახეები და სევდანარევი სიამოვნებით უსმენს რადიოთი უშანგის ვაკეკაცურ ტკბოლ ქართულს.

ნიკ. აბიაშვილი

### ა. ს. გრიბოედოვის მიერ დიპლომატიური სამსახურის დასრულების საკითხისათვის

ა. ს. გრიბოედოვის მიერ დიპლომატიური სამსახურის დასრულების საკითხზე, კერძოდ, რუსეთის დიპლომატიური მისიის მდივნად სპარსეთში მისი დანიშვნის შესახებ არსებობს სხვადასხვა მოსაზრება. ყველა მკვლევარი, ვინც ამ საკითხს შეხებია — დ. სმირნოვი, ნ. პიკანოვი, ი. შლიაპკინი, ვ. ორლოვი და ი. ენიკოლოფოვი — ძირითადად იმ დასკვნამდე მიდის, რომ ა. ს. გრიბოედოვი დასჯილი არ ყოფილა თავად ვ. ვ. შერემეტევისა და გრაფ ა. პ. ჯავაღვის შორის მომხდარ დუელში მონაწილეობის გამო; ს. ი. მაზაროვიჩის პეტერბურგში ჩამოსვლასთან დაკავშირებით საჯარო საქმეთა სახელმწიფო კოლეგიაში ეძებდნენ სპარსეთში რუსეთის დიპლომატიური მისიის მდივნად გასაგზავნად შესაფერ კანდიდატს და როგორც ამ საქმისათვის ყოველმხრივ მომზადებული, აირჩიეს ა. ს. გრიბოედოვი.

რუსეთის დიპლომატიური მისიის მდივნად სპარსეთში ა. ს. გრიბოედოვის დანიშვნის საკითხის ირგვლივ არსებული მასალების განხილვას იმ დასკვნამდე მიყვავართ, რომ ეს დანიშვნა მოხდა მისი სურვილის წინააღმდეგ და მის დასჯას, პეტერბურგიდან გასახლება წარმოადგენდა.

ცნობილია, რომ თავად ვ. ვ. შერემეტევისა და გრაფ ა. პ. ჯავაღვის შორის მომხდარმა დუელმა, რომელშიც გარკვეულ მონაწილეობას ა. ს. გრიბოედოვი და ა. ი. იაკუბოვიჩი ღებულობდნენ, დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია პეტერბურგის საზოგადოებაში. თავად შერემეტევის მამამ სხოვა იმპერატორ ალექსანდრე I-ს ეპატებინა დუელის მონაწილეობის, ხსნიდა რა მომხდარს თავისი შვილის დაუდევარი ხასიათით. მაგრამ მიუხედავად ამისა, დუელის სამივე მონაწილე მანც დაიხაჯა: გრაფი ა. პ. ჯავაღვიც კი საზღვარგარეთ გასახლეს, ა. ი. იაკუბოვიჩი — კავკასიაში, ხოლო ა. ს. გრიბოედოვი დანიშნეს რუსეთის დიპლომატიური მისიის მდივნად სპარსეთში.

საჯარო საქმეთა სახელმწიფო კოლეგიაში არასასურველად თვლიდნენ პეტერბურგში ჰყოლოდათ

ჩინოვნიკი, რომელსაც სახელი შეეღობა მომხდარ დუელში მონაწილეობით. აღნიშნულის გამო არაა გამორიცხული, რომ იმპერატორ ალექსანდრე I-ის მითითებით ა. ს. გრიბოედოვს კატეგორიული წინააღმდეგობა მისცეს ამერიკაში ან სპარსეთში წასულიყო. გრიბოედოვი ამ ორი იძულებითი არჩევანიდან სპარსეთზე შეჩერდა.

ა. ს. გრიბოედოვის სპარსეთში დანიშვნასთან დაკავშირებით საყურადღებოა საჯარო საქმეთა კოლეგიის მმართველის გრაფ ნესელროდესა და ა. ს. გრიბოედოვის შორის მომხდარი საუბარი, რომელიც გადმოცემულია 1818 წლის 15 აპრილს გრიბოედოვის მიერ თავისი უახლოესი მეგობრის ს. ნ. ბეგიჩევისადმი მიწერილ წერილში:

„...теперь объясню тебе неприятную мою печаль. Представь себе, что меня непременно хотят послать, куда бы ты думал? — В Персию, и чтоб жил там. Как я ни отнекиваюсь, ничего не помогает;...“

При лице шаха всего только будут два чиновника: Мазарович, любезное создание, умен и весел, а другой: я, либо №№...“

ა. ს. გრიბოედოვს თვითონაც სურდა წასულიყო პეტერბურგიდან. დუელის შემდეგ შექმნილი მდგომარეობა აწუხებდა მას და აიძულებდა დაეტოვებინა პეტერბურგი.

ს. ნ. ბეგიჩევი ასე გადმოგვცემს ა. ს. გრიბოედოვის მამინდელ სულიერ მდგომარეობას: „Я был в отсутствии и Грибоедов писал ко мне в Москву, что на него нашла ужасная тоска, он видит безпрестанно перед глазами умирающего Шереметьева, и пребывание в Петербурге сделалось для него невыносимо“.

ამ პერიოდს ემთხვევა ა. ს. გრიბოედოვის მიერ ს. ი. მაზაროვიჩის გაცნობა; ს. ი. მაზაროვიჩი პეტერბურგში გამოგზავნილი იყო კავკასიის ცალკე კორპუსის მთავარსარდლის გენერალ ა. პ. ერმოლოვის მიერ, რათა მიეღო დანიშვნა რუსეთის საქმეთა რწმუნებულად სპარსეთში და დაეკომპლექტებინა რუსეთის დიპლომატიური მისიის შტატი.

ა. ს. გრიბოედოვმა მიიღო ს. ი. მაზაროვიჩის წინადადება სპარსეთში რუსეთის დიპლომატიური მისიის მდივნად წასულიყო.

იმ მოკლე დროის განმავლობაში, რაც ა. ს. გრიბოედოვს სპარსეთში გამგზავრებამდე ჰქონდა, იგი გამალებით ემზადებოდა თავისი ახალი მოვალეობის კეთილხინდისიერად, საქმის კარგი ცოდნით შესასრულებლად; სწავლობდა სპარსულსა და არაბულ ენებს, კითხულობდა ლიტერატურას აღმოსავლეთის შესახებ, საჯარო საქმეთა სახელმწიფო კოლეგიაში ეცნობოდა დოკუმენტებს და მიმოიწერას სპარსეთთან და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებთან.

სპარსეთში რუსეთის დიპლომატიური მისიის მდივნად დანიშვნის შემდეგაც ა. ს. გრიბოედოვი ყოყმანობდა, დიპლომატიურ სამსახურში დარჩენილიყო, თუ სამხედრო სამსახურში გადასულიყო.

1818 წლის 5 სექტემბერს ა. ს. გრიბოედოვი ს. ნ. ბეგიჩევს წერდა:

„Может и я скоро надену лямку: Павлов путем взялся похлопотать за меня при жене и при Ермолове, а если этот захочет перевести меня в военную, я не прочь! Что ты об этом скажешь?“

დღე როგორ უყურებდა ა. ს. გრიბოედოვი თავის დანიშვნას სპარსეთში კიდევ უფრო მკაფიოდ მოჩანს მისი სხვა წერილიდან იმავე ს. ნ. ბეგიჩევისადმი:

„Судьба, нужда, необходимость может меня современем преобразовать в исправники, в таможенные смотрители; она рукою железною закинула меня сюда и гонит далее, но по доброй воле, из любопытства, никогда бы я не расстался с домашними пенатами, чтобы блуждать в варварской земле в самое злое время года“.

ამრიგად, რუსეთის დიპლომატიური მისიის მდივნად სპარსეთში ა. ს. გრიბოედოვის დანიშვნა მოხდა მისი მონაწილეობის გამო თავად ვ. ვ. შერემეტევისა და გრაფ ა. პ. ჯავაღვის შორის მომხდარ დუელში. ეს დანიშვნა წარმოადგენდა გრიბოედოვის დასჯას, მის გასახლებას პეტერბურგიდან.

ირაკლი ჯავახიძე



ხალხური ზღაპარი

ერთ მიყრუებულ სოფელში, დედაქალაქის დაშორებით, ცხოვრობდა ერთი გლეხი, რომელსაც არასდროს მეფე არ ენახა. მას ეგონა, მეფე ჩვეულებრივ ადამიანს არა გავსო, და მთელი თავისი სიცოცხლე სულ იმის ნატვრაში იყო, როგორმე საკუთარი თვალით ენახა იგი. ერთხელ ცოლს უთხრა:

— გამიგონე, მარიანო, დედაქალაქს მიიდა წავიდე და მეფე ვნახო.

— ჭკუაზე ხომ არ შემცდარხარ, კაცო, — უყვირა ცოლმა. — ასეთ სისულელეზე გინდა ფული დახარჯო? გამოიბერტყე მაგ თავიდან ეგ სისულელეო!

— რას ამბობ, დედაკაცო, შემთხვევით ვისარგებლებ და კბილსაც ამოვიძრობ, რომელიც სიცოცხლეს მიმწარებს. გამუდმებით მტკივა და მოსვენებას არ მაძლევსო, — თავისას არ იშლიდა გლეხი.

იმდენი ეღრბინა, იმდენი ემუდარა, სანამ არ დაითანხმა. და აი, გახარებული გლეხი გაუდგა გზას. დედაქალაქი ძალიან შორს იყო, ასე რომ გზაში თითქმის მთელი ფული შემოეხარჯა. ბოლოს, როგორც იქნა, მიღწია დედაქალაქს და მეფეც ნახა, რომელიც სწორედ ამ დროს ეკლესიიდან გამოდიოდა წირვის შემდეგ.

— ღმერთო ჩემო, მართლაც სულელი ვყოფილვარ, — გაიფიქრა გლეხმა. — მეფე ისეთივე ადამიანი ყოფილა, როგორც ყველა დანარჩენი. განა ღირდა ამისთვის სიმწრით ნაშოვნის ფულის განაივება!

გახსნა ქისა და ნახა, რომ წვრილი

ფულია დარჩენილი. არადა, ძალიან შიშობდა. საუბედუროდ, კბილის ტკივილმაც ხელახლა შემოუტია და ისე მაგრად, რომ გაჩენის დღე აწუველინა. დამშრული და კბილის ტკივილით გამწარებული მიადგა იგი ქუჩაში ხავიწის გამყიდველს.

იფიქრა: „კბილი რომ ამოვიძრო, უკანასკნელი ფული უნდა მივცე. ხავიწი რომ ვიყიდო, კბილი უფრო ამტკივდება და როგორღა მივალწუვ შინ, რა წყალს მივცე თავიო?“

იფიქრა, იფიქრა, მაგრამ გამოხავალი ვერ იპოვა. ამ დროს მახლობლად ორი პანა გამოჩნდა. თვალი მოჰკრეს გლეხს, რომელიც დამშრული თვალებით უყურებდა ხავიწებს, და გაიფიქრეს, მოდი ერთი გავემასხარათო.

— ჰეი, შენ, გლეხო, — დაუძახეს. — რამდენ ხავიწს შეჭამდი ერთბაშადო.

— მე? ახ ცალს შეჭამდი!

— ასსაო! — გაეცინათ პანებს. — ამდენს ვერა კაციშვილი ვერ შეჭამსო.

— მე კი შევჭამო, — დაიჩემა გლეხმა.

ირგვლივ დიდძალი ხალხი შეგროვდა. ერთბაშად პანებს თქვა:

— იცი რა, მოდი ნაძლევი დავდოთ, ვერ შესჭამ. მაგრამ ნაძლევი რა იყოსო?

— აი, რა: თუ ასივე ხავიწი ვერ შევჭამო, ამომამტრეთ პირველივე კბილი, რომელსაც მე გიჩვენებთო, — და გლეხმა თითი დაიდო მტკივნეულ კბილზე.

პანებს გაეცინათ, დათანხმდნენ, და



გლეხი შეუდგა ქამას, როდესაც ქამით გული იფერა, გამოაცხადა:

— მეტი აღარ შემიძლია, ბატონებოო.

ყველას გაეცინა. თავისი გამარჯვებით, დიდად ემყოფილმა პანებმა დაუძახეს დალაქს და უბრძანეს, ახლავე ამოაძრე კბილი ამ კაცსაო.

გლეხი აცხვაცხვდა, პანებმა ხარხარი მორთეს. დალაქი შეუდგა თავის საქმეს. გლეხი ყვიროდა, საცოდავად ღმუოდა, იმანებოდა ტკივილებისგან, მაგრამ ყოველი მისი ამოყვირება უფრო მეტად ამხიარულებდა პანებს.

როცა გლეხს კბილი ამოაძრეს, პანებმა ფული გადაუხადეს ხავიწის გამყიდველსა და დალაქს, მერე ხალხს მიუბრუნდნენ:

— ასეთ უგუნურ ადამიანს ჩვენს სიცოცხლეში არ შევხვედრივართ, ეს სოფელი რომ არის. რამდენიმე

ხავიწის გულისთვის კბილი დაჰკარგაო.


— ჩვენს შორის თუ ვინმე არის სულელი, ეს სწორედ თქვენა ხართ, ბატონებო, — უპასუხა გლეხმა. — ფული გადაიხადეთ იმ ხავიწებში, რომლებიც დიდი სიამოვნებით გეახლებით და გამათავისუფლებთ იმ კბილისგან, რომელიც დიდი ხანია მასწუხებდაო. ერთბაშად ორი უსიამოვნებისგან მიხსენით: შიმშილისა და დაქიანებული კბილისგან, ჩემი ქისიდან კი ერთი გროშიც არ ამომალბინეთო.

დამსწრეებმა, სულ ახლახან პანებთან ერთად გლეხს რომ დასცინოდნენ, სხამალა გადაიხარხარეს.

მოტყუებული და თავდაფაცხმული პანები სასწრაფოდ მიიმალნენ.

ჩეხურიდან თარგმნა  
შ. გვინჩიძე

კ რ მ ს ვ მ რ დ ი



პ ო რ ი ზ ო ნ ტ ა ლ უ რ ა დ :

- 1. შეიარაღებული ძალები. 6. მათემატიკური დისციპლინა. 9. ქიმიური ნივთიერება. 10. პოპულარული მოლდავური სიმღერა. 11. ქალაქი ჩინეთში. 15. ცხენსაკერი მარყუჟიანი თოკი. 19. კვერცხისმდებელი ქუძუმწოვარი. 22. პირველი თერმომეტრის გამომგონებელი. 24. ნაწარმოების მთავარი აზრი. 25. წონის ერთეული. 26. შეიარაღების ერთ-ერთი სახეობა. 27. ძველი საბერძნეთის შუა ნაწილი. 28. ოფიციალური წერილობითი მიმართვა ერთი მთავრობისა მეორისადმი. 30. ქიმიური ნივთიერება. 31. მდინარე საქართველოში. 32. სისხლნაკლებობა. 34. კუნძული წყნარ ოკეანეში. 38. სხეულის რომელიმე ორგანოს გადაჯვარება. 39. მაღალხარისხოვანი მინა. 40. მეტალი. 43. ძველებური ოქროს მონეტა. 44. სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთში.

ვ ე რ ტ ი კ ა ლ უ რ ა დ :

- 2. ქალაქი ევროპაში. 3. ასო „ი“-ს ბერძნული სახელწოდება. 4. დიდი რუსი მხატვარი. 5. ჩიტი. 7. წილხვედრი. 8. მცენარე, რომლის თესლისაგან ამზადებენ სასიამოვნო სუნის ზეთს. 12. კოლონია აფრიკაში. 13. სახელმწიფო ამერიკაში. 14. რჩეულ ნაწარმოებთა კრებული. 16. გამოჩენილი ინგლისელი მეცნიერი. 17. ქალაქი ინდოეთში. 18. ფართობის საზომი ერთეული. 20. ქალაქი საქართველოში. 21. ქალაქი საფრანგეთში. 23. ტროპიკული მცენარე. 29. მტაცებელი ფრინველი. 33. სიგრძის საზომი ერთეული. 35. პლანეტა. 36. კურორტი საქართველოში. 37. საკვები ნივთიერება. 41. ახლომხედველი. 42. გარეული ცხოველი.

გ ა რ ე კ ა ნ ი ს პ ი რ ვ ე ლ გ ვ ე რ დ ზ ე : თბილისის კიროვის სახელობის დაჯილდოვებული ქარხნის მოწინავე ხარატები ვ. ზანგურაძე და ი. უკოლოვი.

ფერადი ფოტო რ. აკო ფოვისა.

მ ე ო თ ხ ე გ ვ ე რ დ ზ ე : ნოიოს გზაზე.

ფერადი ფოტო ი. ფედვინისა

რედაქტორი გრ. აბაშიძე  
სარედაქციო კოლეგია: შ. ბუაჩიძე, შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გიგინეიშვილი, დ. დოლიძე, მ. სააკაშვილი, ი. ციციშვილი, ნომერი ვააფორმა ზ. ლეივაძე სამ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა ვ. ჭელიძე, უ. ჯაფარიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV ხართ. | ფანი 8 მან. | გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოტექნოლოგიაში  
ტელეფონები: რედაქტორის—3-52-69, პ/მგ. მდივნის—8-95-38. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/X-56 წ. გამოცემა № 105/1. ზომა 70x108/8, 1,5 ქალ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. ტირაჟი — 15.000. შეკვეთის № 518 უფ 05279

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Д р о ш а“ (на грузинском языке)





ქართული  
წიგლიწიგლი



სოფელ სიონის საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე ეთერი დავითაშვილი 85 წლის „პაპა ნიკოს“ უკითხავს ინფორმაციებს შრომის ვეტერანთა პენსიაში გასვლის შესახებ.

ფოტო გ. ვახტანგაძისა



6.89/157

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

